

თანადი თომავშვილი / ანა კონსტანვა / თანადი ზიქია / ანა ქორიანაშვილი

# სამართლებრივი წერილს მეთოდები: მემორიანდუმი და წერილი



სახელმძღვანელოს მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. სახელმძღვანელოს შინაარსზე პასუხისმგებელი არიან მისი ავტორები და ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

This publication is made possible by the support of the American People through the United States Agency for International Development (USAID). The contents of this publication are the sole responsibility of the authors and do not necessarily reflect the views of East West Management Institute, USAID or the United States Government.



**USAID**  
ამერიკელი ხალხისაგან

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE  
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)

თანადი თომეაშვილი / ანა კონსტანცია / თანადი ზიქია / ანა ქორიანაშვილი

**სამართლებრივი წერილს  
მეთოდები:  
მემორიანდები და წერილი**

თბილისი, 2021



<b>1. შესავალი</b> .....	<b>5</b>
<b>2. სამართლებრივი წინის ძირითადი მახასიათებლები</b> .....	<b>5</b>
2.1. სამართლებრივი დოკუმენტის მიზნის განსაზღვრა.....	5
2.2. პირველადი ანალიზი და სქემის/მონახაზის მომზადება.....	7
2.3. სამართლებრივი დოკუმენტის ტექსტის ორგანიზება.....	9
2.4. სამართლებრივი დოკუმენტის შესწორება, რედაქტირება და კორექტურა.....	10
<b>3. სამართლებრივი ანალიზის მეთოდი</b> .....	<b>11</b>
3.1. საკვლევი საკითხის და ქვესაკითხების ჩამოყალიბება.....	12
3.2. მარეგულირებელი წესის განსაზღვრა და განმარტება.....	13
3.3. ანალიზი და სამართლებრივი წესის ფაქტობრივ გარემოებებთან მისადაგება.....	14
3.4. დასკვნა.....	15
<b>4. სამართლებრივი მემორანდუმი</b> .....	<b>16</b>
4.1. აღწერილობითი მემორანდუმი.....	16
4.2. შეფასებითი მემორანდუმი.....	39
4.3. სტრუქტურირების ან/და შედარებითი მემორანდუმი.....	61
<b>5. სამართლებრივი წერილი</b> .....	<b>93</b>
5.1. შეტყობინების/გაფრთხილების წერილი.....	93
5.2. განზრახულობათა წერილი.....	95
5.3. თანხმობის წერილი.....	99
5.4. მოთხოვნის წერილი.....	101
5.5. მოსაწვევი კრებაზე.....	103
5.6. ინსტრუქციის წერილი.....	105
5.7. წერილი მოთხოვნებზე უარის თქმის შესახებ.....	107
5.8. წერილი ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.....	109
5.9. წერილი ადმინისტრაციული ორგანოსთვის.....	111
<b>6. წინის შაქნიკური მახასიათებლები</b> .....	<b>113</b>
6.1. ციტირების წესები.....	113
6.2. სქოლიოს გამოყენება.....	113
<b>7. დანართი</b> .....	<b>118</b>
7.1. აღწერილობითი მემორანდუმი – მონახაზი.....	118
7.2. შეფასებითი მემორანდუმი – მონახაზი.....	119
7.3. შედარებითი მემორანდუმი – მონახაზი.....	120
<b>ბამოყენებადი ღიშინაშინა</b> .....	<b>121</b>



# 1. შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში სამართლებრივი წერის წესებსა და სამართლებრივი ანალიზის მეთოდებზე დაყრდნობით სამართლებრივი მემორანდუმების და სამართლებრივი წერილების მომზადების პრაქტიკის დამკვიდრებას.

სახელმძღვანელო მიჰყვება შემდეგ სტრუქტურას: თავდაპირველად განხილულია სამართლებრივი წერის და საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული სამართლებრივი ანალიზის მეთოდები. სახელმძღვანელოს ძირითადი ნაწილი ეთმობა სამი ტიპის სამართლებრივი მემორანდუმის მომზადებას: აღწერილობითი, შეფასებითი და შედარებითი მემორანდუმები. შესაბამის თავებში წარმოდგენილია ეფექტური და არაეფექტური მემორანდუმების პრაქტიკული მაგალითები თავისი განმარტებებით. სახელმძღვანელოს შემდეგ ნაწილში განხილულია სხვადასხვა ტიპის სამართლებრივი წერილის სტრუქტურა და მაგალითები, ხოლო ბოლო ნაწილი ეთმობა წყაროს ციტირებასა და სქოლიოს გამოყენებას.

## 2. სამართლებრივი წერის ძირითადი მახასიათებლები

### 2.1. სამართლებრივი დოკუმენტის მიზნის განსაზღვრა

სამართლებრივი დოკუმენტის წერის პროცესის წინარე ეტაპს წარმოადგენს საკვლევი საკითხის განსაზღვრა. კერძოდ, იმ შეკითხვის, გამოწვევის ან პრობლემის სრულყოფილად განმარტება/წარმოდგენა, რომელსაც სამართლებრივი დოკუმენტი უნდა ეხმარებოდეს ან პასუხობდეს. სამართლებრივი მემორანდუმის შემთხვევაში ეს არის კლიენტის მიერ იურისტისთვის დასმული შეკითხვები – მემორანდუმში განსაზღვრული ამოცანები.

საკვლევი საკითხის ჩამოყალიბება შესაძლებელია შეკითხვის ან პრობლემის სახით. ეს დამოკიდებულია სამართლებრივი დოკუმენტის ტიპზე: შეკითხვის შემთხვევაში, ის თავად შეკითხვაში ჩანს. მაგალითად, როგორ არეგულირებს დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის აკრძალვას ევროკავშირის დირექტივები? მტკიცებით ფორმაში საკვლევი საკითხი გვხვდება სამართლებრივი დოკუმენტის დასაწყისში – კვლევის მიზნების განსაზღვრისას. მაგალითად, დოკუმენტში მოცემულია კომპანიის დირექტორის ფიდეჯიური ვალდებულების განმარტება და ფარგლები, აგრეთვე ფიდეჯიური მოვალეობის დარღვევისას დირექტორის წინააღმდეგ დერივაციული სარჩელის წარდგენის რეგულირება საქართველოს კანონმდებლობის და საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის მიხედვით.

რიგ შემთხვევებში, კლიენტის ან ხელმძღვანელი იურისტის მიერ საკვლევი საკითხი ზოგადი ფორმით არის დასმული და საჭიროებს დაკონკრეტებას ან დავინროებას. საკვლევი საკითხის ბუნდოვანი ან არასწორი ფორმულირება იწვევს დამკვეთისთვის მცდარი ან არასრულყოფილი შეფასების ან/და რეკომენდაციის შემუშავებას.

შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, იურისტი კვლევის დაწყებამდე უნდა დაუკავშირდეს კლიენტს საკვლევი საკითხის დასაზუსტებლად ან ხელმძღვანელი იურისტისგან მიიღოს დამატებითი ინფორმაცია.

<b>საკვლევი საკითხის ჩამოყალიბების მაგალითი</b>	
<b>თემა</b>	კლიენტს (კორპორაციას) აინტერესებს კომპანიის დირექტორის ფიდუციური მოვალეობების რეგულირება საქართველოში
<b>პრობლემა/შეკითხვები</b>	<p>დირექტორი – სანარმოს მინდობილი პირი – მისი ფიდუციარია. ის უფლებამოსილია, განახორციელოს ყველა შესაძლო მოქმედება წესდებით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად. ამასთან, დირექტორს, როგორც ფიდუციარს, ვალდებულება აკისრია კორპორაციის წინაშე, შესაბამისად, მოვალეობების დარღვევისათვის იგი პასუხისმგებელია არა საზოგადოების პარტნიორის/პარტნიორების, არამედ უშუალოდ საზოგადოების წინაშე. კლიენტთან დამატებითი კომუნიკაციის საფუძველზე ცხადი გახდა, რომ მას აინტერესებს შემდეგი საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- როგორ განიმარტება დირექტორის ფიდუციური მოვალეობა (კეთილსინდისიერების, ზრუნვის და ერთგულების მოვალეობები) საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, რადგან კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მის უშუალო განმარტებას;</li> <li>- როგორ ფასდება დირექტორის მიერ მაღალი რისკის შემცველი ბიზნესგადაწყვეტილება (ე.წ. სამენარმეო განსჯის წესი);</li> <li>- როგორ და ვის მიერ ხდება ფიდუციური მოვალეობის დარღვევის შედეგად კომპანიისთვის მიყენებული ზიანისთვის დირექტორის პასუხისმგებლობის დაყენება (ე.წ. დერივაციული სარჩელის აღძვრა).</li> </ul>
<b>პირველადი შესწავლა</b>	<p>საკვლევი საკითხის ჩამოყალიბებამდე იურისტი მოიძიებს და ეცნობა შემდეგი სახის მასალებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- საქართველოს კანონმდებლობა (მაგ., მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი);</li> <li>- საერთო სასამართლოების პრაქტიკა (მაგ., 2014-2020 წლების საქართველოს საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები);</li> <li>- აკადემიური ნაშრომები (პრაქტიკის შედარებითი სამართლებრივი მიმოხილვა).</li> </ul>



<p><b>საკვლევი საკითხი</b></p>	<p>კომპანიის დირექტორის ფიდუციური ვალდებულების განმარტება და ფარგლები, აგრეთვე ფიდუციური მოვალეობის დარღვევისას დირექტორის წინააღმდეგ დერივაციული სარჩელის წარდგენის რეგულირება საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის მიხედვით.</p>
--------------------------------	--

## 2.2. პირველადი ანალიზი და სქემის/მონახაზის მომზადება

საკვლევი საკითხის განსაზღვრის თანმდევი ეტაპია სამართლებრივი დოკუმენტის მომზადების დაგეგმვა – იმ პირობების ჩამოყალიბება, რომელთა გათვალისწინებითაც მოხდება რელევანტური სამართლებრივი რესურსების, საკვლევი მონაცემების და მასალების შეგროვება, ანალიზი და დასკვნის მომზადება. რთული სამართლებრივი დოკუმენტის დაგეგმვის ეტაპზე იურისტი მოიძიებს და გაეცნობა ყველა მასალას, რის საფუძველზეც ჩამოაყალიბებს მონახაზს/სქემას.

დაგეგმვის პროცესი	
<p><b>კონკრეტული ამოცანების განსაზღვრა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• რას უნდა მოიცავდეს სამართლებრივი დოკუმენტი:                             <ul style="list-style-type: none"> <li>○ როგორი მასალებია საჭირო შეკითხვაზე ან საკითხზე ამომწურავი პასუხის/მოსაზრების მომზადებისთვის;</li> <li>○ რომელი ფაქტები, წყაროები და მასალა ხელმისაწვდომი (რა არ არის ხელმისაწვდომი);</li> <li>○ არსებობს თუ არა უცნობი ან სადავო ფაქტები ან მონაცემები (დოკუმენტები), რომლებიც გასათვალისწინებელია ანალიზის მომზადებისას (დაშვებებში აისახოს);</li> <li>○ ხომ არ არის საჭირო შეკითხვის/საკითხის დაზუსტება, გარკვეული პირებისგან დამატებითი ინფორმაციის მიღება (ხომ არ არსებობს გასათვალისწინებელი გარემოებები, რომლებიც უშუალოდ შეკითხვის/საკითხის შინაარსიდან არ ჩანს) ან/და საკითხის/შეკითხვის საბოლოო ვერსიის დაზუსტება.</li> </ul> </li> </ul>
<p><b>წყაროების, მასალების და მონაცემების შეგროვება/ მოძიება და გაცნობა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პირველადი წყაროების მოძიება, ხოლო თუ პირველადი წყაროები არ არის ხელმისაწვდომი, მეორადი წყაროების მოძიება, მათი შესწავლა. სამართლებრივი დოკუმენტში რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების ასახვისას მიეთითება მათი წყარო და გამოყენების მიზეზი.</li> </ul>

<p><b>სქემის ჩამოყალიბება</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამართლებრივი დოკუმენტის შინაარსობრივი სტრუქტურის მომზადება, რომელსაც იურისტი აცნობს თავის ზემდგომს და, საჭიროების შემთხვევაში, დამკვეთსაც, რათა მიიღოს საბოლოო დასტური წერითი პროცესის დასაწყებად.</li> </ul>
-----------------------------------	---

სქემა/მონახაზი – ეს არის სამართლებრივი დოკუმენტის შინაარსობრივი სტრუქტურა, რომელშიც განსახილველი საკითხი/საკითხები დალაგებულია თავის/ქვეთავის ან სექციის/ქვესექციის მიხედვით, მასში ასახაი შინაარსობრივი საკითხის მითითებით.<sup>1</sup> რეკომენდებულია, იურისტმა წერის დაწყებამდე განსაზღვროს დოკუმენტში ასახაი არგუმენტები და მსჯელობის მიმდევრობა: ლოგიკურად დალაგოს საკითხებსა და ქვესაკითხებს შორის ბმა. საჭიროებისამებრ, სასურველია სქემის/მონახაზის განახლება დამატებითი მასალების წაკითხვის შემდეგ.

მსგავსი მიდგომის მიზანია, რომ საბოლოო პროდუქტი მარტივად აღიქვას კლიენტმა და იგი სრულყოფილად პასუხობდეს სამართლებრივი დოკუმენტის გამოკვლეულ მიზნებს. ამასთან, მონახაზი შიდა დოკუმენტია, როგორც წესი, ის იქმნება სამართლებრივ დოკუმენტზე პასუხისმგებელი თანამშრომლ(ებ)ის მიერ; ის იურისტის/იურისტთა ჯგუფის მიერ გასაწევი შინაარსობრივი სამუშაოს კალენდარია.

<p><b>სქემის/მონახაზის მაგალითი: კომპანიის დირექტორის ფიდუციური ვალდებულების განმარტება და ფარგლები, აგრეთვე ფიდუციური მოვალეობის დარღვევისას დირექტორის წინააღმდეგ დერივაციული სარჩელის წარდგენის რეგულირება საქართველოს კანონმდებლობის და საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის მიხედვით</b></p>	
<p><b>საკითხები/ქვესაკითხები</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ფიდუციური მოვალეობის განმარტება: კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის პრინციპი, ერთგულების მოვალეობა და ზრუნვის მოვალეობა;</li> <li>• სამენარმეო განსჯის წესი (Business Judgment Rule): სამწვერა ტესტი (1. საკმარისად იყო ინფორმირებული; 2. მოქმედებდა კეთილგონიერების ფარგლებში; 3. მოქმედებდა კომპანიის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე);</li> <li>• კომპანიის მიერ განცდილი ზიანის ოდენობის მნიშვნელობა;</li> <li>• დერივაციული სარჩელის წარდგენა კომპანიის ან/და პარტნიორის/ების მიერ (მათ შორის, მინორიტარი პარტნიორის მიერ) კომპანიის სასარგებლოდ: 1. წარდგენის პროცედურები (საერთო კრებისთვის მიმართვის საკითხი); 2. მტკიცების ტვირთის სტანდარტი.</li> </ul>

პროცესის დაგეგმვის და სქემის/მონახაზის ჩამოყალიბების შედეგად, სამართლებრივი დოკუმენტის შინაარსი განჭვრეტადი ხდება – იურისტის მიერ განსაზღვრულია გამოსაყენებელი წყაროები და მასალა. იმ შემთხვევაში, თუ რაიმე კანონი/აქტი, მონაცემი ან

1 იხ. Richard K. Neymann Jr. & Shelia Simon, Legal Writing, Aspen Publishers/Wolters Kluwer 2008, pp. 83-85.

დოკუმენტი არ არის ხელმისაწვდომი, მას შეუძლია თადარიგი დაიჭიროს, წინასწარ გამოითხოვოს/მოიძიოს იგი, თუ ამგვარი რამ შეუძლებელია, მიუთითოს არსებულ შეზღუდვებზე დოკუმენტის დაშვების ნაწილში და გაითვალისწინოს დოკუმენტის შინაარსობრივი ნაწილის მომზადებისას.

მნიშვნელოვანია სპეციალური ან/და უცხო ენიდან გადმოტანილი ტერმინების დამკვეთისთვის/მკითხველისთვის განმარტება. მაგალითად: ტერმინები „სამენარმეო განსჯის წესი“ საჭიროებს განმარტებას, თუ რა იგულისხმება ამ ტერმინების ქვეშ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. თუ დოკუმენტი გამოირჩევა ტერმინების სიუხვით, სასურველია, ცალკე გამოიყოს ტერმინების განმარტება.

### 2.3. სამართლებრივი დოკუმენტის ტექსტის ორგანიზება

როგორც წესი, სამართლებრივი დოკუმენტი შედგება თავების/სექციების და ქვეთავებისგან/ქვესექციებისგან, რომლითაც გამოყოფილია საკითხები და ქვესაკითხები. თავის/ქვეთავის წერისას რეკომენდებულია შემდეგი ოთხი მოსაზრების გათვალისწინება:

- წყაროს სათანადო წარმოდგენა: ნებისმიერი ნორმის განმარტებამდე ნორმის შინაარსის წარმოდგენა – ციტირება ან პერიფრაზი;
- ზოგადიდან კონკრეტულზე გადასვლა: განსახილველი საკითხის შესახებ ზოგადი სურათის/მდგომარეობის წარმოდგენა შესავალი წინადადების ფორმით და შემდგომ უშუალოდ საკითხზე/პრობლემაზე ყურადღების გამახვილება;
- უდავო/განსაზღვრული გარემოებების განმარტება სადავო/კრიტიკული საკითხის წარდგენამდე: დადგენილი ნორმის, ფაქტების ან/და გარემოებების პრეზენტაცია კლიენტის მიერ პრობლემური საკითხის კონკრეტულ კონტექსტში ან/და პერსპექტივაში დანახვის მიზნით;
- ანალიზის კონსოლიდირება ან დაყოფა: რთული სამართლებრივი საკითხის ქვესაკითხებად დაყოფა და ცალ-ცალკე აბზაცებში აღწერა. საერთო მარეგულირებელი ნორმის შემთხვევაში, მარტივი საკითხების გაერთიანება და ერთ თავში/ქვეთავში წარმოდგენა.

სამართლებრივი დოკუმენტის თავში ან ქვეთავში ასახული სამართლებრივი მოსაზრებები ან იდეები ერთმანეთისგან აბზაცის (პარაგრაფის) საშუალებით გამოიყოფა. აბზაცის ეფექტიანობას ხუთი მახასიათებელი უზრუნველყოფს:

- საკითხის/თემის განსაზღვრულობა: პირველ ან მეორე წინადადებაში განსახილველი საკითხი/თემა გაცხადებულია ან მითითებულია;
- ერთიანობა: ერთ საკითხს ან თემას ფარავს;
- ყოვლისმომცველობა: საკითხის/თემის ირგვლივ ინფორმაცია სრულყოფილად/ზედმინვენით არის წარმოდგენილი;
- თანმიმდევრულობა: საკითხის/თემის ირგვლივ მოსაზრებები ლოგიკური მიმდევრობითაა დალაგებული;
- კითხვადობა: ის არ არის ძალიან მოკლე, რაც ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ გარკვეული ინფორმაცია გამორჩენილია. ამასთან, აბზაცი არ არის იმდენად გრძელი, რომ მკითხველი ჩაიკარგოს და გაუჭირდეს აზრის გამოტანა. როგორც წესი, აბზაცი 4-5 წინადადებისგან შედგება.

მოსაზრებების დაკავშირება – გადასვლები: ეს არის სიტყვები ან ფრაზები, რომლი-  
თაც ხდება ორი მოსაზრების, იდეის ან პოზიციის ურთიერთმიმართების განსაზღვრა და  
დაკავშირება.

მოსაზრებებს შორის ურთიერთმიმართება	გადასვლები
პირველ და მეორე პოზიციას შორის მსგავსება	ანალოგიურად, აგრეთვე, ასევე, გარდა ამისა და ა.შ.
პირველ და მეორე პოზიციას შორის განსხვავება	თუმცა, მიუხედავად ამისა, მეორე მხრივ, სხვა მხრივ, განსხვავებით და ა.შ.
მოსაზრებების ჩამონათვალი	პირველი, მეორე, მესამე და ა.შ. პირველ რიგში, საბოლოოდ და ა.შ.
მიზეზობრივი კავშირი	შესაბამისად, ამიტომ, ამრიგად, რადგან და ა.შ.
დროში დაკავშირება	შემდგომში, მანამდე, მოგვიანებით, ამასობაში, ახლახან და ა.შ.

## 2.4. სამართლებრივი დოკუმენტის შესწორება, რედაქტირება და კორექტურა

სამართლებრივი დოკუმენტის გადახედვის მიზანია მისთვის ახალი თვალთ შეხედვა – დამკვეთი იურისტის ან/და კლიენტის პერსპექტივიდან. შესწორების ეტაპზე ხდება სამართლებრივი დოკუმენტის არსებითი – შინაარსობრივი – განახლება: დამატებითი კვლევის განხორციელება, გარკვეული თავების/ქვეთავების/საკითხების დამატება, გადაადგილება, გაერთიანება ან ამოღება მსჯელობის ლოგიკურად წარმართვის მიზნით. კერძოდ, სამართლებრივი დოკუმენტის შესწორების ეტაპზე მიზანშეწონილია ორი გარემოების გადამოწმება:

- რამდენად მოიცავს დოკუმენტი სრულყოფილ ინფორმაციას (სამართლებრივ რეგულირებას/პრაქტიკას) დასმულ შეკითხვასთან/ქვეშეკითხვასთან დაკავშირებით? რამდენად ასახავს დოკუმენტი მხარეთა პოზიციებს და არგუმენტებს, აგრეთვე მათ ობიექტურ შეფასებას?
- ხომ არ იქნა დაშვებული რაიმე შეცდომა დოკუმენტის მომზადებისას? მაგალითად, სამართლებრივი ნორმის/ების განმარტებისას, ფაქტობრივი გარემოებების აღწერისას ან/და დაშვებების დადგენისას?

რედაქტირების მიზანია სამართლებრივი დოკუმენტის ტექნიკური შესწორება, როგორცაა წინადადების წყობა, ტექსტის ლაკონიურობის უზრუნველყოფა, აზრის გადმოცემის სიზუსტე და მართლწერის საკითხები. მაგალითად:

- ვნებითი გვარის უხვად გამოყენების შემცირება;
- წინადადების წევრთა თანამიმდევრობის დალაგება;

- მრავალსიტყვაობისთვის (პლენონაზმის<sup>2</sup> და ტავტოლოგიის<sup>3</sup>) თავის არიდება;
- რთული წინადადების გადაკეთება მარტივად;
- კალკის შეცვლა,<sup>4</sup> ნომინალიზაციის მოშლა<sup>5</sup> და ა.შ.

კორექტირება ბოლო ეტაპი და მოიცავს სიტყვების გასწორებასა და პუნქტუაციის შემოწმებას. ტექსტის კორექტირებას ამარტივებს ამოხედილ დოკუმენტზე მუშაობა.

### 3. სამართლებრივი ანალიზის მეთოდი

სამართლებრივი დოკუმენტის ორგანიზებულობა და ცხადად ჩამოყალიბებული სტრუქტურა უზრუნველყოფს მკითხველის მიერ შინაარსის სრულყოფილ აღქმას და წარმოდგენილი პოზიციის – არგუმენტის გაზიარებას. იურისტმა უნდა შეძლოს კვლევის შედეგად წარმოდგენილი შეფასების მკითხველისთვის მიწოდება მარტივი, ლოგიკურად დალაგებული და დასაბუთებული ფორმით.

პრაქტიკაში იურისტის კლიენტს ესაჭიროება არა აბსტრაქტული მსჯელობა, არამედ კონკრეტულ შეკითხვაზე დასაბუთებული პასუხი ან/და საკითხის ირგვლივ არსებული სტანდარტების შეჯამება ალტერნატივების შედარების საფუძველზე მისთვის ყველაზე მისაღები გამოსავლის შერჩევის მიზნით.

თეორიაში სამართლებრივი ანალიზის მეთოდის აღსანიშნავი ორი აკრონიმი გამოიყენება **IRAC** და **CREAC**, მაგრამ პრაქტიკაში მათი სტრუქტურის ნაწილების შინაარსი ერთნაირია.<sup>6</sup>

IRAC		CREAC	
საკითხი	I = Issue	C = Conclusion	შეფასების შედეგი
წესი	R = Rule	R = Rule	წესი
		E = Explanation	განმარტება
მისადაგება	A = Application	A = Application	მისადაგება
დასკვნა	C = Conclusion	C = Conclusion	დასკვნა

2 ფუქსიტყვაობა, როგორცაა ნაცვალსახელის ჭარბად გამოყენება, „და“ კავშირის ზედმეტი გამოყენება და ა.შ.

3 უმიზნო გამეორება.

4 უცხოენოვან შესიტყვებათა პირდაპირი თარგმანი. მაგალითად, საქმის განხილვას ანარმოებს (საქმეს განხილვას).

5 პროცესის აღმწერი სიტყვის არსებით სახელად გარდაქმნა. მაგალითად, განვითარება, განმარტება, ინტერპრეტირება და ა.შ.

6 იხ. Charles R Calleros, *Legal Method and Writing*, Aspen Publishers, 2006, pp. 67-93; Richard K. Neumann & Sheila Simon, *Legal Writing*, Wolters Kluwer/Aspen Publishers, pp. 105-111.

სამართლებრივი ანალიზის მეთოდი მოითხოვს შესაფასებელი საკითხის და მარეგულირებელი წესის განსაზღვრას, წესის მისადაგებას საკითხთან (ანალიზი) და დასკვნას. აღნიშნული ჩარჩო სტრუქტურა გამოიყენება არა მარტო სამართლებრივი მემორანდუმების, სამართლებრივი წერილების და სასამართლო გადაწყვეტილებების მოკლე ანალიზის მომზადებისას, არამედ სამართლებრივი ანგარიშების, კვლევების და აკადემიური ნაშრომის არსებითი თავების მომზადებისასაც.

### 3.1. საკლვევი საკითხის და ქვესაკითხების ჩამოყალიბება

საკითხი არის სამართლებრივი ხასიათის შეკითხვა, რომელსაც პასუხობს იურისტი ანალიზის მეშვეობით. იგი წარმოადგენს ნებისმიერი სამართლებრივი დოკუმენტის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს. ის განსაზღვრავს სამართლებრივი პრობლემის არსს და კვლევითი საქმიანობის პარამეტრებს.

საკითხი შესაძლოა დაისვას შეკითხვის ან/და მტკიცებითი ფორმით – ეს დამოკიდებულია დოკუმენტის ფორმაზე. საკითხის სრულყოფილად ჩამოყალიბება გადამწყვეტია სამართლებრივი ანალიზისთვის.

<b>მაგალითი – საკითხი</b> <b>შევიწროების აკრძალვა კერძო სფეროში</b>	
<p>კლიენტს აინტერესებს ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩო შევიწროების აკრძალვის შესახებ დასაქმების სფეროში.</p>	<p>კლიენტს აინტერესებს, თუ რამდენად წარმოადგენს კერძო კომპანიის ხელმძღვანელის მიერ თანამშრომლის კრიტიკა სამუშაო მოვალეობის შეუსრულებლობის გამო შევიწროებას მთელი კოლექტივის მიმართ გაგზავნილი ელ-ფოსტის მეშვეობით, სადაც მოხსენიებულია შემდეგი ფრაზა „ტვინი წაიღო თავისი არაკომპეტენტურობით“.</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>- ითვალისწინებს თუ არა შევიწროების აკრძალვას საქართველოს კანონმდებლობა დასაქმების სფეროში?</li> <li>- განმარტეთ, რამდენად კრძალავს შევიწროებას საქართველოს კანონმდებლობა დასაქმების სფეროში.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- რამდენად წარმოადგენს კერძო კომპანიის ხელმძღვანელის თანამშრომლის საჯარო კრიტიკა და ტერმინ „ტვინი წაიღო“ გამოყენება შევიწროებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;</li> <li>- შევიწროების დადგენის შემთხვევაში როგორი ზომების გატარება ევალება კერძო კომპანიას?</li> </ul>

საკითხი არ უნდა იყოს ზოგადი ხასიათის: მაგალითად, „განმარტეთ შევიწროების აკრძალვა“ – მას უნდა მიეთითოს კონკრეტული სფერო, იურისდიქცია ან/და ფაქტობრივი გარემოებები.

რიგ შემთხვევებში, კლიენტის მიერ საკვლევი საკითხი ზოგადი ფორმით არის დასმული და საჭიროებს დაკონკრეტებას ან დავინროებას. საკვლევი საკითხის ბუნდოვანება ან/და არასწორი ფორმულირება ხშირად იწვევს მცდარი ან არასრულყოფილი შეფასების შემუშავებას. ამ პროცესის თანმდევი შედეგია უსარგებლო ან არასრულყოფილი მასალებისა და მონაცემების შეგროვება. ეს კი ადამიანური რესურსისა და დროის არასწორ ხარჯვას იწვევს. შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, იურისტი დამკვეთთან აზუსტებს საკითხის მასშტაბს ან/და თავად ახორციელებს სათანადო ინფორმაციის მოძიებას, მაგალითად, კლიენტის კომპანიის საქმიანობის და პროფილის შესახებ, რამაც განაპირობა დაკვეთა.

რთულ საკითხს იურისტი ყოფს რამდენიმე მარტივ საკითხად ან/და ქვესაკითხად. რიგ შემთხვევაში, იურისტს სჭირდება საკითხების მიმდევრობის გადალაგება, განმარტების მიცემა, რომ მხოლოდ პირველ საკითხზე დადებითი პასუხის გაცემის შემთხვევაში არის შესაძლებელი მეორე საკითხზე გადასვლა და ა.შ.

### 3.2. მარეგულირებელი წესის განსაზღვრა და განმარტება

ნებისმიერ სამართლებრივ საკითხს ან შეკითხვას მიესადაგება გარკვეული სამართლის წყაროები, როგორებიცაა: ნორმატიული აქტები,<sup>7</sup> საერთაშორისო ხელშეკრულებები,<sup>8</sup> საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცემული დოკუმენტები (რეზოლუცია, დასკვნა, მოსაზრება, განმარტება და ა.შ.), უცხო ქვეყნის კანონმდებლობა, პოლიტიკის დოკუმენტები (სტრატეგია, სამოქმედო გეგმა, კონცეფცია) და არასავალდებულო ხასიათის წესები (ეთიკის ნორმები, სახელმძღვანელო ქცევის წესები, რეკომენდაციები და ა.შ.).

მარეგულირებელი წესის წყარო	
პირველადი წყარო	მეორადი წყარო
ნორმატიული აქტები, სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულებები, გადანყვეტილებები და რეზოლუციები.	სასამართლო გადანყვეტილებები, პოლიტიკის დოკუმენტები, კომენტარები, აკადემიური ნაშრომები და ა.შ.

მეორადი წყაროს დანიშნულებაა პირველადი წყაროს განმარტება ან/და შევსება. სასამართლოს გადანყვეტილებები განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს, თუკი კლიენტს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით არსებული თანამედროვე პრაქტიკა აინტერესებს.

7 ნორმატიული აქტებია საქართველოს საკანონმდებლო (კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი, პრეზიდენტის დეკრეტი, კანონი და პარლამენტის რეგლამენტი) და კანონქვემდებარე აქტები – იხ. მუხლი 7, საქართველოს ორგანული კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, 22/10/2009.

8 საერთაშორისო ხელშეკრულება შესაძლებელია იყოს როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი, საჯარო (სახელმწიფოთაშორისი) და კერძო ხასიათის (სახელმწიფოსა და კერძო პირს შორის დადებული).

ხშირად მარეგულირებელი წესი არ არის მხოლოდ ერთი ნორმა/აქტი/ხელშეკრულება, არამედ წარმოადგენს რამდენიმე წყაროს (მათ შორის პირველადი და მეორადი წყაროების) სინთეზს, რომელიც იურისტმა უნდა ჩამოაყალიბოს/შეაჯეროს. მაგალითად, შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის ამკრძალველი რეგულაციების განმარტება საჭიროებს კონსტიტუციური ნორმის, საქართველოსთვის სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულებების,<sup>9</sup> დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ კანონის და შრომით კოდექსში არსებული ჩანაწერების შეჯერებას.

რიგ შემთხვევაში, წესის მიზნის და შინაარსის ცხადად გაგება საჭიროებს დამატებით განმარტებას – განსაკუთრებით მაშინ, თუ მსგავსი დებულების ანალოგი საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში არ მოიპოვება და კლიენტი დაინტერესებულია აღნიშნული თემის რეგულირებით.

წესის ჩამოყალიბებისას გასათვალისწინებელია გამონაკლისი შემთხვევები ან/და შეზღუდვებიც, რომელთაც კანონმდებლობა განმარტავს. მაგალითად, კონკრეტული კანონის ან ხელშეკრულების იურისდიქცია შეზღუდულია პირთა წრით, დროში და სივრცეში (ტერიტორია) მოქმედების მიხედვით, სპეციალური კანონი ადგენდეს ზოგადი წესიდან გამონაკლისს, ან საერთაშორისო ხელშეკრულების შემთხვევაში სახელმწიფოს დათქმა ან დეკლარაციული განცხადება აქვს გაკეთებული, რომლის ფონზეც უნდა განიმარტოს დებულებები.

### **3.3. ანალიზი და სამართლებრივი წესის ფაქტობრივ გარემოებებთან მისადაგება**

სამართლებრივი დოკუმენტის ძირითად ნაწილს სამართლებრივი საკითხის ანალიზი წარმოადგენს. ამ დროს იურისტს უნევს ორი ძირითადი ალტერნატივიდან ერთ-ერთის შესრულება:

- უშუალოდ სამართლებრივ შეკითხვაზე პასუხის გაცემა: კლიენტს აინტერესებს ნორმის ან რეგულირების განმარტება – როგორ არეგულირებს კანონი კონკრეტულ საკითხს ან/და როგორ უნდა განიმარტოს კანონის კონკრეტული დებულება პრაქტიკაში;
- რელევანტური სამართლებრივი ნორმების კონკრეტულ ან ჰიპოტეტურ ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება: კლიენტს აინტერესებს მის მიერ წარმოდგენილი ფაქტების კანონისმიერი რეგულირება და შესაძლო სამართლებრივი შედეგები.

რთული წესის შემთხვევაში, იურისტს შეუძლია წესი დაეყოს რამდენიმე ელემენტად (ე.წ. ქვეწესებად) და მიუსადაგოს გარემოებებს/ფაქტებს სხვადასხვა სექციაში.

როგორც წესი, ანალიზის ნაწილში, იურისტი მსჯელობს, თუ რა შედეგამდე მივყავართ წესის მოქმედებას/გამოყენებას, კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. მართალია, სამართლებრივი დოკუმენტის ანალიზის ნაწილი დამოკიდებულია განსახილველი საკითხის შინაარსზე, თუმცა, ძირითადად, სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- ერთი ან ორი წინადადებით წარმოდგენილი ფაქტობრივი დასკვნა – იურისტის პოზიცია;
- პირველადი ან/და მეორადი წყაროს/ების განსაზღვრის და განმარტების შედეგად დადგენილი მარეგულირებელი წესი ან ქვეწესი;

<sup>9</sup> მაგალითად, დისკრიმინაციის განმარტებას გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენცია გვთავაზობს.



- განმსაზღვრელი წინადადება, რომელშიც იურისტი განმარტავს, თუ როგორ მიემართება წესი კლიენტის საქმეს/წარმოდგენილ საკითხს;
- დასაბუთებული შეფასება, თუ რატომ არის აღნიშნული მისადაგება მართებული. ანალოგიურ საკითხზე არსებული გადაწყვეტილებების/პრაქტიკის მოშველიება საჭიროებისამებრ, მათ შორის არსებული მსგავსებების და განსხვავებების განხილვა პოზიციის დასაბუთების მიზნით;
- დაშვებების ხსენება – სადავო/უცნობი ფაქტების გამოვლენის შედეგად სამართლებრივი მსჯელობის ცვლილების შესაძლებლობა;
- მარეგულირებელი წესის გამოყენების/მისადაგების შესახებ არსებული ალტერნატიული პოზიციის წარმოდგენა და გაბათილება;
- წარმოდგენილი პოზიციის გამეორება.

როგორც ჩამონათვალთან ჩანს, ანალიზის წერისას მნიშვნელოვანია საპირისპირო მხარის პოზიციის – ფაქტობრივი გარემოებების ალტერნატიული ინტერპრეტაციის – განჭვრეტა, მსჯელობის ნაწილში გათვალისწინება (ასახვა) და გაბათილება.

### 3.4. დასკვნა

სამართლებრივი ანალიზის ბოლო ეტაპი გულისხმობს ანალიზის მარტივ და ლოგიკურ შეჯამებას. ის დასმულ საკითხთან დაკავშირებით „კი“ ან „არა“ პასუხს უნდა იძლეოდეს. ამასთან, „კი“ ან „არა“ პასუხს შესაძლოა მოჰყვეს შეჯამება. შეჯამება არის შეკითხვაზე მოკლედ და ლაკონურად გაცემული პასუხი.

დასკვნის მაგალითი	
საკითხი/შეკითხვა	დასკვნა
რამდენად წარმოადგენს კერძო კომპანიის ხელმძღვანელის თანამშრომლის საჯარო კრიტიკა და ტერმინ „ტვინი წაიღოს“ გამოყენება შევიწროებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად?	თანამშრომლის შეურაცხყოფა და საქმიანი რეპუტაციის შელახვა სხვა პირების წინაშე, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის თანახმად, წარმოადგენს შევიწროებას.

მიუღებელია დასკვნაში (ი) განმარტებების; (იი) ახალი საკითხის ან/და არგუმენტებისა წამოწევა; (იიი) ისეთ საკითხზე რეკომენდაციის გაცემა, რაც დოკუმენტში არ არის განხილული.

## 4. სამართლებრივი მემორანდუმი

სამართლებრივი მემორანდუმი არის იურისტის მიერ მომზადებული წერილობითი დოკუმენტი, რომელიც აჯამებს იურისტის კვლევას გარკვეულ სამართლებრივ საკითხებზე. ის შესაძლოა მომზადდეს როგორც შიდა მოხმარებისთვის (იურიდიული ფირმის ფარგლებში ზემდგომი იურისტისთვის), ასევე კლიენტთან გასაგზავნად. სამართლებრივი მემორანდუმის შინაარსი, გამოყენებული ტერმინები და ფორმატი სამიზნე აუდიტორიის მოთხოვნებიდან გამომდინარე განისაზღვრება. მისი მომზადებისას მნიშვნელოვანია სამი ძირითადი პრინციპის დაცვა:

- **ობიექტურობა:** კლიენტს ინფორმაცია ობიექტურად უნდა მიეწოდოს. შესაბამისად, იურისტის მიერ მომზადებული კვლევა ნორმის, ფაქტების ან/და გარემოებების მიუკერძოებელ განმარტებას და შეფასებას უნდა ეყრდნობოდეს;
- **გულმოდგინება:** იურისტი და კლიენტი გადაწყვეტილებას იღებს სამართლებრივ მემორანდუმში წარმოდგენილი მსჯელობის საფუძველზე. შესაბამისად, დოკუმენტში რელევანტური ნორმა, მნიშვნელოვანი დეტალი ან/და გარემოება სრულყოფილად და ზედმინევენით უნდა აღინეროს;
- **სიმარტივე და იოლად აღსაქმელი ტექსტი:** დოკუმენტი უნდა იყოს დანერგილი გასაგებად. მაგალითად, თუ მემორანდუმი კლიენტთან გასაგზავნად მზადდება, აუცილებელია, რომ იგი მაქსიმალურად მარტივი ენით დაინეროს, რათა ნებისმიერი პროფესიის პირმა არამარტო მიიღოს მისთვის საჭირო პასუხები, არამედ გაიგოს მათი შინაარსი.

წინამდებარე თავში წარმოდგენილია სამი ტიპის სამართლებრივი მემორანდუმის არსი, მიზანი და სტრუქტურა თავისი განმარტებებით. ყოველ ქვეთავს თან ახლავს ეფექტური და არაეფექტური მემორანდუმის მაგალითები.

### 4.1. აღწერილობითი მემორანდუმი

#### 4.1.1. აღწერილობითი მემორანდუმის სახეები

აღწერილობითი მემორანდუმი არის სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც მოკლედ აღწერს და განიხილავს იურისტის კვლევის შედეგებს კონკრეტულ სამართლებრივ საკითხთან ან ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. განსხვავებით სხვა ტიპის მემორანდუმებისგან, აღწერილობითი მემორანდუმი არ მიყვება IRAC-ის სტრუქტურას, რადგან მისი მიზანი არ არის კონკრეტული სამართლებრივი პრობლემის ანალიზი, შეფასება, დასკვნის ან სამომავლო ნაბიჯების შეთავაზება კლიენტისთვის. აღწერილობითი მემორანდუმი ერთგვარი სახელმძღვანელოა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და მოიცავს მხოლოდ ფაქტების ან სამართლებრივი დოკუმენტის აღწერას.

აღწერილობითი მემორანდუმი შეიძლება ეხებოდეს როგორც სამართლებრივ საკითხს, ასევე ფაქტობრივ გარემოებებს. ასევე, შესაძლებელია, აღწერილობითი მემორანდუმის მიზანი იყოს ხელშეკრულების ძირითადი პირობების აღწერა. გარდა ამისა, შესაძლოა, მემორანდუმი მომზადდეს იურიდიული ფირმის შიდა გამოყენებისთვის, რათა აღინეროს კონკრეტულ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით არსებული სასამართლო პრაქტიკა.

აღწერილობითი მემორანდუმის რამდენიმე სახე არსებობს:

**აღწერილობითი მემორანდუმი სამართლებრივი საკითხის შესახებ:** მსგავსი ტიპის მემორანდუმი აღწერს კონკრეტულ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით არსებულ რეგულაციებს ან/და წესებს და გვთავაზობს სამართლებრივი ჩარჩოს მოკლე ანალიზს. მაგალითად, კლიენტი ითხოვს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობის ან სანარმოში დირექტორთა პასუხისმგებლობის საკითხებთან დაკავშირებით არსებული კანონმდებლობის ანალიზს. შესაბამისად, აღწერილობითი მემორანდუმის მიზანია, კლიენტს მაქსიმალურად ლაკონიურად და მარტივად მიანოღოს ინფორმაცია ძირითადი საკითხების შესახებ. ასეთი მემორანდუმი ჩამოთვლის და აღწერს საკითხთან დაკავშირებულ კანონმდებლობას. მემორანდუმში დეტალურადაა ახსნილი ის წესები, მოთხოვნები ან პროცედურები, რომლებიც უკავშირდება კონკრეტულ სამართლებრივ საკითხს ან კლიენტის შეკითხვას.

მაგალითად, აღწერილობითი მემორანდუმით იურისტმა შეიძლება განიხილოს შემდეგი საკითხები:

- ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლები ქართული სამართლის მიხედვით;
- ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები და შედეგები ქართული სამართლის მიხედვით;
- დირექტორთა პასუხისმგებლობის საკითხები ქართული სამართლის მიხედვით;
- ქართული შრომის კანონმდებლობის აღწერა და ანალიზი;
- კონკრეტულ ლიცენზირებულ საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ანალიზი.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, აღწერილობითი მემორანდუმი სამართლებრივი საკითხის შესახებ შეიძლება შეეხოს ნებისმიერ სამართლებრივ საკითხს ან შეკითხვას, რომელიც საინტერესოა კლიენტისთვის.

**აღწერილობითი მემორანდუმი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ:** აღწერილობითი მემორანდუმი ასევე შეიძლება მომზადდეს კომპლექსური ფაქტობრივი გარემოებების აღწერის მიზნით. მსგავსი ტიპის მემორანდუმის წერისას მნიშვნელოვანია, იურისტმა გადანყვიტოს, როგორ აპირებს განვითარებული მოვლენების თხრობას. ფაქტები შესაძლებელია ქრონოლოგიურად აღინეროს, იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტში მოცემულია დროის ვრცელ პერიოდში განვითარებული მოვლენები ერთ საკითხთან დაკავშირებით.

მაგალითად, მემორანდუმი აღწერს ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებს. ასეთ დროს, იურისტი სავარაუდოდ აღწერს შემდეგ ქრონოლოგიურ ეტაპებს:

- მხარეთა მიერ ხელშეკრულების გაფორმება;
- ხელშეკრულების პირობები;
- ფაქტები, რომელიც წინ უძღოდა ხელშეკრულების შეწყვეტას;
- ხელშეკრულების შეწყვეტა.

ალტერნატიულად, აღწერილობითი მემორანდუმი შესაძლოა დალაგდეს ეპიზოდების მიხედვით, თუ მხარეთა შორის ურთიერთობა კომპლექსურია და ეხება სხვადასხვა საკითხს. მაგალითად, იურისტი სავარაუდოდ ეპიზოდების მიხედვით აღწერს მემორანდუმს, თუ მხარეებს ჰქონდათ სხვადასხვა ტიპის სახელშეკრულებო ურთიერთობა.

მაგალითად, თუ მხარეებს შორის არსებობდა მომსახურების ხელშეკრულება, ნასყიდობის ხელშეკრულება, იჯარის ხელშეკრულება და მშენებლობის ხელშეკრულება, იურისტი მემორანდუმს შემდეგ ეპიზოდებად ყოფს:

- მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება, მისი პირობები და მხარეთა ურთიერთობა მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში;
- ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება, მისი პირობები და მხარეთა ურთიერთობა ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში;
- იჯარის ხელშეკრულების გაფორმება, მისი პირობები და მხარეთა ურთიერთობა იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში;
- მშენებლობის ხელშეკრულების გაფორმება, მისი პირობები და მხარეთა ურთიერთობა მშენებლობის ხელშეკრულების ფარგლებში.

**აღწერილობითი მემორანდუმი ხელშეკრულების პირობების შესახებ:** შესაძლოა, მემორანდუმის მომზადების მიზანი იყოს რთული და კომპლექსური ხელშეკრულების პირობების აღწერა. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, იურისტმა განსაზღვროს ხელშეკრულების მნიშვნელოვანი და არსებითი ნაწილები და მაქსიმალურად მარტივად ახსნას მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა, მათი უფლებები და ვალდებულებები. ასეთ მემორანდუმს კლიენტი ითხოვს იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის გაფორმებულია კომპლექსური და მრავალგვერდიანი ხელშეკრულება. აღწერილობითი მემორანდუმი ხელშეკრულების პირობების შესახებ მზადდება ნებისმიერი ტიპის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. მაგალითად, მემორანდუმი საინვესტიციო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

**აღწერილობითი მემორანდუმი სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებული პრაქტიკის შესახებ:** კონკრეტულ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის კვლევა, რომლის შედეგებსაც იურისტი მემორანდუმის სახით აჯამებს. ასეთი ტიპის მემორანდუმებს ხშირად ითხოვენ არა კლიენტები, არამედ საქმეზე მომუშავე სხვა იურისტები. მაგალითად, კონკრეტულ საარბიტრაჟო დავასთან დაკავშირებით ქართველი იურისტი მუშაობს სხვა ქვეყნის იურისტებთან ერთად და დავის საგანი ქართული სამართლით არის დარეგულირებული: შესაძლოა, ქართველ იურისტს უცხოელმა კოლეგებმა სთხოვონ კონკრეტულ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მომზადება. ალტერნატიულად, შეიძლება ასეთი სამართლებრივი მემორანდუმი ფირმის იურისტისგან მოითხოვოს კლიენტის შიდა იურისტმა კონკრეტული სამართლებრივი საკითხის ან/და რისკების შეფასების მიზნით.

აღწერილობითი მემორანდუმი შეიძლება მომზადდეს შემდეგ საკითხებზე:

- საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა პირობით გარიგებებთან დაკავშირებით;
- საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა შეცდომით დადებულ გარიგებებთან დაკავშირებით;
- საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა წინარე ხელშეკრულებებთან დაკავშირებით;
- და სხვა.

#### 4.1.2. მემორანდუმის სტრუქტურა

აღწერილობითი მემორანდუმის უნივერსალური სტრუქტურა არ არსებობს. მემორანდუმის სტრუქტურა დამოკიდებულია კონკრეტული მემორანდუმის მომზადების მიზანზე, სამიზნე აუდიტორიასა და საკითხზე. ნებისმიერ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ მემორანდუმის ავტორს კარგად ესმოდეს სამართლებრივი საკითხი ან ფაქტობრივი გარემოებები, რადგან ხშირად შესაბამისი ჩარჩო ან არსებული ფაქტები გვეკარნახობს ზუსტ სტრუქტურას.

აღწერილობითი მემორანდუმის სანყისი ნაწილები მეტწილად მსგავსია და მოიცავს შემდეგს:

- შესავალი და მომზადების მიზანი;
- შესაბამისი წყაროების აღწერა. თუ მემორანდუმი მომზადებულია ფაქტობრივი გარემოებების აღწერის მიზნებისთვის, იმ დოკუმენტების ან იმ ინფორმაციის აღწერა, რომელსაც ეყრდნობა დოკუმენტი;
- დაშვებები;
- კონკრეტული მემორანდუმისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნაწილები;
- დასკვნა და შეჯამება (თუ ეს შეესაბამება მემორანდუმის მომზადების მიზანსა და ფორმატს).

აღსანიშნავია, რომ აღწერილი სტრუქტურა საჭიროებებიდან გამომდინარე იცვლება. თუმცა, კარგად მომზადებული მემორანდუმი გარკვეული ფორმით შეიცავს ყველა ზემოაღნიშნულ ნაწილს. ეს ლოგიკურიცაა, რადგან შეუძლებელია სამართლებრივ საკითხზე მსჯელობა წყაროების აღწერის, დასმული შეკითხვების იდენტიფიცირების და იურისტის დაშვებების გარეშე. რაც შეეხება კონკრეტული მემორანდუმისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ნაწილებს, იგი განსხვავდება სამართლებრივი საკითხის ან აღსაწერი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით.

მნიშვნელოვანია წერის მარტივი სტილის შენარჩუნება: აღწერილობითი მემორანდუმი მზადდება სწორედ იმისათვის, რომ რთული სამართლებრივი საკითხები ან ჩახლართული ფაქტობრივი გარემოებები ყველასთვის მარტივი და გასაგები გახდეს. თუ აღწერილობითი მემორანდუმი კლიენტისთვის მზადდება, აუცილებელი არ არის მისი გადატვირთვა სქოლიოებით, რადგან ხშირად კლიენტს აინტერესებს სამართლებრივი ჩარჩო და არა კონკრეტული სამართლებრივი წყაროები. ასევე მნიშვნელოვანია, სამართლებრივ საკითხზე მემორანდუმის მომზადებისას მაქსიმალურად აარიდოთ თავი კანონიდან პირდაპირ ციტირებას. სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობა უნდა გამყარდეს კონკრეტული მაგალითებით, რათა მკითხველმა მარტივად გაიგოს ნორმის ან წესის შინაარსი და მნიშვნელობა. თქვენი მიზანია, გაამარტივოთ და გასაგები გახადოთ ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანი ან გაუგებარი კანონის ენა.

#### 4.1.3. შესავალი და მომზადების მიზანი

მემორანდუმის შესავალი ნაწილი განმარტავს მემორანდუმის მომზადების მიზანს და იურისტის მიერ მიღებულ კონკრეტულ დავალებას. მემორანდუმის პირველი წინადადება ზოგადად პასუხობს რამდენიმე ძირითად კითხვას:

- (1) ვინ არის მემორანდუმის ავტორი;
- (2) ვინ არის მემორანდუმის ადრესატი;
- (3) ზოგადად, რა საკითხს ეხება მემორანდუმი.

მაგალითად, თუ მემორანდუმი აღწერს საქართველოს შრომით კანონმდებლობას, იგი შესაძლოა დაიწყოს შემდეგი წინადადებით: „წინამდებარე მემორანდუმი ასახავს იურიდიული ფორმა ა-ს პასუხს კომპანია ბ-ის კითხვებზე საქართველოში მოქმედ შრომით კანონმდებლობასთან დაკავშირებით“. ასევე, მემორანდუმის პირველი წინადადება შეიძლება იყოს შემდეგნაირი: „კომპანია ა-ს მიერ იურიდიული კომპანია ბ-ისთვის 2019 წლის 12 სექტემბერს წარდგენილი მოთხოვნის შესაბამისად, ეს მემორანდუმი აღწერს შრომით კანონმდებლობას საქართველოში“.

შესაძლოა, კლიენტმა ითხოვოს შერჩეული სამართლებრივი საკითხის ზოგადი განხილვა საკითხების დაზუსტების გარეშე. ასეთ შემთხვევაში, იურისტს შეუძლია, დამატებითი კითხვები დაუსვას კლიენტს, საკითხის დაზუსტების და სწორი პარამეტრების განსაზღვრის მიზნით. თუ კლიენტის მიერ დასმულია კონკრეტული კითხვები, მაშინ ისინი მემორანდუმის შესავალ ნაწილში ჩამოთვლილი და მემორანდუმი კონკრეტულად პასუხობს მათ. გაითვალისწინეთ, რომ შესაძლოა, კლიენტის კითხვა იყოს მეტად დავიწროვებული და სრულყოფილი პასუხის გასაცემად აუცილებელი იყოს სხვა საკითხებზე მსჯელობაც.

ზოგადი შესავლის შემდეგ, მემორანდუმის შესავალი ნაწილი მკითხველს აცნობს მემორანდუმის სტრუქტურას და მიუთითებს, რომელ საკითხებს განიხილავს მემორანდუმის კონკრეტული ნაწილი. მნიშვნელოვანია, შესავალი ნაწილი იყოს გზამკვლევი მემორანდუმის მკითხველისთვის, რათა საჭიროების შემთხვევაში, კლიენტმა მარტივად შეძლოს იმ ნაწილის იდენტიფიცირება, რომელიც კონკრეტულად ეხება მისთვის საინტერესო საკითხს/ებს.

#### **4.1.4. მარეგულირებელი კანონმდებლობის აღწერა/გამოყენებული დოკუმენტები**

მემორანდუმის ეს ნაწილი ზოგადად აღწერს/ჩამოთვლის გამოყენებულ წყაროებს და იმ დოკუმენტებს, რომლებსაც იურისტი დაეყრდნო აღწერილობითი მემორანდუმის მომზადების დროს. თუ მემორანდუმის მიზანია კონკრეტული სამართლებრივი საკითხის განხილვა, აუცილებელია, აღინიშნოს ყველა გამოყენებული კანონი თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რათა სურვილის შემთხვევაში, მკითხველი თავადაც გაეცნოს გამოყენებულ წყაროებს. იურისტმა კვლევის პროცესში უნდა დაიცვას „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იერარქია. მიუხედავად ამისა, უშუალოდ სამართლებრივი საკითხის მემორანდუმში აღწერისას, არ არის აუცილებელი, აღწეროს, რატომ ენიჭება კონკრეტულ ნორმას უპირატესობა სხვა ნორმებთან მიმართებით. ამ შემთხვევაში იურისტმა მარტივად უნდა გადმოსცეს კვლევის შედეგები, ხოლო ნორმათა შორის იერარქია/ანალიზი კლიენტისთვის მნიშვნელოვანი არ არის.

მემორანდუმის ამ ნაწილში ზუსტდება/ეთითება გამოყენებული კანონმდებლობის ვერსია. ზოგჯერ კლიენტისთვის მნიშვნელოვანია არა მემორანდუმის თარიღზე არსებული კანონმდებლობა, არამედ კანონის ძველი რედაქცია.

თუ მემორანდუმი მომზადდა ფაქტობრივი გარემოებების აღწერის მიზნით, ამ ნაწილში უნდა გაკეთდეს მითითება იმ დოკუმენტებზე, რომელსაც დაეყრდნო იურისტი, ასევე

ინფორმაციაზე, რომელიც მას მიანოდეს მემორანდუმის მოსამზადებლად. თუ გამოყენებული დოკუმენტების ჩამონათვალი ვრცელია, შესაძლოა, მემორანდუმს დანართის სახით დაემატოს იმ დოკუმენტების სია, რომელსაც იურისტი გაეცნო ფაქტობრივი გარემოებების აღწერის მიზნით.

#### 4.1.5. დაშვებები

იურისტმა ზუსტად უნდა განსაზღვროს დაშვებები, რომელსაც იგი დაეყრდნო დოკუმენტის მომზადების პროცესში. როგორც ზემოთ აღინიშნა, სამართლებრივი მემორანდუმის მომზადებისას მნიშვნელოვანია, იურისტმა ხაზი გაუსვას, რომელი თარიღისთვის მოქმედ კანონმდებლობას ეყრდნობა სამართლებრივი ჩარჩოს აღწერა. ასევე, აუცილებელია, მემორანდუმის ავტორმა ყურადღება გაამახვილოს, რომ გამოყენებული სამართლებრივი წყაროების ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, შესაძლოა შეიცვალოს მემორანდუმში აღწერილი სამართლებრივი ჩარჩო.

ფაქტობრივი გარემოებების აღწერისას მნიშვნელოვანია, იურისტმა მიუთითოს, რომ იგი ეყრდნობა დაშვებას, რომ მისთვის წარდგენილი დოკუმენტები ნამდვილია, არ არის ყალბი და მისთვის მიწოდებული ინფორმაცია არის სრული. ასევე, დაშვებების ნაწილში უნდა აღინიშნოს, რომ იურისტისთვის უცნობია დოკუმენტების ჩამონათვალში მითითებული დოკუმენტების გარდა სხვა დოკუმენტების არსებობის შესახებ, რომლებსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებზე და მას დამოუკიდებლად არ მოუძიებია და არ შეუმონებია ასეთი დოკუმენტები.

თუ აღწერილობითი მემორანდუმი მომზადებულია ხელშეკრულების პირობების აღწერის მიზნებისთვის, ავტორმა უნდა მიუთითოს, რომ მემორანდუმი მომზადებულია ხელშეკრულების იმ ვერსიაზე დაყრდნობით, რომელიც მას მიეწოდა და მისთვის არ არის ცნობილი ხელშეკრულების ცვლილებების ან/და სხვა ვერსიის შესახებ.

#### 4.1.6. კონკრეტული მემორანდუმისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნაწილები

აღწერილობითი მემორანდუმის შემდგომი ნაწილები სრულად არის დამოკიდებული მის შინაარსზე.

თუ იურისტი ამზადებს აღწერილობით მემორანდუმს სამართლებრივი საკითხის შესახებ, მიზანშეწონილია, არსებითი თავები დაიყოს ძირითადი თემების მიხედვით. მაგალითად, თუ მემორანდუმი ეხება საქართველოში დირექტორთა პასუხისმგებლობის პრინციპებს, მემორანდუმი შესაძლოა დაიყოს შემდეგ ნაწილებად:

- დირექტორთა პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპები;
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორის ვალდებულებები;
- სააქციო საზოგადოების დირექტორის ვალდებულებები;
- ანგარიშვალდებული სანარმოს დირექტორის ვალდებულებები.

იურისტი უნდა ეცადოს, სამართლებრივი საკითხების განხილვა დაიწყოს ზოგადი ნაწილიდან და შემდგომ თავებში განიხილოს სპეციფიკური/კონკრეტული საკითხები ან გამონაკლისი შემთხვევები.

როდესაც მემორანდუმი მომზადებულია ფაქტობრივი გარემოებების აღწერისთვის, მიზანშეწონილია, მისი სტრუქტურა დალაგდეს ქრონოლოგიის შესაბამისად. მაგალითად, თუ მემორანდუმი ეხება მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტას და მასთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებს, მემორანდუმის შემდგომი ნაწილები შესაძლოა შემდეგნაირად დალაგდეს:

- ხელშეკრულების ხელმოწერისა და მხარეთა მოლაპარაკებების ეტაპი;
- ხელშეკრულების პირობების ზოგადი აღწერა;
- ფაქტები, რომელიც წინ უძღვოდა ხელშეკრულების შეწყვეტას;
- ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლების აღწერა;
- ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომი მოქმედებები.

თუ მემორანდუმი აღწერს ხელშეკრულების პირობებს, მისი აგებულება დიდწილად დამოკიდებულია უშუალოდ ხელშეკრულების სტრუქტურაზე, თუმცა შესაძლოა მემორანდუმი დაიყოს შემდგომ ნაწილებად:

- ხელშეკრულების საგანი და მიზანი;
- მხარეთა უფლებები;
- მხარეთა ვალდებულებები;
- ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები;
- ხელშეკრულების სხვა პირობები.

თუ კლიენტი ითხოვს სახელმწიფოსთან გაფორმებული საინვესტიციო შეთანხმების პირობების აღწერას, იურისტმა შეიძლება გამოყოს მთავარი საკითხები, რომელიც განხილული იქნება მემორანდუმში:

- ხელშეკრულების ძალაში შესვლის წინაპირობები;
- ინვესტორის ვალდებულებები ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ;
- სახელმწიფოს ვალდებულებები ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ;
- ხელშეკრულების ვადა და შეწყვეტის პირობები;
- ინვესტორისთვის მინიჭებული განსაკუთრებული გარანტიები;
- ხელშეკრულების სხვა დებულებები.

თუ აღწერილობითი მემორანდუმით იურისტი აფასებს სასამართლო პრაქტიკის კვლევის შედეგებს, ემჯობინება, თუ მემორანდუმის შემდგომ თავებში ცალ-ცალკე იქნება განხილული ყველა მნიშვნელოვანი სასამართლო საქმე მისი ფაქტობრივი გარემოებების და პროცედურული ისტორიის მოკლე აღწერით. უმნიშვნელოვანესია, ასეთი ტიპის მემორანდუმში ავტორმა მარტივად ახსნას როგორც სასამართლოს მიერ კონკრეტულ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებული პრაქტიკა, ისე მოიხმოს კონკრეტული ციტატები გადანაცვლებიდან.

მნიშვნელოვანია, რომ მემორანდუმი სამართლებრივი საკითხის შესახებ განვასხვავოთ სასამართლოს გადანაცვლებების მოკლე შინაარსისგან, ე.წ. case brief-ისგან. ეს უკანასკნელი უმეტესად იყოფა შემდეგ ნაწილებად:

- ფაქტობრივი გარემოებები;
- პროცედურული საკითხები;
- სასამართლოს განსახილველი საკითხები;
- სასამართლოს მსჯელობა;
- სასამართლოს დასკვნა.

აღწერილობითი მემორანდუმი სასამართლო პრაქტიკის შესახებ ეხება არა ერთ კონკრე-



ტულ საქმეს, არამედ ერთ დოკუმენტში აერთიანებს სასამართლოს მიერ კონკრეტულ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით მიღებულ დასკვნებს. იურისტმა თავად უნდა გადანიშნოს, რამდენად არის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებებისა და პროცედურული ისტორიის თხრობა. შესაძლოა, იურისტმა საერთოდ არ აღწეროს ფაქტობრივი გარემოებები და პროცედურული ისტორია, თუ მათ გადაწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს სასამართლოს მიერ კონკრეტული ნორმის განმარტებისთვის. ასეთი ტიპის მემორანდუმში მნიშვნელოვანია, რომ იურისტმა აღწეროს კონკრეტულ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს პოზიცია და საჭიროების შემთხვევაში, მოიყვანოს შესაბამისი ციტატაც.

მაგალითად, თუ აღწერილობითი მემორანდუმი ეხება საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკას პირობით გარიგებებთან დაკავშირებით, მემორანდუმი შესაძლოა დაიყოს შემდეგ ნაწილებად:

- საერთო სასამართლოების პრაქტიკა პირობითი გარიგების ცნებასთან დაკავშირებით;
- საერთო სასამართლოების პრაქტიკა პირობითი გარიგების შედეგებთან დაკავშირებით;
- საერთო სასამართლოების პრაქტიკა პირობის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით;
- საერთო სასამართლოების პრაქტიკა პირობითი გარიგების ბათილობასთან დაკავშირებით.

ყველა შემთხვევაში, აღწერილობითი მემორანდუმის თავების სტრუქტურა დამოკიდებულია უშუალოდ მემორანდუმის ძირითად თემაზე და შეუძლებელია ერთიანი, უნივერსალური სტრუქტურის შემოთავაზება.

#### 4.1.7. დასკვნა და შეჯამება

ხშირად აღწერილობითი მემორანდუმისთვის არ არის დამახასიათებელი დასკვნების ნაწილი, რადგან იგი წარმოადგენს კონკრეტული სამართლებრივი საკითხის, ფაქტობრივი გარემოებების, ხელშეკრულებისა თუ სასამართლო პრაქტიკის აღწერას. შესაძლოა, დასკვნაში მოკლედ და მარტივად გადმოიციოს მემორანდუმის შინაარსი. გაითვალისწინეთ, რომ მცირე მოცულობის მემორანდუმში, დასკვნებისა და შეჯამების ნაწილის არსებობა აუცილებელი არ არის. შესაძლოა, მემორანდუმს შეჯამების ნაცვლად ჰქონდეს ბოლო შემჯამებელი წინადადება, რომლითაც იურისტი მოუწოდებს კლიენტს, დაუსვას დამატებითი კითხვები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

#### 4.1.8. ეფექტური აღწერილობითი მემორანდუმის მაგალითი

### მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

**თარიღი** 2019 წლის 20 ნოემბერი  
**ადრესატი** კომპანია “X”  
**ავტორი** იურიდიული ფირმა “Y”  
**საგანი** პერსონალურ მონაცემთა დაცვა საქართველოში

სათაურში გამოტანილია ყველა საჭირო დეტალი: თარიღი, ადრესატი, ავტორი და საგანი.

#### I. შესავალი და მომზადების მიზანი

1. წინამდებარე მემორანდუმი ასახავს იურიდიული ფირმა ბ-ის პასუხებს კომპანია ა-ს კითხვებზე საქართველოში პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით. კონკრეტულად, თქვენ გაინტერესებთ რეგულაციების აღწერა მარეგულირებელ სამართალსა და წესებზე შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

მემორანდუმის შესავალ ნაწილში განსაზღვრულია, თუ რომელ საკითხს ეხება დოკუმენტი, ვისთვის არის იგი მომზადებული და ვის მიერ.

- a. თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების დამუშავება;
- b. თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების გადაცემა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

შესავალ ნაწილში ასევე განსაზღვრულია კონკრეტული საკითხები, რომლებსაც პასუხობს წინამდებარე მემორანდუმი.

2. ქვემოთ მოკლედ არის აღწერილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში და ყურადღება გამახვილებულია შრომით ურთიერთობებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხზე.

3. წინამდებარე მემორანდუმის მე-2 ნაწილში არის მარეგულირებელი კანონმდებლობის აღწერა, მე-3 ნაწილში კი არის ზოგადი ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ. მე-4 ნაწილში აღწერილია მონაცემთა დამუშავების ამომწურავი საფუძვლები და განხილულია თანხმობის მნიშვნელობა. მე-5 ნაწილში საუბარია ვიდეო თვალთვალთან დაკავშირებულ წესებზე როგორც ზოგადად, ასევე სამუშაო ადგილზე. მე-6 ნაწილში აღწერილია დასაქმებულის უფლებები და მე-7 ნაწილში დამსაქმებლის ვალდებულებები. მე-8 ნაწილში საუბარია დასაქმებულის პერსონალური მონაცემების გადაცემაზე საქართველოს ფარგლებს გარეთ. მე-9 ნაწილში აღწერილია წინამდებარე მემორანდუმში განხილული ვალდებულებების დარღვევის შედეგები. მე-10 ნაწილში კი შეჯამებულია წინამდებარე მემორანდუმში განხილული სამართლებრივი საკითხები.

შესავლის ეს ნაწილი წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს იმისათვის, რომ მემორანდუმის მკითხველმა ზუსტად გაიგოს მემორანდუმის სტრუქტურა და მარტივად იპოვოს პასუხები მისთვის საინტერესო კითხვებზე.

## II. მარეგულირებელი კანონმდებლობის აღწერა

4. საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ (**„პერსონალური მონაცემების კანონი“**) არის მთავარი საკანონმდებლო აქტი, რომელიც არეგულირებს პერსონალური მონაცემების შეგროვების, შენახვისა და გამოყენების წესებს საქართველოში. პერსონალური მონაცემების კანონის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური (**„სახელმწიფო ინსპექტორი“**). შესაბამისად, საქართველოს კანონი სახელმწიფო ინსპექტორი სამსახურის შესახებ (**„ინსპექტორის შესახებ კანონი“**) განსაზღვრავს მაკონტროლებელი ორგანოს უფლებებსა და ვალდებულებებს.

მემორანდუმის ეს ნაწილი ჩამოთვლის იმ საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც მნიშვნელოვანია განსახილველი სამართლებრივი საკითხების სრული და ყოვლისმომცველი ანალიზისთვის.

5. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის სრული ანალიზისთვის, ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინსპექტორის მიერ მიღებული შემდეგი ბრძანებები და რეკომენდაციები:
  - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2014 წლის 16 სექტემბრის ბრძანება N1 პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხის დამტკიცების თაობაზე;
  - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 16 ნოემბრის ბრძანება N7 ფაილური სისტემის კატალოგის წარმოების შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის შეტყობინებისა და ფაილური სისტემის კატალოგების გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ;
  - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის რეკომენდაციები შრომით ურთიერთობებში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ.

მემორანდუმი მიუთითებს, რომ შესაძლოა არსებობდეს დამატებითი ბრძანებები ან რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია საკითხის გასაანალიზებლად.

6. წინამდებარე მემორანდუმის მომზადების მიზნებისთვის გამოყენებულია წინამდებარე მემორანდუმის მომზადების პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა (თარიღი: 2019 წლის 20 ნოემბერი). კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს წინამდებარე მემორანდუმის ცვლილება.

მემორანდუმის ეს ნაწილი ასევე მოიცავს დაშვებებს გამოყენებულ სამართლებრივ წყაროებთან დაკავშირებით.

7. ჩვენთვის ცნობილია, რომ კომპანია ა განიხილავს დიდ ბრიტანეთში, ესპანეთსა და შვედეთში მონაცემთა გადაცემის საკითხს. წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისთვის, ჩვენ შევავსეთ მხოლოდ აღნიშნულ ქვეყნებში მონაცემთა გადაცემის პროცედურა.

მნიშვნელოვანია, რომ ავტორი ასახელებს რამდენიმე იურისდიქციას. სავარაუდოდ, იურისტმა იცის კლიენტის კავშირები აღნიშნულ იურისდიქციებთან. გამომდინარე იქიდან, რომ კლიენტს კონკრეტულად აინტერესებს მონაცემთა საქართველოს ფარგლებს გარეთ გადაცემის საკითხი და თითოეული ქვეყანა ცალ-ცალკე უნდა შეფასდეს, იურისტი ასახელებს კონკრეტულ ქვეყნებს, რომლებთან კლიენტის კავშირის შესახებ მისთვის ცნობილია და სადაც კლიენტმა შეიძლება გადასცეს ინფორმაცია.

### III. ზოგადი ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ

8. პერსონალური მონაცემების კანონის მიზნებისთვის, პერსონალური მონაცემი („მონაცემი“) არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. კანონი განსხვავებულ წესებს ითვალისწინებს განსაკუთრებული კატეგორიისა და ბიომეტრიული მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით.
  
9. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი არის მონაცემი, რომელიც უკავშირდება პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსს, პროფესიულ კავშირში განეწიებას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, სქესობრივ ცხოვრებას, ნასამართლობას, ადმინისტრაციულ პატიმრობას, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებას, განრიდებას, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებას ან დაზარალებულად ცნობას, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ზემოაღნიშნული ნიშნებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა („განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი“). ბიომეტრიული მონაცემი არის ფიზიკური, ფსიქიკური ან ქცევის მახასიათებელი, რომელიც უნიკალური და მუდმივია თითოეული ფიზიკური პირისათვის და რომლითაც შესაძლებელია ამ პირის იდენტიფიცირება (თითის ანაბეჭდი, ტერფის ანაბეჭდი, თვალის ფერადი გარსი, თვალის ბადურის გარსი (თვალის ბადურის გამოსახულება), სახის მახასიათებელი) („ბიომეტრიული მონაცემი“).
  
10. მონაცემთა დამუშავება არის მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი ქმედება, როგორც არის მონაცემთა შეგროვება, ჩანერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩანერა, ვიდეოჩანერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად ქცევის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, ნაშლა ან განადგურება. მონაცემთა დამუშავება შეიძლება როგორც ავტომატური, ასევე ნახევრად არაავტომატური ან არაავტომატური საშუალებით.

მემორანდუმის ეს ნაწილი ზოგადად აღწერს პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ კანონმდებლობას. განმარტავს პერსონალურ მონაცემებს, მონაცემთა კატეგორიებსა და დამუშავების ტერმინებს.

11. წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისთვის, დამსაქმებელი არის მონაცემთა დამამუშავებელი ხოლო ნებისმიერი პირი, რომლის მონაცემებსაც ამუშავებს მონაცემთა დამამუშავებელი, არის მონაცემთა სუბიექტი.
12. პერსონალურ მონაცემთა დამამუშავება ეყრდნობა რამდენიმე ძირითად პრინციპს:
  - a. კონსტიტუციური უფლებების დაცვა: მონაცემები უნდა დამამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავად;
  - b. მონაცემების სამართლიანი და კანონიერი დამამუშავება: მონაცემები შეიძლება დამამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით;
  - c. პროპორციულობა: მონაცემები შეიძლება დამამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევაც მუშავდება ისინი;
  - d. ნამდვილობა და სიზუსტე: მონაცემები ნამდვილი და ზუსტი უნდა იყოს და, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განახლდეს. კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს.

მემორანდუმის ეს აბზაცი მარტივად აღწერს კანონში მოცემულ ტერმინებს და აზუსტებს დასაქმებულისა და დამსაქმებლის როლებს მონაცემთა დამამუშავებასთან მიმართებით.

მემორანდუმის ეს ნაწილიც გვთავაზობს იმ ზოგად პრინციპებს, რომლებსაც ეყრდნობა კონკრეტული სამართლებრივი საკითხი და რომელთა დაცვაც აუცილებელია სამართლებრივი წარჩოს დასაცავად.

IV. დასაქმებულის მონაცემთა დამუშავების საფუძველები

13. კანონი პირდაპირ ითვალისწინებს მონაცემთა დამუშავების საფუძველებს და ეს ჩამონათვალის ამომწურავია. შრომითი ურთიერთობის დროს დასაქმებულის მიერ კონკრეტული მონაცემების წარდგენას და დამუშავებას უშუალოდ კანონი ითვალისწინებს. ზოგ შემთხვევაში, დამუშავების საფუძველი შესაძლოა იყოს დასაქმებულის თანხმობა. თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების საფუძველი, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის წინასწარი თანხმობის საფუძველზე. ასეთი თანხმობა მონაცემთა სუბიექტის მიერ უნდა გაიცეს როგორც მონაცემთა კატეგორიაზე, ასევე მისი დამუშავების მიზანზე, პირთა წრეზე, რომელსაც შეიძლება გადაეცეს მონაცემები და ასეთი გადაცემის პირობებზე. დასაქმებულის თანხმობა გაცემული უნდა იყოს ნებაყოფლობით, ზეპირად, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით, რომლითაც შესაძლებელია ნათლად დადგინდეს მონაცემთა სუბიექტის ნება. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს თქვას უარი მის მიერ გაცემულ თანხმობაზე და მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა.
14. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება შრომით ურთიერთობებში შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის საფუძველზე ან, თუ ასეთი დამუშავება აუცილებელია, შრომითი ვალდებულების შესასრულებლად, ან მასთან დაკავშირებული უფლების განსახორციელებლად. ერთ-ერთი გამონაკლისი არის ნა-სამართლობასთან და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება, რომელიც აუცილებელია შრომითი ვალდებულებების და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების თაობაზე გადანაცვლების მისაღებად. ასეთი მონაცემების მოთხოვნა და დამუშავება შესაძლებელია კონკრეტული პირის სამუშაოსთან შესაბამისობის დასადგენად ან პრევენციული სამედიცინო მიზნებისთვის.

ზოგადი ჩარჩოს აღწერის შემდეგ, მემორანდუმის ეს ნაწილი უშუალოდ განიხილავს დასაქმებულის მონაცემთა დამუშავების საფუძველებს. ამ ნაწილში მემორანდუმის ავტორი ზოგადი ნაწილიდან გადადის კონკრეტული საკითხების განხილვაზე, რომლებიც ეხება მემორანდუმის მთავარ თემას.

15. დამსაქმებლები ასევე ხშირად ამუშავენ ბიომეტრიული მონაცემებს. მაგალითად, ორგანიზაციები თითის ანაბეჭდების მეშვეობით აკონტროლებენ შენობაში დასაქმებულთა შესვლისა და გასვლის დროებს. ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ დამსაქმებელი დაადასტურებს, რომ ასეთი დამუშავება აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნით, ან საიდუმლო ინფორმაციის გააფლავების თავიდან ასაცილებლად. მნიშვნელოვანია, რომ დამსაქმებელმა ბიომეტრიული მონაცემების დამუშავებამდე მიანოდოს ინფორმაცია სახელმწიფო ინსპექტორს მონაცემთა დამუშავების მიზეზის, დაცვის გარანტიებისა და იმ ინფორმაციის შესახებ, რომელსაც იგი აწვდის მონაცემთა სუბიექტს.

მემორანდუმის ეს ნაწილი ასევე ითვალისწინებს სპეციფიკურ შემთხვევას, როდესაც მოქმედებს მონაცემთა დამუშავების სხვა სტანდარტები. გთხოვთ, მიაქციეთ ყურადღება, რომ ავტორი უმეტესად თავს არიდებს კანონის პირდაპირ ციტირებას. ასევე, ამ აბზაცში ავტორს მოჰყავს კონკრეტული მაგალითი მონაცემთა დამუშავების კანონიერების აღწერის მიზნით.

#### V. ვიდეოთვალთვალი სამუშაო ადგილზე

16. ვიდეოთვალთვალის განხორციელება სამუშაო ადგილზე შესაძლებელია განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოების, ქონების ან საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისთვის, თუ ასეთი მიზნის მიღწევა სხვაგვარად შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში, დასაქმებული წერილობით უნდა იყოს ინფორმირებული ვიდეო თვალთვალისა და მისი უფლებების შესახებ.

17. მნიშვნელოვანია, რომ ვიდეოთვალთვალის განხორციელების შესაძლებლობა ავტომატურად არ გულისხმობს ხმის ჩანერასაც. ხმის ჩანერა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია დასაშვები და ამის შესახებ დასაქმებული სრულად უნდა იყოს ინფორმირებული.

18. მნიშვნელოვანია, რომ შენობაში დასაქმებული ყველა პირი დამსაქმებელმა წერილობით გააფრთხილოს ვიდეოთვალთვალის შესახებ. ასევე აუცილებელია, რომ ტერიტორიაზე განთავსდეს გამაფრთხილებელი ნიშნები ვიდეოთვალთვალის შესახებ.

მემორანდუმის შემდგომი ნაწილი განიხილავს კიდევ ერთ სპეციფიკურ საკითხს, რომელიც ეხება სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალს. მემორანდუმის ავტორი ამ შემთხვევაშიც მკითხველს აწვდის სრულ ინფორმაციას იმ ზომების შესახებ, რომლებიც დამსაქმებელმა უნდა მიიღოს ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას.



## VI. დასაქმებულის უფლებები

19. მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება, ნებისმიერ დროს მოითხოვოს ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების შესახებ. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს ინფორმაცია დამუშავებული მონაცემების, მიზნის, სამართლებრივი საფუძვლისა და მონაცემთა დამუშავების გზების შესახებ, ასევე ინფორმაცია იმ პირების შესახებ, რომელთაც გადაეცათ მონაცემები.
20. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, გაასწოროს, განახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს და განადგუროს მონაცემები, თუ ისინი: (ა) არასრულია; (ბ) არაზუსტია; (გ) არ არის განახლებული; ან (დ) თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, შეასრულოს მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნა 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში.
21. მონაცემთა სუბიექტს ასევე უფლება აქვს, უარი თქვას მის მიერ გაცემულ თანხმობაზე ან მოითხოვოს დამუშავებული მონაცემების წაშლა. მონაცემთა სუბიექტის მიერ თანხმობაზე უარის თქმის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, ასეთი უარის მიღებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში წაშალოს ან განადგუროს მონაცემები. მონაცემთა დამმუშავებელს აქვს უფლება, შეინახოს ან გააგრძელოს მონაცემთა დამუშავება, თუ თანხმობის გარდა არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი.

გამომდინარე იქიდან, რომ მემორანდუმში მოთხოვნილია დამსაქმებლის მიერ, მნიშვნელოვანია, მან იცოდეს ყველა ის უფლება, რომლითაც სარგებლობენ მისი დასაქმებულები. სხვაგვარად მემორანდუმის მკითხველს არ ექნება სრული ინფორმაცია საკითხის შესახებ.

## VII. დამსაქმებლის ვალდებულებები

22. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან.

23. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა, ანუ აუცილებელია, ელექტრონულ სისტემას ჰქონდეს განხორციელებული ქმედებების ჩანერის უნარი. არაელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა დამმუშავებისას მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, უზრუნველყოს მონაცემთა გამჟღავნებასთან ან/და ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების აღრიცხვა.
24. რეკომენდაციების თანახმად, ყველა კომპანიას უნდა ჰქონდეს შიდა პოლიტიკა და წესები პერსონალური მონაცემების დაცვასა და პერსონალური მონაცემების კანონის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით.
25. იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა დამმუშავებელს მონაცემები დალაგებული აქვს სტრუქტურულად, კონკრეტულად, თუ მონაცემები დალაგებული და ხელმისაწვდომია კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით („**ფაილური სისტემა**“), მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, აწარმოოს კატალოგი, რომელიც დეტალურად აღწერს ფაილური სისტემის სტრუქტურასა და შინაარსს („**ფაილური სისტემის კატალოგი**“). ფაილური სისტემის კატალოგი სახელმწიფო ინსპექტორს უნდა წარედგინოს ფაილური სისტემის დანერგვამდე. ფაილური სისტემის კატალოგი ელექტრონულად უნდა წარედგინოს ინსპექტორს შემდეგი ვებ-გვერდის მეშვეობით: [catalog.pdp.ge](http://catalog.pdp.ge). ფაილური სისტემის კატალოგში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, ინსპექტორს განახლებული ინფორმაცია უნდა წარედგინოს 30 (ოცდაათი) დღის ვადაში.

ასევე მნიშვნელოვანია, მემორანდუმის მკითხველს ზუსტად ესმოდეს მისი ვალდებულებები. მემორანდუმის ეს ნაწილი აღწერს იმ აუცილებელ ორგანიზაციულ თუ ტექნიკურ საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია.

აღსანიშნავია, რომ მემორანდუმი ასევე შეიცავს ინსტრუქციებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა შეასრულოს მკითხველმა თავისი ვალდებულებები. აღნიშნული ინფორმაცია ემყარება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ბრძანებას, თუმცა ამ საკითხის აღნიშვნა უშუალოდ მემორანდუმის ტექსტში აუცილებელი არ არის.

### VIII. მონაცემთა გადაცემა საქართველოს ფარგლებს გარეთ

26. მონაცემთა გადაცემა საქართველოს ფარგლებს გარეთ, ასევე მონაცემთა შენახვა საქართველოს გარეთ არსებულ სერვერზე, არის მონაცემების გადაცემა სხვა სახელმწიფოსთვის. ასეთი გადაცემა ნებადართულია, თუ: (ა) არსებობს მონაცემთა დამმუშავების კანონიერი საფუძველი; (ბ) მიმღებ სახელმწიფოს აქვს მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები.

27. სახელმწიფო ინსპექტორი განსაზღვრავს ე.წ. „სახელმწიფოთა თეთრ სიას“, ანუ იმ სახელმწიფოების სიას, რომლებსაც აქვთ სათანადო დაცვის გარანტიები („თეთრი სია“). დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი და შვედეთი, ასევე ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნები არიან თეთრი სიის წევრები.
28. შესაბამისად, თუ მონაცემთა დამმუშავებელი მონაცემებს გადასცემს კანონიერ საფუძველზე, მონაცემთა დამმუშავებლის ქმედებები შეესაბამება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონს. თუ მონაცემთა დამმუშავების საფუძველი არის თანხმობა, მონაცემთა სუბიექტმა უნდა გასცეს თანხმობა მონაცემების ასეთ გადაცემაზე.

მემორანდუმის ამ ნაწილში საუბარია კიდევ ერთ კონკრეტულ საკითხზე, რომელზე პასუხიც პირდაპირ იყო მოთხოვნილი მემორანდუმის შესავალში. საგულისხმოა, რომ ამ ნაწილში ავტორი სრულად არ ჩამოთვლის ქვეყნების სიას, რომელთათვისაც მონაცემთა გადაცემა დასაშვებია. აღნიშნული ინფორმაცია ემყარება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ბრძანებას, თუმცა ამ საკითხის აღნიშვნა უშუალოდ მემორანდუმის ტექსტში აუცილებელი არ არის.

## IX. პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა

29. საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკმარისად მაღალი სტანდარტია. სახელმწიფო ინსპექტორი ვალდებულია, უზრუნველყოს მონაცემთა დაცვის კანონის ზედამხედველობა და მონიტორინგი. ინსპექტორი უფლებამოსილია, დაინყოს ადმინისტრაციული წარმოება, მიიღოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და პერსონალურ მონაცემთა კანონის დარღვევის დააკისროს ჯარიმა. მონაცემთა დამმუშავების კანონის დარღვევისთვის ჯარიმა, დარღვევის ხარისხის გათვალისწინებით, შეიძლება იყოს 500 ლარიდან 3,000 ლარამდე.
30. მნიშვნელოვანია, რომ ერთი ქმედება შესაძლოა შეიცავდეს პერსონალურ მონაცემთა კანონმდებლობის რამდენიმე პასუხისმგებლობის საფუძველს და დარღვევი პირი შესაძლოა დაჯარიმდეს სხვადასხვა საფუძველით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ყველა დარღვევა და შემთხვევა ცალ-ცალკე შეფასდეს.

მემორანდუმის ეს ნაწილი კლიენტს აწვდის ინფორმაციას, თუ რა სანქციები შეიძლება დაეკისროს მას ზემოთ აღწერილი ვალდებულებების დარღვევისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ სანქციების სია საკმაოდ ვრცელი და დეტალურია, ადვოკატი კლიენტს აწვდის ზოგად ინფორმაციას და მიუთითებს, რომ თითოეული დარღვევა ცალკე უნდა შეფასდეს.

### X. დასკვნა და შეჯამება

31. საგულისხმოა, რომ ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. აუცილებელია, კონკრეტულ შემთხვევაში შეფასდეს მონაცემების კონკრეტული დამუშავების მიზანშეწონილობა და კანონიერება. ასევე, როგორც ზემოთ აღინიშნა, აუცილებელია, კომპანიას ჰქონდეს ერთიანი პოლიტიკა და სტანდარტები, რომლითაც ინტელმდღვანელებს მონაცემთა დამუშავების პროცესში.

მნიშვნელოვანია, რომ დასკვნის ამ ნაწილში ავტორი კიდევ ერთხელ ამხვილებს ყურადღებას მონაცემთა დამუშავების მნიშვნელობასა და კლიენტის მიერ განსაზოვრებული ქმედებებზე.

\* \* \* \*

ვიმედოვნებთ, მემორანდუმი სრულად პასუხობს თქვენ მიერ დასმულ კითხვებს. ჩვენ მზად ვართ, მოგცეთ დამატებითი რჩევები და ვუპასუხოთ დამატებით კითხვებს როგორც ამ მემორანდუმში განხილულ, ასევე ნებისმიერ სხვა სამართლებრივ საკითხებზე.

ეს ნაწილი მემორანდუმის არასავალდებულო ნაწილია. ის უფრო მეტად იურიდიული ფორმების არჩევანზე დამოკიდებული და შინაარსიც შესაბამისად შეიძლება შეიცვალოს.

#### 4.1.9. არაეფექტური აღწერილობითი მემორანდუმის მაგალითი

### მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

#### I. შესავალი

1. ეს მემორანდუმი ეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვას საქართველოში. მემორანდუმი მოკლედ აღწერს პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ კანონმდებლობას. მემორანდუმი დაყოფილია ნაწილებად.

შესავალში არ არის განსაზოვრული, რომელ საკითხს ეხება დოკუმენტი, ვისთვის არის იგი მომზადებული და ვის მიერ. შესავალ ნაწილში არ არის მითითებული კონკრეტული კითხვები. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მემორანდუმს არ აქვს გზამკვლევი და ზოგადად მიუთითებს, რომ იგი დაყოფილია ნაწილებად.

## II. კანონმდებლობის აღწერა

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვა საქართველოში რეგულირდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონით. აღსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვას საქართველოში ზედამხედველობს შესაბამისი სამსახური. გარდა კანონისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობის გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია სხვადასხვა ბრძანება და რეკომენდაცია.
3. მემორანდუმი მომზადებულია მემორანდუმის თარიღზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტორი მხოლოდ მიუთითებს კანონს, რომელიც არეგულირებს პერსონალურ მონაცემთა დაცვას საქართველოში. იგი არ ასახელებს ზედამხედველობის ორგანოს და კონკრეტულ სამართლებრივ აქტებს.

ასეთი დაშვება არ არის საკმარისი სრულყოფილი მემორანდუმისთვის. აუცილებელია, ავტორმა მიუთითოს, რომ კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს მემორანდუმის ცვლილება და ადრესატი მას ვერ დაეყრდნობა.

## III. განმარტებები

4. კანონი დეტალურად განმარტავს როგორც პერსონალური მონაცემების, ასევე განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების, ბიომეტრიული მონაცემების, გენეტიკური მონაცემებისა და სხვა ცნებებს.
5. პერსონალური არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

დაუშვებელია, მემორანდუმის თავს ჰქონდეს ასეთი დაუსრულებელი და უშინაარსო სათაური.

6. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი – მონაცემი, რომელიც უკავშირდება პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსს, პროფესიულ კავშირში განეწვევებას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, სქესობრივ ცხოვრებას, ნასამართლობას, ადმინისტრაციულ პატიმრობას, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებას, განრიდებას, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებას ან დაზარალებულად ცნობას, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ზემოაღნიშნული ნიშნებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა.
7. ბიომეტრიული მონაცემი არის ფიზიკური, ფსიქიკური ან ქცევის მახასიათებელი, რომელიც უნიკალური და მუდმივია თითოეული ფიზიკური პირისათვის და რომლითაც შესაძლებელია ამ პირის იდენტიფიცირება (თითის ანაბეჭდი, ტერფის ანაბეჭდი, თვალის ფერადი გარსი, თვალის ბადურის გარსი (თვალის ბადურის გამოსახულება), სახის მახასიათებელი).
8. გენეტიკური მონაცემი არის მონაცემთა სუბიექტის უნიკალური და მუდმივი მონაცემი გენეტიკური მემკვიდრეობის ან/და დნმ-ის კოდის შესახებ, რომლითაც შესაძლებელია ამ პირის იდენტიფიცირება.

ავტორს მემორანდუმის ამ ნაწილში, პირდაპირ, ყოველგვარი კონტექსტის გარეშე გადმოაქვს კანონის ტერმინთა განმარტების ნაწილი. თუ ავტორს სურს კონკრეტული ტერმინის განმარტება, აუცილებელია, ეს გაკეთდეს შესაბამის კონტექსტში და მკითხველს თავიდანვე ჰქონდეს წარმოდგენა, რა მიზნით განემარტება მას კონკრეტული ტერმინები.

#### A. მონაცემთა დამუშავების პრინციპები და მიზნები

ქვესათაურები არ არის სწორად და სისტემურად დანომრილი.

9. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ეყრდნობა რამდენიმე ძირითად პრინციპს:
  - კონსტიტუციური უფლებების დაცვა;
  - მონაცემების სამართლიანი და კანონიერი დამუშავება;
  - პროპორციულობა;
  - ნამდვილობა და სიზუსტე.

10. მონაცემთა დამუშავების საფუძვლები ამომწურავად არის მოცემული კანონში. კანონის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ:
- არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა;
  - მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;
  - მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;
  - მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად;
  - მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;
  - კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომად აქცია;
  - მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;
  - მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასანევად).

ამ ნაწილში ავტორი უბრალოდ ასახელებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ძირითად პრინციპებს ყოველგვარი დამატებითი ახსნა-განმარტების გარეშე. შეუძლებელია, მკითხველმა ამოიცნოს, რას გულისხმობს თითოეული პრინციპი. პრინციპების განხილვის შემდეგ ავტორი განიხილავს მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს. ეს ნაწილი ავტორს სრულად აქვს გადმონერილი კანონიდან, არ შეიცავს არანაირ ანალიზს, სისტემურ წყობას ან მაგალითებს.

**B. ვიდეოთვალთვალი და მონაცემთა საზღვარგარეთ გადაცემა**

11. კანონი განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც შესაძლებელია სამუშაო ადგილის თვალთვალი. ვიდეოთვალთვალის განხორციელება სამუშაო ადგილზე შესაძლებელია განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოების, ქონების ან საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისთვის, თუ ასეთი მიზნის მიღწევა სხვაგვარად შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში, დასაქმებული წერილობით უნდა იყოს ინფორმირებული ვიდეოთვალთვალისა და მისი უფლებების შესახებ.

ამ ქვეთავში ავტორი აერთიანებს საკითხებს, რომლებიც ერთმანეთს საერთოდ არ უკავშირდება.

ვიდეოთვალთვალთან დაკავშირებით ავტორი გვანდის მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და არ აღწერს ვალდებულებების შინაარსს. ავტორი არ აღწერს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორც არის ხმის ჩანერის შესაძლებლობა და დასაქმებულის გაფრთხილება ვიდეოთვალთვალთან დაკავშირებით.

12. თუ არსებობს მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძველი და მიმღებ სახელმწიფოს აქვს სათანადო დაცვის გარანტიები, მონაცემთა საზღვარგარეთ გადაცემა დასაშვებია. არსებობს ქვეყნების თეთრი სია, რომლებსაც აქვთ სათანადო დაცვის გარანტიები. ეს სია საკმაოდ ვრცელია და შეიცავს მთელ რიგ ქვეყნებს.

ავტორი დეტალურად არ აღწერს მონაცემთა საზღვარგარეთ გადაცემის საფუძველებსა და პროცედურას. ასევე, ძალიან ზოგადად ახსენებს ქვეყნების თეთრ სიას და არ უახსოვს კლიენტის მთავარ შეკითხვას.

### C. ფაილური სისტემების კატალოგი

იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა დამუშავებელს მონაცემები დალაგებული აქვს სტრუქტურულად, კონკრეტულად, თუ მონაცემები დალაგებული და ხელმისაწვდომია კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით, მონაცემთა დამუშავებელი ვალდებულია ფაილური სისტემის კატალოგის მიხედვით დააღაგოს. ასეთი კატალოგის წარმოებასთან დაკავშირებით წესები იხილეთ ვებ-გვერდზე [catalog.pdp.ge](http://catalog.pdp.ge).

ბუნდოვანია მსგავსი სათაური, რადგან მკითხველს შესაძლოა არც ესმის აღნიშნული ტერმინის მნიშვნელობა.

ამ ნაწილში ავტორი არღვევს ფორმატირების აქამდე გამოყენებულ წესს. ასევე, ავტორი მკითხველს არ უხსნის ფაილური სისტემების კატალოგის წარდგენის წესებს და ამისამართებს ვებ-გვერდზე.

### IV. დასკვნა

- პერსონალურ მონაცემთა კანონმდებლობის სრულად გასაანალიზებლად, მნიშვნელოვანია, კიდევ ერთხელ გაცნოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონს.
- ჩვენ მზად ვართ, მოგცეთ დამატებითი რჩევები და ვუპასუხოთ დამატებით კითხვებს როგორც ამ მემორანდუმში განხილულ, ასევე ნებისმიერ სხვა სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია, რომ მემორანდუმის ამ მაგალითს აკლია არსებითი ნაწილები, როგორცაა დამსაქმებლის ვალდებულებები და დასაქმებულის უფლებები. ასევე, მემორანდუმში ძალიან სუსტი სტრუქტურით არის აგებული და მარეგულირებელი კანონმდებლობის შესახებ არ შეიცავს სრულ ინფორმაციას. საგულისხმოა, რომ დასკვნაშიც ავტორი მკითხველის ყურადღებას ამახვილებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონზე. არადა, ასეთი მემორანდუმის მომზადების მიზანი სწორედ ის არის, რომ კლიენტს მარტივად მიეწოდოს ამომწურავი ინფორმაცია კანონის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ დასკვნაში ავტორს გადატანილი აქვს მემორანდუმის არასავალდებულო ნაწილი, რომელიც დოკუმენტის ბოლო შემაჯამებელი წინდადებაა და არა დასკვნის ნაწილი.



## 4.2. შეფასებითი მემორანდუმი

### 4.2.1. შეფასებითი მემორანდუმის მიზანი

შეფასებითი მემორანდუმში წარმოდგენილია შესაბამისი სამართლებრივი ნორმების აღწერა და ანალიზი და ახსნილია, როგორ ესადაგება ეს სამართლებრივი ნორმა კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს, იქნება ეს დავა, სამართლებრივი გარიგება თუ სხვა. შეფასებითი მემორანდუმი შეიძლება მომზადდეს ოფისში შიდა მოხმარებისათვის ან კლიენტთან გასაგზავნად. იმის მიხედვით, ვისთვის მზადდება მემორანდუმი და რა საკითხს ეხება, შესაძლოა, საჭირო იყოს მემორანდუმის ზოგიერთი ნაწილის ცვლილება. თუმცა სრულყოფილი შეფასებითი მემორანდუმის მოსამზადებლად რეკომენდებულია ქვემოთ განხილული ყველა ნაწილის დამუშავება და შესაბამისი ინფორმაციის გადმოცემა.

შეფასებითი მემორანდუმის ზოგადი ფორმა შეიძლება დამოკიდებული იყოს კონკრეტული იურიდიული ფირმის მოთხოვნებზე. ბევრ საერთაშორისო იურიდიულ ფირმას მემორანდუმის დადგენილი ფორმები აქვს. აღნიშნული ვლინდება იმ კუთხით, რომ ერთი იურიდიული ფირმის მიერ სხვადასხვა მიზნითა და სხვადასხვა სამართლებრივი საკითხის თაობაზე მომზადებული მემორანდუმები, ზოგადი სტილისა და აგებულების მიხედვით, მსგავსია.

შეფასებითი მემორანდუმი კარგ სახელმძღვანელოს წარმოადგენს კლიენტისთვის ან საკითხზე მომუშავე იურისტთა ჯგუფისათვის, რადგან მასში მოცემულია ფაქტების დეტალური აღწერა, შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს სიღრმისეული ანალიზი, სამართლებრივი ნორმების მისადაგება ფაქტობრივ გარემოებებთან – ფაქტების სამართლებრივი შეფასება და რეკომენდებული ზომები და ნაბიჯები.

შეფასებითი მემორანდუმი შეიძლება ეხებოდეს მხარეთა შორის არსებულ დავას. ასეთ შემთხვევაში, მემორანდუმი აფასებს იმ მხარის სავარაუდო მოთხოვნებს, ვისთვისაც მზადდება მემორანდუმი, მოთხოვნების სამართლებრივ საფუძვლებს და განხორციელების გზებს. ამასთან, მემორანდუმში შეიძლება მოცემული იყოს რამდენიმე კონკურენტული მოთხოვნის უპირატესობათა შედარებითი ანალიზი და გამორჩეული იყოს ასეთი მოთხოვნებიდან საუკეთესო ალტერნატივა. როდესაც შეფასება ეხება სავარაუდო დავას, კლიენტისათვის მნიშვნელოვანია, იცოდეს დავის განმხილველი ორგანოს პროცედურები, სავარაუდო ვადები და მოსალოდნელი ხარჯები. მაგალითად, თუ მემორანდუმი აფასებს სავარაუდო შრომითი დავიდან გამომდინარე მოთხოვნებს, აუცილებლად უნდა უთითებდეს, რომ ქართულ სასამართლოში შრომითი დავები მიმდინარეობს შემცირებულ ვადებში. ამასთან, შრომითი დავა შეიძლება დაექვემდებაროს სასამართლო მედიაციის ფარგლებში განხილვას. აქვე, შესაძლოა, მოკლედ იყოს აღწერილი სასამართლო მედიაციის პროცესი და ყურადღება გამახვილდეს იმ ძირითად მახასიათებლებზე, რომლებიც განასხვავებს სასამართლო დავას მისი მედიაციის გზით წარმართვისაგან.

შეფასებითი მემორანდუმი შეიძლება მომზადდეს მთლიანად გარიგების ან გარიგების კონკრეტული პირობის თაობაზე და აფასებდეს მის შესაბამისობას კანონმდებლობასთან. მაგალითად, რამდენად დასაშვებია ქართული კანონმდებლობით, რომ საზოგადოება წარმოადგენდეს საზოგადოების პარტნიორთა შორის დადებული შეთანხმების მხარეს ან რამდენად ბოჭავს პარტნიორთა შეთანხმების კონკრეტული მუხლი საზოგადოებას. ამასთან, მემორანდუმი შეიძლება ითვალისწინებდეს აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს და აანალიზებდეს მთლიანად გარიგების ან მისი რომელიმე ნაწილის აღსრუ-

ლების შესაძლებლობებს. ამის კარგი მაგალითია შესყიდვის ოფციის თაობაზე მხარეთა შეთანხმების აღსრულების შეფასება იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი თვითნებურად არ ასრულებს ოფციის პირობას. შეფასებითი მემორანდუმი ხშირად შეისწავლის გარიგებიდან გამომდინარე მხარეთა სამართლებრივ რისკებს, რომლებიც უკავშირდება გარიგების კონკრეტულ პირობებს. მაგალითად, მშენებარე ბინის წინარე ნასყიდობის შემთხვევაში, მყიდველი იღებს რისკს, რომ მშენებლობა დროულად არ დასრულდეს. ამ გარიგების შეფასებისას მემორანდუმი აღწერს მყიდველის რისკს და ანალიზებს იმ სამართლებრივ ბერკეტებს, რომლებიც მყიდველს ექნება გამყიდველის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულებიდან თუ კანონიდან გამომდინარე.

#### 4.2.2. შეფასებითი მემორანდუმის სტრუქტურა

შეფასებითი მემორანდუმის მომზადების ერთი დადგენილი სტრუქტურა არ არსებობს. მემორანდუმის სტრუქტურა იცვლება საჭიროების მიხედვით. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად რთულ სამართლებრივ პრობლემას ეხება შეფასებითი მემორანდუმი, ვისთვის არის განკუთვნილი, რამდენად ღრმა და ფართო კვლევის შედეგებს აჯამებს და ა.შ. ამ გარემოებების გათვალისწინებით, მემორანდუმი შესაძლოა იყოს უფრო მოცულობითი, ხოლო მისი სტრუქტურა – უფრო რთული; მოსალოდნელია, რომ რაც უფრო რთულია მემორანდუმის შეფასების საგანი, უფრო მეტად დატვირთულია მემორანდუმი თავებითა და ქვეთავებით. ასეთ დროს მნიშვნელოვანია, რომ ავტორმა შეინარჩუნოს მემორანდუმის მთლიანობა და არ დაარღვიოს მისი სტრუქტურის ზოგადი ლოგიკა. თავები და ქვეთავები ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მემორანდუმის ადრესატმა ყველა საკვლევ შეკითხვაზე მიიღოს პასუხი და თან შეძლოს მემორანდუმის მთლიანობის აღქმა, მიუხედავად საკმაოდ დეტალური და დატვირთული სტრუქტურისა.

ნებისმიერ შემთხვევაში, მემორანდუმის მომზადებისას საჭიროა მოქნილობა. მემორანდუმში აზრის ნათლად, მოკლედ და გასაგებად ჩამოყალიბება კიდევ უფრო მეტ ღირებულებას სძენს იურისტის კვლევას. ამიტომ, ამ უნარის დახვეწა და განვითარება დამწყები იურისტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა იყოს.

განვიხილავთ შეფასებითი მემორანდუმის ერთ-ერთ ზოგად სტრუქტურას, რომელიც მარტივია და ესადაგება ყველა საჭიროებას. შეფასებითი მემორანდუმი უნდა შეიცავდეს შემდეგ ძირითად ნაწილებს:

- შესავალი და მომზადების მიზანი;
- ფაქტობრივი გარემოებები;
- დაშვებები;
- სამართლებრივი შეკითხვები ან საკითხები;
- სამართლებრივი საკითხების განხილვა, ანალიზი და დასკვნები;
- რეკომენდაციები.

მემორანდუმის შესავალ ნაწილს წინ უსწრებს თავსართი, რომელშიც მითითებულია ოთხი მნიშვნელოვანი დეტალი: მემორანდუმის თარიღი, ავტორი, ადრესატი და საგანი (იხ. ეფექტური შეფასებითი მემორანდუმის მაგალითი).

### 4.2.3. შესავალი

მემორანდუმის შესავალ ნაწილში მოკლედ არის აღწერილი მისი მომზადების კონტექსტი და მიღებული დავალება:

- კონტექსტი: მემორანდუმის ადრესატი გეგმავს სანარმოს კაპიტალის გაზრდას და, აქედან გამომდინარე, აინტერესებს კონკრეტული საკითხ(ებ)ის სამართლებრივი ანალიზი;
- დავალება: სამართლებრივი საკითხის შეფასება, ხელშეკრულების ან სხვა სამართლებრივი დოკუმენტის პროექტის ანალიზი, დავის არგუმენტების განხილვა მომავალი სასამართლო სხდომის წინ და სხვა.

შესავალი ნაწილი მკითხველს აცნობს დავალების გამცემ და მიღებულ ინსტრუქციებსაც, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მაგალითად, დავალების გამცემის ინსტრუქციით მემორანდუმის ავტორმა უნდა შეაფასოს საკითხი მხოლოდ მიწოდებული დოკუმენტების საფუძველზე და არ არის საჭირო ფაქტების დამოუკიდებლად გადამოწმება ან სხვა წყაროების მოძებნა.

პირველადი შესავლის შემდეგ დოკუმენტი გრძელდება იმ ინფორმაციის აღწერით (ჩამონათვალი), რომელსაც იურისტი ეყრდნობა თავის მსჯელობაში. მაგალითად, კლიენტის მიერ მიწოდებული დოკუმენტები, საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროების კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, სატელეფონო კონსულტაცია შესაბამის ორგანოებთან და სხვა. თუ საჭიროა, დაზუსტებულია მიღებული ინსტრუქციებისა და ჩატარებული კვლევის ფარგლები.

შესავალ ნაწილში შექმნილია საჭირო ტერმინთა განმარტებები და დეფინიციები, რომლებიც შემდგომ მემორანდუმში იქნება გამოყენებული. მაგალითად, მემორანდუმის ადრესატის სრული დასახელება (თუ იურიდიული პირია, შეიძლება დასახელებული იყოს მისი სარეგისტრაციო მონაცემებიც, ანუ რეგისტრაციის ქვეყანა, რეგისტრაციის ნომერი და მისამართი) წარმოდგენილია მხოლოდ მემორანდუმის შესავალ აბზაცში და აქვე ენიჭება მას კონკრეტული ზოგადი ტერმინი, როგორცაა „კლიენტი“ ან „დამკვეთი“ ან სხვა დასახელება, ხოლო მემორანდუმის დანარჩენ ნაწილებში მასზე მითითება სწორედ ამ ტერმინების გამოყენებით ხდება (იხ. ეფექტური შეფასებითი მემორანდუმის მაგალითი).

### 4.2.4. ფაქტები

მემორანდუმის ეს ნაწილი უზრუნველყოფს, რომ მემორანდუმის ავტორი და ადრესატი ერთი და იმავე ინფორმაციის საფუძველზე მოქმედებენ. მკითხველი ეცნობა იმ ფაქტობრივი გარემოებების ამომწურავ ჩამონათვალს, რომლის საფუძველზეც განხორციელდა საკითხების კვლევა. თუ შეფასებითი მემორანდუმი უკავშირდება სასამართლო დავას, აუცილებელია, რომ ფაქტების ნაწილში აღწერილი იყოს საქმის პროცედურული ისტორია.

მემორანდუმი პასუხობს სამართლებრივ შეკითხვებს. შესაბამისად, ამ ნაწილში ამომწურავად მიეთითება მხოლოდ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტები.

ფაქტების ორგანიზება მემორანდუმის ავტორზეა დამოკიდებული და მათი დაჯგუფება სხვადასხვა პრინციპის შესაბამისად შეიძლება. ყველაზე გავრცელებული პრინციპია მათი ქრონოლოგიურად დალაგება – ძველიდან ახლისკენ ან პირიქით. სასამართლო დავის

პროცედურული ისტორიაც, როგორც წესი, ამავე მიმდევრობით იწერება. მემორანდუმის სიდიდისა და სირთულის, ასევე, განსახილველი საკითხის გათვალისწინებით, შესაძლებელია პროცედურული ისტორია და ფაქტობრივი გარემოებები ცალ-ცალკე იყოს მოცემული, თუმცა ხშირია მათი ერთობლივად გამოყენების შემთხვევებიც.

საჭიროებისამებრ, ფაქტობრივი გარემოებები შეიძლება ეპიზოდურად იყოს დაწყობილი. ამასთან, ფაქტობრივი გარემოებების მოცულობიდან გამომდინარე, შეიძლება უფრო ეფექტური იყოს მათი ცხრილის, სქემის ან დიაგრამის გამოყენებით პრეზენტაცია. მაგალითად, კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის აღწერისას გაცილებით ეფექტურია დიაგრამის გამოყენება. ამის კარგი მაგალითია იმ დასაქმებულთა სრული სიის ცხრილის სახით წარმოდგენა, რომლებთან დადებული ხელშეკრულებების შეწყვეტის გზებსაც აფასებს მემორანდუმი. ცხრილში შეიძლება მოცემული იყოს არა მარტო დასაქმებულთა სახელები, არამედ ისეთი დამატებითი ინფორმაცია, როგორცაა თითოეული დასაქმებულის ხელშეკრულების თარიღი, მათი კომპანიაში მუშაობის ხანგრძლივობა, ხელფასი და ა.შ. რიგ შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებების დეტალური აღწერა შესაძლოა მოცემული იყოს მსგავსი თვალსაზირო მეთოდის გამოყენებით მემორანდუმის დანართში (ძირითადი ტექსტის ნაცვლად).

მნიშვნელოვანია ფაქტობრივი გარემოებების წყაროს იდენტიფიცირება. ხშირად წყარო იქნება თავად კლიენტი და კლიენტის მიერ მოწოდებული დოკუმენტები. შესაძლებელია, ფაქტობრივი გარემოებები მემორანდუმის ავტორის მიერ შესწავლილი დამატებითი წყაროებიდან გამომდინარეობდეს.

მნიშვნელოვანია, ფაქტობრივ გარემოებებში აღწერილი იყოს სადავო ფაქტობრივი გარემოებებიც იმაზე მითითებით, რომ მხარეებს შორის ეს ფაქტები სადავოა.

#### **4.2.5. დაშვებები**

ზოგიერთ შემთხვევაში, სამართლებრივი ანალიზის წარსამართად საჭიროა სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტებთან დაკავშირებით დაშვებების გაკეთება. სწორედ ამ ნაწილში მიეთითება იმ დათქმებისა და დაშვებების თაობაზე, რომელთა საფუძველზეც მემორანდუმში წარმოდგენილი ანალიზი განხორციელდა. მაგალითად, მემორანდუმში შესაძლოა მითითებული იყოს, რომ სამართლებრივი საკითხის ანალიზისას მემორანდუმის ავტორმა იხელმძღვანელა კანონის კონკრეტული რედაქციით და, შესაბამისად, მემორანდუმში მოცემულია დათქმა, რომ მემორანდუმის მიზნებისათვის შესწავლილი კანონი ჩაითვალოს ბოლო რედაქციად. გარდა ამისა, აქვე შეიძლება განმარტებული იყოს, რომ მემორანდუმის მომზადებისას იურისტმა იხელმძღვანელა ფაქტობრივი გარემოებების მხოლოდ იმ ნაწილით, რომელიც უშუალოდ მემორანდუმში განხილული საკითხების მიმართ იყო რელევანტური და არსებითი. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც მემორანდუმით საკითხის მხოლოდ წინასწარი შეფასება ხდება, მოცემული საკითხების უფრო დეტალური კვლევა და შეფასება კი მოგვიანებით განხორციელდება. აღნიშნული კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად წყდება. აქვე შეიძლება მიეთითოს, რომ სამართლებრივი ანალიზის მიზნებისთვის იურისტი უშვებს, რომ მისთვის მიწოდებულია ყველა არსებითი და მნიშვნელოვანი დოკუმენტი და ინფორმაცია ფაქტობრივი გარემოებების შესახებ.

იურისტი დამატებით შეიძლება მიუთითებდეს ისეთ დათქმებზე, როგორცაა ჩატარებული სამართლებრივი ანალიზის შეცვლის საჭიროება, თუ მემორანდუმის ავტორისთვის ცნობილი გახდება ახალი ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე ან/თუ შესწავლილი ფაქტობრივი გარემოებები აღმოჩნდება არასრული, არაზუსტი ან არასწორი.

დაშვებების და დათქმების ნაწილი შეიძლება გაერთიანდეს ფაქტებთან იმ შემთხვევებში, როდესაც როგორც ფაქტობრივი ნაწილის, ისე დაშვებების და დათქმების მოცულობა შედარებით მცირეა. უფრო რთულ სამართლებრივ მემორანდუმებში ეს ნაწილი შეიძლება რამდენიმე გვერდსაც მოიცავდეს. ასეთ დროს შესწავლილი დოკუმენტებისა და ინფორმაციის მოცულობაც, როგორც წესი, დიდია. შესაბამისად, დაშვებებისა და დათქმების ნაწილში დეტალურად არის აღწერილი, რომელი დოკუმენტები და ინფორმაცია შეისწავლა მემორანდუმის ავტორმა, რომელი პრინციპით გამოარჩია შესასწავლი დოკუმენტები, რომელი დოკუმენტები და ინფორმაცია მოითხოვა და მიიღო ან ვერ მიიღო კლიენტისგან და სხვა.

#### 4.2.6. სამართლებრივი შეკითხვები

მემორანდუმის ეს ნაწილი აღწერს განსახილველ სამართლებრივ შეკითხვებს. მნიშვნელოვანია, რომ საკითხები აღწერილი იყოს მოკლედ და გასაგებად – ნათელი გახადოს ყველა დეტალი, რომელიც მნიშვნელოვანია საკითხის სწორი ანალიზისათვის.

მაგალითისთვის შევადაროთ შემდეგი ორი შეკითხვა:

- ნამდვილია სამეთვალყურეო საბჭოს გადანყვეტილება?
- ნამდვილია სამეთვალყურეო საბჭოს გადანყვეტილება, რომლითაც დამტკიცდა დირექტორისათვის ბონუსისა და ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისათვის ჯარიმის გადახდა?

პირველი შეკითხვა მეორესთან შედარებით არასრულია. ის მკითხველს არ სთავაზობს საკმარის დეტალებს, ხოლო თუ მკითხველისთვის უცნობია განსახილველი საკითხის გარემოებები, არასრულად და არაზუსტად ჩამოყალიბებული შეკითხვა ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას. მისგან განსხვავებით, მეორე შეკითხვა უფრო ნათელია, რადგან შეიცავს დამატებით ინფორმაციას ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. სამართლებრივი შეკითხვის ნათლად და დეტალურად ჩამოყალიბების მნიშვნელობას ზრდის ისიც, რომ ხშირად სამართლებრივი საკითხის საბოლოო ფორმულირებას კლიენტთან კონსულტაციებისა და შესწავლილი დოკუმენტების საფუძველზე სწორედ იურისტი განსაზღვრავს და არა უშუალოდ კლიენტი, ვისთვისაც მემორანდუმი მზადდება.

კლიენტის დავალების მიღებიდან მემორანდუმის საბოლოო ვარიანტის მომზადებამდე ის შეიძლება კომენტარებისთვის გაიგზავნოს კლიენტთან და ამ ფორმით დაზუსტდეს სამართლებრივი შეკითხვები.

მემორანდუმი შეიძლება რამდენიმე სამართლებრივ შეკითხვას პასუხობდეს. ასეთ შემთხვევაში, სამართლებრივი შეკითხვების ჩამოთვლა უმჯობესია იმავე თანმიმდევრობით, როგორც ისინი შემდეგ იქნება განხილული მემორანდუმის არსებით ნაწილში. გარდა ამისა, სიმარტივისთვის შეიძლება სასარგებლო იყოს თითოეული შეკითხვის ქვესაკითხებად დაყოფა.

მაგალითად, კლიენტს შეიძლება აინტერესებდეს იმის შეფასება, რამდენად მიმზიდველია საქართველო, როგორც იურისდიქცია, სადაც დაფუძნდება ერთობლივი საწარმო კონკრე-

ტული პროექტის განსახორციელებლად. ამის შესაფასებლად სამართლებრივი შეკითხვა შეიძლება შემდეგი ფორმით ჩამოყალიბდეს:

- სასურველია თუ არა პროექტის მმართველი ერთობლივი სანარმოს დაფუძნება საქართველოში:
  - საკორპორაციო თვალსაზრისით;
  - ინვესტიციების დაცვის თვალსაზრისით;
  - საგადასახადო თვალსაზრისით.

ამ სამართლებრივი შეკითხვის ქვესაკითხებად გაშლა ეფექტიანია, რადგან თითოეული ქვესაკითხი (i) დამოუკიდებელია დანარჩენი ქვესაკითხებისგან; და (ii) მოითხოვს მოცულობით ანალიზს. მათი ერთ თავეში გაერთიანება დასმულ შეკითხვაზე შესაბამისი პასუხის გაცემას გაართულებდა და შეიძლება იგი შეუძლებელიც კი გაეხადა.

სამართლებრივი შეკითხვის დეტალურად და ნათლად აღწერა მემორანდუმზე მომუშავე იურისტისათვის ამარტივებს შრომას და ხელს უწყობს სამართლებრივი საკითხების სწორად აღქმას. ამ დროს ნაკლებია საფრთხე, რომ მემორანდუმი არასრულად პასუხობს დასმულ სამართლებრივ შეკითხვებს. ეს კი მემორანდუმის ეფექტურობის შეფასების ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმია.

#### 4.2.7. განხილვა და ანალიზი

მემორანდუმის ეს ნაწილი მოიცავს რეგულაციურ სტანდარტის (საერთაშორისო ხელშეკრულება, კანონი, სასამართლო პრაქტიკა, სადამფუძნებლო დოკუმენტები) აღწერას, განმარტებას ან/და ნორმის ანალიზს. ანალიზი ეფუძნება უშუალოდ ნორმის ტექსტს, სასამართლო პრაქტიკას, სხვა დამხმარე წყაროებს ან მეცნიერულ ნაშრომებს ამ საკითხთან დაკავშირებით. ავტორი შეიძლება მკითხველს ასევე სთავაზობდეს თავის კომენტარებს განსახილველი საკანონმდებლო ნორმების თაობაზე.

ზოგიერთ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება არ არსებობდეს დადგენილი სასამართლო პრაქტიკა. შესაბამისად, იურისტი წარმოადგენს ჰიპოთეტურ მსჯელობას, რომელიც შეიძლება სასამართლოს განევიტარებინა ამ საკითხის განხილვისას. შესაბამისად, იურისტის მიერ ხდება ჰიპოთეტური არგუმენტების განხილვა. მაგალითად, კლიენტი წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის ჯგუფში შემავალ კომპანიას და სურს დერივაციული სარჩელის შეტანა იურიდიული პირის ნაცვლად და მის სასარგებლოდ ქართულ სასამართლოში. შესაბამისად, აუცილებელია, შეფასდეს, ქართული სამართლის მიხედვით, ვინ წარმოადგენს იურიდიული პირის ნაცვალს და მისი სახელით სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილ პირს. თუ ამ საკითხზე დადგენილი სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს, მემორანდუმში შეიძლება ჰიპოთეტურად შეფასდეს, რამდენად მოსალოდნელია, რომ სასამართლო ფართოდ განმარტავს დერივაციული სარჩელების მომწესრიგებელ საკანონმდებლო ნორმაში მოცემულ „პარტნიორის“ ცნებას და მისცემს თუ არა იურიდიული პირის არა უშუალო პარტნიორ კომპანიას დერივაციული სარჩელის აღძვრის უფლებას.

მემორანდუმის განხილვისა და ანალიზის ნაწილში ყველაზე კარგად ჩანს იურისტის მიერ ჩატარებული კვლევა. კონკრეტული სამართლებრივი ნორმის განსახილველ ფაქტობრივ გარემოებებთან სწორი მისადაგებისთვის აუცილებელია სამართლებრივი ნორმის მახასიათებლების და მნიშვნელობის დეტალური გადმოცემა.

სამართლებრივი შეკითხვების განხილვისას ფასდება მოდავე მხარეების არგუმენტები. ზემოაღნიშნული მაგალითის საფუძველზე, მემორანდუმში შეიძლება წარმოდგენილი იყოს დავის მეორე მხარის არგუმენტები იმის თაობაზე, თუ რატომ არ უნდა ჩაითვალოს ჯგუფის წევრი კომპანია „პარტნიორად“ დერივაციული სარჩელის მიზნებისათვის. ასეთ დროს მემორანდუმში ფასდება, რომელი მხარის არგუმენტებს აქვს წარმატების მეტი შანსი. იურისტი ვალდებულია, ობიექტურად შეაფასოს კლიენტის რისკები და არ დამალოს გაურკვევლობები, ხარვეზები ან შეუთავსებლობები, რამლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს დავის შედეგებზე.

სამართლებრივი დანაწესების ზედმეტად ოპტიმისტური ან პესიმისტური განმარტება აზიანებს კლიენტის ინტერესებს. თუ სამართლებრივი საკითხი სადავოა, არ შეიძლება მემორანდუმში ისეთი შეფასებების აღწერა, რომლითაც კლიენტს ვარწმუნებთ საკითხის მხოლოდ მის სასარგებლოდ ან მის საწინააღმდეგოდ გადანყვევების შესაძლებლობაში. მაგალითად, არასწორია მემორანდუმში იმის დარწმუნებით თქმა, რომ კლიენტი აუცილებლად მოიგებს დავას ან, შესაბამისი წინაპირობების დაკმაყოფილებისას, აუცილებლად მიიღებს რაიმე ნებართვას ან ლიცენზიას; განსაკუთრებით, თუ ასეთი ნებართვის ან ლიცენზიის გაცემისას ადმინისტრაციული ორგანო დისკრეციული უფლებამოსილებით სარგებლობს.

მემორანდუმში კარგად უნდა ჩანდეს თითოეული სამართლებრივი სტრატეგიის დადებითი და უარყოფითი მხარეები, მოსალოდნელი რისკები და მემორანდუმის ავტორის რეკომენდაცია.

მემორანდუმის ამ ნაწილში ნათლად უნდა ჩანდეს მსჯელობის ხაზი. იურისტი ასახავს ყველა ნაბიჯს, რომელიც გადაადგა შესაბამის დასკვნამდე მისასვლელად. დასკვნები უნდა ეფუძნებოდეს განსახილველ სამართლებრივ ნორმებს.

მემორანდუმში გადმოცემული მსჯელობის უკეთ აღსაქმელად რეკომენდებულია თითოეული საკითხის ცალ-ცალკე ანალიზი და შესაბამის თავებად გამოყოფა. თავებს შორის იერარქია უნდა იყოს ლოგიკური და თითოეული თავის სათაური უნდა შეესაბამებოდეს თავში განხილულ საკითხს/ებს.

თითოეულ თავს/ქვეთავს უნდა ჰქონდეს შესავალი პარაგრაფი, სადაც შეჯამებულია მომდევნო აბზაცებში განხილული საკითხები. აღნიშნული ეხმარება მკითხველს თავიდანვე შეიქმნას წარმოდგენა და მოლოდინი შემდგომ მსჯელობასთან დაკავშირებით. მაგალითისათვის იხილეთ ეფექტური მემორანდუმის მე-9 აბზაცი, რომელშიც ჩანს, რომ მემორანდუმის ეს კონკრეტული თავი აფასებს სამეთვალყურეო საბჭოს გადანყვევტილების ნამდვილობის საკითხს. ამავდროულად, წარმოჩენილია გადანყვევტილების ბათილობის შესაძლო საფუძვლები, რომლებსაც ავტორი დეტალურად განიხილავს მემორანდუმის შემდგომ ნაწილებში წარმოდგენილი მსჯელობის დროს.

სამართლებრივი მსჯელობა თითოეულ საკითხთან დაკავშირებით უნდა დასრულდეს შესაბამისი დასკვნით. თუ მსჯელობიდან ერთი კონკრეტული დასკვნა არ გამომდინარეობს, მემორანდუმში უნდა მიუთითებდეს ამის შესახებ. მაგალითად, სადავო საკითხის ორივე მხარეს თანაბარი ძალის არგუმენტებია და წინასწარ შეუძლებელია შეფასდეს მათი წარმატების ალბათობა, ან/თუ შესაბამისი დასკვნის გამოსატანად საჭიროა დამატებითი ინფორმაცია. მაგალითად, შეუძლებელია ვიმსჯელოთ გადანყვევტილების ბათილობის თაობაზე პროცედურული წესების დარღვევის გამო, თუ არ მოვისმინეთ კრების ჩანაწერი ან არ ვნახეთ კრების ოქმი.

იმ შემთხვევებში, როდესაც სამართლებრივი საკითხი დაყოფილია ქვესაკითხებად, თითოეული ქვესაკითხის ანალიზის შემდეგ უმჯობესია ერთიანი დასკვნის ჩამოყალიბება, რომელიც მთლიანობაში პასუხობს დასმულ სამართლებრივ შეკითხვას მისი ყველა ქვესაკითხის გათვალისწინებით. ასეთი ერთიანი დასკვნა შეიძლება მემორანდუმის დამოუკიდებელ თავადაც ჩამოყალიბდეს.

#### 4.2.8. რეკომენდაციები სამომავლო ქმედებებზე

მემორანდუმში წარმოდგენილი ანალიზისა და დასკვნების შემდეგ ადრესატს შეიძლება სურდეს რეკომენდაციებისა და სამომავლო ნაბიჯების შეჯამება. განსახილველი სამართლებრივი საკითხის საფუძველზე შეიძლება იურისტისთვის უფრო ნათელი იყოს, შემდგომში რომელი ნაბიჯები უნდა გადადგას კლიენტმა. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ მემორანდუმს ექნება ცალკე ნაწილი და მასში ეს რეკომენდაციები დაწვრილებით იქნება აღწერილი. ეფექტური სამართლებრივი მემორანდუმის მაგალითს თუ განვიხილავთ, იქ კარგად ჩანს, რომ მემორანდუმის შემდგენელი იურისტები გარკვეულწილად სამოქმედო გეგმას უსახავენ კლიენტს, რომელიც დაეხმარება მას თავისი უფლებების განხორციელებაში.

რეკომენდაციების წერის წინასწარ განსაზღვრული მეთოდი არ არსებობს. ის უმთავრესად დამოკიდებულია განხილულ საკითხებზე, უშუალოდ უკავშირდება მათ და კონკრეტულად აფასებს ყველა გადასადგმელ ნაბიჯს.



4.2.9. ეფექტური შეფასებითი მემორანდუმის მაგალითი

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

თარიღი [\*]

ადრესატი სს “Y”

ავტორი იურიდიული ფირმა “A”

საგანი სს “X”-ის სამეთვალყურეო საბჭოს

გადაწყვეტილების ნამდვილობა და გადაწყვეტილების

ბათილობის შესაძლო საფუძვლები

თავსართში გამოტანილია ყველა საჭირო დეტალი: თარიღი, ადრესატი, ავტორი და საგანი.

I. შესავალი

1. ამ მემორანდუმში (შემდგომში „მემორანდუმი“) წარმოდგენილია იურიდიულ ფირმა “A”-ის (შემდგომში „ჩვენ“) პასუხები ქართულ სამართალთან დაკავშირებულ იმ შეკითხვებზე, რომლებიც წამოიშვა სს “Y”-ის (შემდგომში „თქვენ“ ან „პარტნიორი კომპანია“) 100%-იანი შვილობილი კომპანიის სს “X”-ის (შემდგომში „კომპანია“) სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე.

შესავალში იდენტიფიცირებულია მემორანდუმის ძირითადი თემატიკა, თუმცა არა უშუალოდ შეკითხვები. აქვე ავტორი განსაზღვრავს გარკვეულ ტერმინებს, რომლებიც გამოყენებული იქნება მემორანდუმის ტექსტში, მაგალითად, „პარტნიორი კომპანია“ სს “Y”-ის ნაცვლად.

II. ფაქტობრივი გარემოებები

2. თქვენ მიერ მონოდებული ინფორმაციისა და დოკუმენტების საფუძველზე (შემდგომში „მასალები“) ჩვენ დავადგინეთ, რომ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭომ (შემდგომში „სამეთვალყურეო საბჭო“) 2018 წლის 10 ივლისის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება (შემდგომში „გადაწყვეტილება“), რომლითაც განსაზღვრა, რომ: (i) კომპანიის დირექტორს ქ/ბ-ნ “B”-ის (შემდგომში „დირექტორი“) კომპანიამ გადაუხადოს ბონუსი 100,000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით; და (ii) შეიცვალოს დირექტორთან დადებული ხელშეკრულება და ხელშეკრულების ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში კომპანიას დაეკისროს ჯარიმის გადახდა 25,000 (ოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით (შემდგომში „ჯარიმა“). დირექტორი ამავდროულად არის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

ფაქტობრივი გარემოებების ნაწილი აჯამებს მოპოვებულ ინფორმაციას. აბზაცის დასაწყისში მითითებულია, რომ ინფორმაციის წყარო თავად კლიენტი და მის მიერ მონოდებული დოკუმენტებია.

2. გადანყვეტილების საფუძველზე, 2018 წლის 1 აგვისტოს კომპანიასა და დირექტორს შორის დაიდო ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“), რომელშიც, გადანყვეტილების შესაბამისად, გათვალისწინებული იქნა კომპანიის მიერ დირექტორისათვის ბონუსის და ჯარიმის გადახდის ვალდებულება. ხელშეკრულების თანახმად ბონუსის გადახდა უნდა მომხდარიყო არა უგვიანეს 2018 წლის 1 სექტემბრისა. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, ამ მემორანდუმის მომზადების თარიღზე კომპანიას დირექტორისთვის ბონუსი არ გადაუხდია.

ფაქტობრივი გარემოებები დალაგებულია ქრონოლოგიურად, მოვლენების დროში განვითარების შესაბამისად. ავტორი ქმნის გარკვეულ ნარატივს. ფაქტობრივი გარემოებები აბზაცებად არის დაყოფილი და თითოეული აბზაცი ცალკეულ მოვლენას, გარემოებას ან მოვლენათა/გარემოებათა ჯგუფს ეხმაურება (აბზაცები 3-4). ფრაზა „ჩვენი ინფორმაციით“ მიუთითებს, რომ მემორანდუმის ავტორმა გადაამოწმა აღნიშნული ფაქტი კლიენტის მიერ მოწოდებულ მასალებში და საპირისპიროს დამადასტურებელი ცნობა არ მიუღია. ავტორი აქვე აზუსტებს, რომ ინფორმაცია ბოლოს მემორანდუმის მომზადების თარიღისათვის გადაამოწმა.

3. მასალების შესწავლის შედეგად ვადგენთ, რომ კომპანია არ ეწევა მომგებიან საქმიანობას და წლების განმავლობაში არ მიუღია მოგება. ჩვენთვის ასევე ცნობილია, რომ პარტნიორი კომპანია ფიქრობს კუთვნილი აქციების გასხვისებას.

ავტორი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ინფორმაციის წყაროს. მასალებიდან შესაძლოა სხვა გარემოებებიც იკვეთებოდა, თუმცა ავტორმა მხოლოდ ამ გარემოებების აღწერა ჩათვალა მიზანშეწონილად. ეს გარემოებები მნიშვნელოვანია, რადგან განსახილველი საკითხები ეხება კომპანიის მიერ დამატებითი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

4. ზემოთ აღწერილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, პარტნიორ კომპანიას სურს, მიიღოს სამართლებრივი რჩევა შემდეგ საკითხებზე:

ამ ნაწილში მოცემულია მთავარი სამართლებრივი საკითხები. ისინი გამოყოფილია შესაბამის ქვეთავებად.

- a. სამეთვალყურეო საბჭოს გადანყვეტილება, რომლითაც დამტკიცდა დირექტორისათვის ბონუსისა და ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისათვის ჯარიმის გადახდა, არის თუ არა ნამდვილი, კერძოდ:
- (1) რა საფუძვლები არსებობს იმისათვის, რომ კომპანიამ იღავოს გადანყვეტილების ნამდვილობაზე;
- b. რა პროცედურები არსებობს იმისათვის, რომ დირექტორი გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან და გაუქმდეს სამეთვალყურეო საბჭო;
- c. გაიცეს რეკომენდაციები შემდგომი ნაბიჯების თაობაზე.
5. ეს მემორანდუმი მომზადდა კომპანიის 2010 წლის 10 სექტემბრის წესდების საფუძველზე, რომელშიც ცვლილებები განხორციელდა 2011 წლის 10 ოქტომბერს (შემდგომში „წესდება“). ჩვენ ვუშვებთ, რომ აღნიშნული წესდება კვლავ ძალაშია და მასში დამატებითი ცვლილებები არ განხორციელებულა. ჩვენი სამართლებრივი ანალიზი ასევე ეფუძნება პარტნიორი კომპანიის მიერ მოწოდებულ მასალებს. ამ მემორანდუმის მიზნებისათვის ჩვენ ვუშვებთ, რომ ეს მასალები სწორია და შეიცავს სრულ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება რელევანტური და არსებითი იყოს დასმულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად.

პირველი შეკითხვა უკავშირდება მთავარ სამართლებრივ საკითხს და მეორე შეკითხვა შეიძლება მის ქვეთავსაც წარმოადგენდეს. მეორე მხრივ, ეს ორი შეკითხვა შეიძლება გაერთიანდეს კიდევ, თუმცა უკეთესი სტრუქტურისათვის შეკითხვის ნაწილებად დაშლა უფრო ეფექტურია.

ეს არის მეორე ძირითადი საკვლევი საკითხი.

მემორანდუმის ადრესატს ასევე აინტერესებს ავტორის პოზიცია სამომავლო ნაბიჯებთან დაკავშირებით. ყველა მემორანდუმი შეიძლება არ შეიცავდეს მოცემულ ნაწილს.

ამ ნაწილში ავტორი წარმოგიდგენს გარკვეულ დათქმებსა და დაშვებებს, რომელთა საფუძველზეც მემორანდუმი მომზადდა. ეს აზლევს მემორანდუმის ავტორის პასუხისმგებლობას, თუ აღმოჩნდა, რომ ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა საფუძველზეც მემორანდუმი დასმულ შეკითხვებს პასუხი გაეცა, არსებითად განსხვავებული, არასრული ან არასწორი იყო.

6. მემორანდუმს აქვს შემდეგი სტრუქტურა: (i) ნაწილი III აფასებს გადაწყვეტილების ისევე როგორც ბონუსისა და ჯარიმის გადახდის თაობაზე გაცემული თანხმობის ნამდვილობას, მათ შორის, აჯამებს იმ სამართლებრივ საფუძვლებსა და მოთხოვნის უფლებებს, რაც პარტნიორ კომპანიას შეიძლება გააჩნდეს გადაწყვეტილების ნამდვილობის შესადავებლად; (iii) ნაწილი IV აღწერს შესაბამისი კორპორაციული ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო პროცედურებს, რომელთა საფუძველზეც (ა) გათავისუფლება დირექტორი და (ბ) გაუქმდება სამეთვალყურეო საბჭო; ხოლო (iv) V ნაწილი აღწერს შემდგომ ნაბიჯებს, რომლებიც კომპანიამ უნდა გადადგას.
7. ეს მემორანდუმი შეიცავს ჩვენს პირველად შეფასებებს და ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, შევცვალოთ გაცემული იურიდიული რჩევა ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციის ან დოკუმენტის შესაბამისად, რომელსაც თქვენ მოგვანვდით.

ამ აბზაცში ავტორი მკითხველს უხსნის მემორანდუმის ზოგად სტრუქტურას. ეს განსაკუთრებით ეფექტურია, როდესაც საქმე გვაქვს დიდი მოცულობის მემორანდუმთან. სტრუქტურის წინასწარ ახსნა გარკვეულ მოლოდინს უჩენს მკითხველს. ზოგიერთმა შეიძლება არც გააგრძელოს მემორანდუმის კითხვა, თუ ნახავს, რომ მისთვის საინტერესო საკითხი მემორანდუმში განხილული არ იქნება. შესაბამისად, მემორანდუმის ეს ნაწილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ამ ნაწილში დაშვების კიდევ ერთი ნიშნულია მოცემული: მემორანდუმის ავტორი იტოვებს უფლებას, შევცვალოთ თავისი რჩევა, თუ შეიცვლება შესაბამისი ფაქტობრივი მდგომარეობა.

### III. გადაწყვეტილების ნამდვილობა

8. მემორანდუმის ამ ნაწილში განხილული იქნება გადაწყვეტილების ნამდვილობის საკითხი. გადაწყვეტილების ნამდვილობის სადავოობის მიზეზი შეიძლება იყოს სხდომის ჩატარების მარეგულირებელი პროცედურული წესების დარღვევა (A) ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ კომპეტენციის ფარგლების დარღვევა (B). თითოეული საფუძველი შეფასებულია ცალ-ცალკე. ნაწილის ბოლოს განხილულია მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი (C).

მემორანდუმის ახალი ნაწილი იხსნება მოკლე შესავლით, რომელშიც ავტორი გვიხსნის, რა იქნება განხილული ამ თავში. ე.წ. გზამკვლევ პარაგრაფს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია და აუცილებელია, რომ მოკლედ და გასაგებად იყოს ჩამოყალიბებული მომდევნო ნაწილის შემავაშვებელი ინფორმაცია.

#### A. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის მარეგულირებელი წესები

9. წესდებისა და საქართველოს 1994 წლის 28 ოქტომბრის მენარმეთა შესახებ კანონის (შემდგომში „კანონი“) თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. მართალია, წესდებაში პირდაპირ მითითებული არ არის, მაგრამ კანონი ადგენს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შეუძლიათ რიგგარეშე სხდომის გამართვა. წესდების 9.6. მუხლი მოითხოვს, რომ სხდომამდე სულ მცირე რვა (8) დღით ადრე წევრებს გაეგზავნოთ შეტყობინება სხდომის ჩატარების თაობაზე სხდომის დღის წესრიგთან ერთად. ჩვენი შეფასებით, ქართული კანონმდებლობის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შეუძლიათ ერთხმად შეთანხმდნენ შეტყობინების უფრო მოკლე პერიოდზე კომპანიის საჭიროებიდან გამომდინარე.

შესავალი პარაგრაფის შემდეგ ავტორი გადადის სამართლებრივი საფუძველების/წესების განხილვაზე. შესავალი პარაგრაფის გარეშე პირდაპირ კანონზე საუბარი დამატებითი იქნებოდა მკითხველისათვის. თუმცა, შესავალი პარაგრაფიდან გამომდინარე, მან უკვე იცის, რას უნდა ელოდეს ამ ნაწილისგან.

10. წესდება და კანონი არ აკონკრეტებს, აუცილებელი არის თუ არა შეტყობინების აქციონერებისათვის გაგზავნა. ჩვენი შეფასებით, საწინააღმდეგო ჩანაწერის არარსებობის შემთხვევაში, საკმარისია, თუ შეტყობინება მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს გაეგზავნებათ. სხდომაზე სხვა პირების მონაწილის თაობაზე გადაწყვეტილებას თავად სამეთვალყურეო საბჭო იღებს.

ავტორი აანალიზებს როგორც კანონს, ასევე წესდების შესაბამის ნორმებს. სამართლებრივი საფუძველი ასევე შეიძლება იყოს სახელმწიკრულებო ნორმა ან სხვაგვარი შეთანხმება.

11. წესდების თანახმად, სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება სამეთვალყურეო საბჭოს წევრების უბრალო უმრავლესობა. ჩვენი ინფორმაციით, გადაწყვეტილების მიღებისას სხდომას სამივე წევრი ესწრებოდა. დირექტორმა, ინტერესთა კონფლიქტის გამო, თავი შეიკავა კენჭისყრაში მონაწილეობისგან, ხოლო დანარჩენმა ორმა წევრმა მხარი დაუჭირა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს.

ავტორი ეტაპობრივად გადადის სამართლებრივი წესისა და ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთმიმართებაზე. შემდეგ აბზაცებში უკვე აფასებს, როგორ შედეგამდე მიყვავართ აღწერილი სამართლებრივი საფუძველების მისადაგებას ფაქტობრივი გარემოებებისადმი.

12. ამავდროულად, გადაწყვეტილების თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი “D” წარმოდგენილი იყო მეორე წევრის – “G”-ის მიერ 2013 წლის 10 აგვისტოს გაცემული მინდობილობის (შემდგომში „მინდობილობა“) საფუძველზე. ჩვენ არ გვინახავს აღნიშნული მინდობილობა. მინდობილობის დამატებითი კვლევა და შესწავლა არის საჭირო, რათა დადგინდეს, რომ “G” მოქმედებდა თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში.

ავტორი აკეთებს მორიგ დათქმას, ამჯერად ისეთ დოკუმენტთან დაკავშირებით, რომელიც ანალიზისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ არ უნახავს.

13. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ფაქტები სწორია, ჩვენ არ შეგვიძლია დავადასტუროთ ან შევამოწმოთ, რომ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარებისას და კენჭისყრის წარმართვისას დაირღვა რომელიმე ფორმალური წესი.

ავტორი აჯამებს თავისი კვლევის შედეგს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მოცემულ შემთხვევაში, ავტორის დასკვნა არ არის ერთმნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების ნაკლებობის გამო.

## B. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია

14. ჩვენ შევისწავლეთ წესდება და კანონი, რათა განგვესაზღვრა, ჰქონდა თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია, ნებართვა გაეცა გადაწყვეტილებაში მოცემულ საკითხებზე, კერძოდ, დაედასტურებინა დირექტორისათვის ბონუსისა და ჯარიმის გადახდა.

ავტორი მიყვება შესავალ პარაგრაფში წარმოდგენილ სტრუქტურას. ქვეთავიც, შესაბამისად, გამოყოფილია, რადგან სხვა სამართლებრივი საკითხი იქნება ამ ნაწილში განხილული.

15. წესდების შესაბამისი ნორმების საფუძველზე, ჩვენ მივიჩნევთ, რომ ბონუსის გადახდის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია აქვს სამეთვალყურეო საბჭოს. წესდების 9.9(1) მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ სამეთვალყურეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხებზე, რომლებიც არ შედის აქციონერთა საერთო კრების ან დირექტორების კომპეტენციაში. წესდების მიხედვით, დირექტორისათვის ბონუსის გადახდა არ შედის აქციონერთა საერთო კრების ან დირექტორების კომპეტენციაში. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების უფლების მიღება აქვს სამეთვალყურეო საბჭოს.

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს დასკვნა მომდინარეობს მათი ანალიზიდან. ამით ავტორი შეიძლება მიაჩნებოდეს, რომ სხვა შემთხვევებში შეიძლება განსხვავებული დასკვნა გამოიტანოს ამ ნორმების ანალიზის საფუძველზე.

16. აღნიშნულის მსგავსად, ჩვენ მივიჩნევთ, რომ ჯარიმის დადასტურება და ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანაზე თანხმობის გაცემა სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას წარმოადგენს. კერძოდ, წესდების 9.8(ე) მუხლის თანახმად, დირექტორთან ხელშეკრულების დადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო. აღნიშნული ასევე მოიცავს ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის და მათი ცვლილების უფლებამოსილებას. აქედან გამომდინარე, ფორმალური თვალსაზრისით, სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება ჯარიმის შესახებ და დაემტკიცებინა ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებები.

17. ჩვენი ანალიზის საფუძველზე მიგვაჩნია, რომ სამე-  
 თვალყურეო საბჭოს ჰქონდა კომპეტენცია, დაედას-  
 ტურებინა დირექტორისათვის ბონუსის გადახდა და  
 დაემტკიცებინა ხელშეკრულებაში ჯარიმის გათვა-  
 ლისწინება.

ყოველი ქვეთავის ბოლოს  
 აუცილებლად უნდა იყოს  
 მოცემული ქვეთავში განხი-  
 ლული საკითხის შეჯამება.  
 ამ შემთხვევაში ავტორი  
 თავისი კვლევის შედეგს  
 აჩვენებს. ზოგ შემთხვევაში  
 პირდაპირი პასუხები არ  
 არსებობს და ავტორი  
 უთითებს, რამდენად  
 მოსალოდნელია, რომ სხვა  
 ობიექტური შემფასებელი  
 იმავე დასკვნას გამოიტანდა  
 ამ შემთხვევაში.  
 ამის აღსანიშნავად  
 შეგხვდებათ ფრაზები,  
 როგორცაა „ნაკლებად  
 მოსალოდნელია“, „მეტად  
 სავარაუდოა“, „ნაკლებად  
 სავარაუდოა“ და ა.შ.

**C. გადაწყვეტილების გაბათილება**

18. კანონის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყ-  
 ვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამისი ოქმის  
 შედგენიდან ორი თვის განმავლობაში. აღნიშნული ხან-  
 დაზომულობის ვადა იზრდება ერთ წლამდე, თუ სხდომა  
 მონვეული იყო ან ჩატარდა კანონის ან წესდების ნორ-  
 მათა უხეში დარღვევით.

ამ აბზაცში ახსნილია  
 შესაბამისი სამართლებრივი  
 დანაწესი.

19. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ არ შეგვიძლია შევამოწმოთ,  
 დაირღვა თუ არა რომელიმე ფორმალური წესი სამე-  
 თვალყურეო საბჭოს სხდომის მონვევის ან ჩატარების  
 დროს. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენი დასკვნით, გა-  
 დანყვეტილების გასაჩივრების ვადა გასულია.

ავტორი აქ სპეციალურად  
 უთითებს ფაქტობრივი გა-  
 რემოებების ნაკლებობაზე,  
 რასაც შეეძლო ხელი შეემა-  
 ლა და ავტორს დასკვნა ვერ  
 გამოეტანა ამ საკითხთან  
 დაკავშირებით.  
 თუმცა დასკვნა მაინც  
 ნარმოდგენილია,  
 რადგან, ფაქტობრივი  
 გარემოებების ნაკლებობის  
 მიუხედავად, შესაძლებელია  
 ხანდაზმულობასთან  
 დაკავშირებით დასკვნის  
 გაკეთება.

20. შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ პარტნიორი  
 კომპანიის უფლება, მოითხოვოს გადაწყვეტილების  
 ბათილობა და ბონუსის და ჯარიმის გადახდის ვალ-  
 დებულების გაუქმება ზემოთ აღწერილი ერთ-ერთი  
 საფუძველით, ხანდაზმულია.

ამ აბზაცში ავტორი მთლიან  
 ნაწილს აჯამებს, რადგან  
 შემდეგ ნაწილში ავტორი  
 მეორე სამართლებრი-  
 ვი შეკითხვის განხილვას  
 დაიწყებს.

#### IV. კორპორაციული ცვლილებების განხორციელების პროცედურა

21. მემორანდუმის ეს ნაწილი აფასებს იმ პროცედურებს, რომლებიც გამოიყენება დირექტორის ცვლილების (A) და სამეთვალყურეო საბჭოს გაუქმების (B) დროს.

შესავალი პარაგრაფი.

##### A. დირექტორის ცვლილება

22. წესდების 9.8(ვ) მუხლის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია დანიშნოს ან გაათავისუფლოს დირექტორები. უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორის გაათავისუფლების შემდეგ სამეთვალყურეო საბჭომ უნდა დანიშნოს ახალი დირექტორი. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შეუძლია კომპანიის სალიკვიდაციო პროცესის დაწყება.

სამართლებრივი დანაწესის აღწერა.

23. დირექტორის გასათავისუფლებად სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ (შემდგომში „თავმჯდომარე“) უნდა მოინვიოს სხდომა წევრებისთვის სხდომამდე სულ მცირე 8 (რვა) დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინებით. შეტყობინებას უნდა ერთვოდეს სხდომის დღის წესრიგი. დირექტორი, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ამიტომ, კრება გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება და დირექტორი გაათავისუფლებულად ჩაითვლება, თუ ამას მხარს დაუჭერს სამეთვალყურეო საბჭოს ორივე წევრი.

24. დირექტორის თანამდებობიდან გაათავისუფლება მასთან დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია. თუმცა, ხელშეკრულების თანახმად, დირექტორს უნდა გაეგზავნოს შეტყობინება შეწყვეტამდე ერთი (1) თვით ადრე. ალტერნატიულად, ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია შეტყობინების გარეშეც, თუმცა დირექტორი ასეთ შემთხვევაში მიიღებს ერთი თვის ანაზღაურებას.

ავტორი მივხვას დირექტორის თანამდებობიდან გაათავისუფლებისა და მასთან დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის პროცედურას. მართალია, დასმულ შეკითხვაში არ ყოფილა მითითება დირექტორთან დადებულ ხელშეკრულებაზე, თუმცა სრულყოფილი სამართლებრივი ანალიზი მოითხოვს, რომ ეს ორი საკითხი ნათლად გაიმიჯნოს ერთმანეთისგან.

25. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო კომპანია ვალდებული იქნება დირექტორს გადაუხადოს ჯარიმა.



26. ამ შემთხვევაში, თუ სამეთვალყურეო საბჭო არ გაათავისუფლებს დირექტორს, პარტნიორ კომპანიას შეუძლია (i) შეცვალოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან (ii) შეცვალოს წესდება ისე, რომ დირექტორის დანიშვნისა და გათავისუფლების უფლებამოსილება ექნება აქციონერთა კრებას.

ამ ნაწილში ავტორი იმ პროცედურისგან განსხვავებულ ალტერნატივას სთავაზობს მკითხველს, რომელიც მემორანდუმის ადრესატს უშუალოდ აინტერესებდა.

**B. სამეთვალყურეო საბჭოს გაუქმება**

27. კანონი განსაზღვრავს გარკვეულ საფუძვლებს, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა სავალდებულოა. გამომდინარე იქედან, რომ კომპანიას მხოლოდ ერთი აქციონერი ჰყავს, მას კანონმდებლობის საფუძველზე უფლება აქვს, ნებაყოფლობით აირჩიოს ან გაათავისუფლოს სამეთვალყურეო საბჭო.

ავტორი ცალკე გამოყოფს ამ საკითხს, რაც მემორანდუმის ალქმას უადვილებს მკითხველს. ამასთან, შეკითხვაზე პასუხის პოვნა უფრო მარტივი იქნება, როცა იგი გამოყოფილია და არ არის გაერთიანებული სხვა საკითხებთან.

28. წესდების თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს გასაუქმებლად საჭიროა აქციონერთა საერთო კრებაზე წარმოდგენილი აქციონერების ხმათა 50%-ზე მეტი. პარტნიორ კომპანიას, როგორც ერთადერთ აქციონერს, შეუძლია სხდომის ოფიციალურად მონაწილის გარეშე მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს გაუქმების თაობაზე. ამასთან, იმავე გადაწყვეტილებით უნდა დამტკიცდეს კომპანიის ახალი წესდება.

**V. რეკომენდაციები სამომავლო ქმედებებზე**

30. ზემოთ აღწერილის საფუძველზე, ჩვენი რეკომენდაცია იქნება, კომპანიამ ან პარტნიორმა კომპანიამ მიიღოს შემდეგი ზომები:

- დაუყოვნებლივ გაუგზავნოს წევრებს წერილობითი შეტყობინება, რომლითაც მოითხოვს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთებას და მკაცრად გააფრთხილოს წევრები, რომ ბონუსის ან ჯარიმის გადახდა დირექტორისათვის აქციონერის თანხმობის გარეშე შეიძლება იყოს წევრების პირადი პასუხისმგებლობის საფუძველი;
- მოითხოვოს მინდობილობის ასლი;

როგორც აღინიშნა, ამ თავში შეჯამებულია რეკომენდაციები სამომავლო ნაბიჯების შესახებ, რომელთა გადადგმაც, ჩატარებული სამართლებრივი კვლევისა და ანალიზის საფუძველზე, საჭიროა ან რეკომენდებულია მემორანდუმის ადრესატის უფლებების უკეთ განსახორციელებლად.

- დაიწყოს მოლაპარაკება დირექტორთან, რათა შეთანხმდნენ და დირექტორმა უარი თქვას ბონუსის და ჯარიმის მოთხოვნაზე;
- განიხილოს პოტენციური მოთხოვნის უფლებები დირექტორისა და ნევრების წინააღმდეგ (მათი პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი), რომლის თაობაზეც შეგვიძლია დამატებითი სამართლებრივი მემორანდუმის მომზადება.

\* \* \* \*

ჩვენთვის სასიამოვნო იყო, რომ მოგვეცით ამ მემორანდუმზე მუშაობის შესაძლებლობა. ჩვენ მზად ვართ, მოგცეთ დამატებითი რჩევები ამ მემორანდუმში განხილულ ან ნებისმიერ სხვა სამართლებრივ საკითხებზე.

ეს ნაწილი მემორანდუმის არასავალდებულო ნაწილია. ის უფრო მეტად იურიდიული ფირმების არჩევანზეა დამოკიდებული და შინაარსიც შესაბამისად შეიძლება შეიცვალოს.

**4.2.10. არაუფექტური შეფასებითი მემორანდუმის მაგალითი**

**მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი**

- თარიღი [\*]
- ადრესატი [\*]
- ავტორი [\*]

სათაურში არ არის გამოტანილი ყველა საჭირო დეტალი, რადგან აკლია მემორანდუმის საგნის მოკლე აღწერა. ამასთან მოცემული ფორმით სათაურები ნაკლებად პროფესიონალურად გამოიყურება, რადგან არ არის დაცული ფორმატირების წესები.

**I. შესავალი**

1. მემორანდუმში შეჯამებულია პასუხები ქართულ სამართალთან დაკავშირებულ იმ შეკითხვებზე, რომლებიც წამოიშვა სს “X”-ის (შემდგომში „კომპანია“) სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე.

შესავალში არ არის იდენტიფიცირებული მემორანდუმის ავტორი, ვისთვის მზადდება მემორანდუმი და არ არის განმარტებული ყველა ტერმინი.

II. ფაქტობრივი გარემოებები

2. სამეთვალყურეო საბჭოს 2018 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით განისაზღვრა, რომ კომპანიის დირექტორს ქ/ბ-ნ “B”-ის (შემდგომში „დირექტორი“) კომპანიამ გადაუხადოს ბონუსი და დირექტორთან დადებული ხელშეკრულების ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში კომპანიას დაეკისროს ჯარიმის გადახდა 25,000 (ოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით (შემდგომში „ჯარიმა“).
 

ავტორი პირდაპირ ფაქტებს განიხილავს. არ არის მოცემული ინფორმაციის წყარო. ფაქტობრივი გარემოებები არ არის ნათლად აღწერილი, კერძოდ, არ ჩანს, ჯარიმასთან დაკავშირებით ზუსტად რა გადაწყვიტა სამეთვალყურეო საბჭომ. არ არის მითითებული არც ბონუსის ოდენობა.
3. გადაწყვეტილების საფუძველზე, 2018 წლის 1 აგვისტოს კომპანიასა და დირექტორს შორის დაიდო ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“), რომელშიც, გადაწყვეტილების შესაბამისად, გათვალისწინებული იქნა კომპანიის მიერ დირექტორისათვის ბონუსის და ჯარიმის გადახდის ვალდებულება.
 

ტერმინი „გადაწყვეტილება“ განმარტებული არ არის. ფაქტობრივი გარემოებები არასრულია. არ ჩანს, გადაიხდა თუ არა კომპანიამ ბონუსი და, შესაბამისად, რა მდგომარეობაა მემორანდუმის მომზადების თარიღისათვის.
4. სამართლებრივი საკითხები
  - a. ნამდვილია თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება?
  - b. რა პროცედურები არსებობს იმისათვის, რომ დირექტორი გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან და გაუქმდეს სამეთვალყურეო საბჭო?

არ არის ლოგიკური ბმა ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ საკითხებს შორის. უშუალოდ სამართლებრივი საკითხები არასრულად არის ჩამოყალიბებული. არ იკვეთება, რა მიზნით შეიძლება აინტერესდეს კლიენტს გადაწყვეტილების ბათილობის საკითხი.
5. ეს მემორანდუმი მომზადდა კომპანიის 2010 წლის 10 სექტემბრის წესდების საფუძველზე, რომელშიც ცვლილებები განხორციელდა 2011 წლის 10 ოქტომბერს (შემდგომში „წესდება“). ჩვენ ვუშვებთ, რომ აღნიშნული წესდება არის კვლავ ძალაში და მასში დამატებითი ცვლილებები არ განხორციელებულა.
 

ამ ნაწილში ავტორი წარმოგიდგინებს გარკვეულ დათქმებს, თუმცა სრულად არ უთითებს გამოკვლეულ მასალებზე.
6. მემორანდუმი აფასებს გადაწყვეტილების ნამდვილობას და დაყოფილია ხუთ ნაწილად.
 

მემორანდუმის სტრუქტურა არასრულფასოვნად არის აღწერილი და ამ აზრადან შეუძლებელია იმის გაგება, რას განიხილავს და აფასებს მემორანდუმი შესაბამის ნაწილებში.

### III. გადაწყვეტილების ნამდვილობა

ავტორს არ წარმოუდგენია შესავალი აბზაცი, რის გამოც, მომდევნო აბზაცის შინაარსი და რელევანტურობაც ბუნდოვანია მკითხველისთვის.

#### A. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის მარეგულირებელი წესები

7. მენარმეთა შესახებ კანონი ადგენს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შეუძლიათ რიგგარეშე სხდომის გამართვა. სხდომამდე სულ მცირე რვა (8) დღით ადრე წევრებს უნდა გაეგზავნოთ შეტყობინება სხდომის ჩატარების თაობაზე სხდომის დღის წესრიგთან ერთად.
8. ჩვენი ინფორმაციით, გადაწყვეტილების მიღებისას სხდომას სამივე წევრი ესწრებოდა. საბჭოს ორმა წევრმა მხარი დაუჭირა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი “D” წარმოდგენილი იყო მეორე წევრის – “G”-ის მიერ 2013 წლის 10 აგვისტოს გაცემული მინდობილობის (შემდგომში „მინდობილობა“) საფუძველზე. ჩვენ არ ვიცით, მოქმედებდა თუ არა “G” თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. ჩვენ არ შეგვიძლია, დავადასტუროთ ან შევამოწმოთ, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარებისას და კენჭისყრის წარმართვისას დაირღვა თუ არა რომელიმე ფორმალური წესი.

ავტორი პირდაპირ საუბრობს სამეთვალყურეო საბჭოს მოწვევის წესზე, თუმცა ბუნდოვანია, რა დანიშნულება აქვს ამ წესის აღწერას. აბზაციდან არ ჩანს, ყველა განხილული წესი კანონიდან მომდინარეობს თუ წესდების მუხლებიც შესწავლილია.

ავტორი ისე გადადის ფაქტობრივი გარემოებების განხილვაზე, რომ სამართლებრივი წესი სრულფასოვნად ჩამოყალიბებული არ არის. ფაქტობრივი გარემოებები ბუნდოვანია. ამასთან, ავტორი მოცემულ აბზაცში წარმოადგენს თავის დასკვნას, თუმცა ლოგიკური ბმა აღწერილ ფაქტებს, სამართლებრივ საფუძვლებსა და დასკვნას შორის არ ჩანს. აბზაცის ფორმაც არ არის დაცული.

9. ჩვენ შევისწავლეთ წესდება და კანონი, რათა განგვე-  
 საზღვრა, ჰქონდა თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს  
 კომპეტენცია, ნებართვა გაეცა გადაწყვეტილებაში  
 მოცემულ საკითხებზე, კერძოდ, დაედასტურებინა დი-  
 რექტორისათვის ბონუსისა და ჯარიმის გადახდა. ჩვენ  
 მივიჩნევთ, რომ საბჭოს ამის კომპეტენცია აქვს, რად-  
 გან დირექტორს და აქციონერთა საერთო კრებას ამის  
 კომპეტენცია არ აქვს.

იმის გამო, რომ მემო-  
 რანდუმის სტრუქტურა  
 დეტალურად აღწერილი  
 არ არის, გაუგებარია,  
 რატომ მსჯელობს ავტორი  
 სამეთვალყურეო საბჭოს  
 კომპეტენციაზე, თანაც ქვე-  
 თავი არ არის გამოყოფილი  
 სათანადოდ.  
 ავტორი წარმოადგენს  
 დასკვნას, თუმცა  
 საფუძველი არ არის  
 მითითებული.  
 ავტორი საერთოდ  
 უპასუხოდ ტოვებს  
 შეკითხვას, რამდენად  
 ჰქონდა სამეთვალყურეო  
 საბჭოს იმის  
 უფლებამოსილება, რომ  
 შეეცვალა დირექტორთან  
 დადებული ხელშეკრულება.

10. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების ბათილო-  
 ბის საფუძველები არ არსებობს და სამეთვალყურეო სა-  
 ბჭოს გადაწყვეტილება ნამდვილია.

ავტორი ისე აჯამებს ამ  
 თავს, რომ რეალურად  
 გადაწყვეტილების  
 ბათილობის საფუძველებზე  
 არ უმსჯელია.  
 წარმოდგენილი  
 აბზაცებიდან არ ჩანს,  
 რა მიზანი ჰქონდა  
 სამეთვალყურეო საბჭოს  
 კრების ჩატარების  
 მარეგულირებელი წესების  
 განხილვას.

**C. გადაწყვეტილების გაბათილება**

11. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების გაბათი-  
 ლების ორთვიანი ვადა გასულია, რის გამოც, თქვე-  
 ნი მოთხოვნა გადაწყვეტილების ბათილობის თაობაზე  
 ხანდაზმულია.

ქვესათაურები არ არის  
 სწორად დანომრილი: "C"-ის  
 ნაცვლად უნდა იყოს "B".  
 ავტორი ქვეთავს ცალკე  
 გამოყოფს, თუმცა მხოლოდ  
 დასკვნას გვთავაზობს სა-  
 მართლებრივი საფუძველების  
 განხილვისა და ფაქტებთან  
 მისადაგების გარეშე.

#### **IV. შეუძლია თუ არა პარტნიორს სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორების გათავისუფლება?**

12. წესდების 9.8(ვ) მუხლის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია, დანიშნოს ან გაათავისუფლოს დირექტორები. დირექტორის გასათავისუფლებლად სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ უნდა მოინვიოს სხდომა. კრება გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება და დირექტორი გათავისუფლებულად ჩაითვლება, თუ ამას მხარს დაუჭერს სამეთვალყურეო საბჭოს ორივე წევრი. დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება მასთან დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია. დირექტორს უნდა გაეგზავნოს შეტყობინება შეწყვეტამდე ერთი (1) თვით ადრე. ალტერნატიულად, ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია შეტყობინების გარეშეც, თუმცა დირექტორი ასეთ შემთხვევაში მიიღებს ერთი თვის ანაზღაურებას. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო კომპანია ვალდებული იქნება დირექტორს გადაუხადოს ჯარიმა.

სათაურის ფორმა დაუცველია და არ შეესაბამება ამ მემორანდუმში მსგავსი სათაურების ფორმას. ამასთან, სამართლებრივი საკითხი გამოტანილია სათაურად.

ეს ქვეთავი სრულად ერთ აბზაცშია წარმოდგენილი. არ არის დაცული მემორანდუმის წერის ფორმატი. შინაარსობრივად აბზაცი საკმაოდ დატვირთულია და გაუმართავი სტრუქტურა აძნელებს შესაბამის საკითხებზე პასუხების ამოკითხვას. გარდა ამისა, ავტორი არ ხსნის განსხვავებებს დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებასა და დირექტორთან დადებული ხელშეკრულების შეწყვეტას შორის.

#### **სამეთვალყურეო საბჭოს გაუქმება**

წესდების თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს გასაუქმებლად საჭიროა აქციონერთა საერთო კრებაზე წარმოდგენილი აქციონერების ხმათა 50%-ზე მეტი. პარტნიორ კომპანიას, როგორც ერთადერთ აქციონერს, შეუძლია სხდომის ოფიციალურად მოწვევის გარეშე მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს გაუქმების თაობაზე.

ბუნდოვანია, რატომ საუბრობს ავტორი სამეთვალყურეო საბჭოს გაუქმებაზე.

ასევე ბუნდოვანია ამ ნაწილის ადგილი მემორანდუმის საერთო სტრუქტურაში, რადგან იგი არ არის სათანადოდ დანომრილი. ეს, მემორანდუმის ზოგადი სტრუქტურის აღწერილობის არარსებობასთან ერთად, ართულებს მემორანდუმის შინაარსის აღქმას მკითხველისათვის.

#### **V. რეკომენდაციები სამომავლო ქმედებებზე**

13. ჩვენი რეკომენდაცია იქნება, კომპანიამ ან პარტნიორმა კომპანიამ მიიღონ შემდეგი ზომები:

- დაუყოვნებლივ გაუგზავნოს წევრებს წერილობითი შეტყობინება;
- მოითხოვოს მინდობილობის ასლი.

ბუნდოვანია, რა წერილობით შეტყობინებაზეა საუბარი. რეკომენდაციები მაქსიმალურად დეტალური უნდა იყოს, რათა კლიენტმა ნათლად დაინახოს სამოქმედო გეგმა და გადასადგმელი ნაბიჯები.

დაიწყოს მოლაპარაკება დირექტორთან, რათა შეთანხმდნენ და დირექტორმა უარი თქვას ბონუსის და ჯარიმის მოთხოვნაზე.

\* \* \* \*

### 4.3. შედარებითი მემორანდუმი

#### 4.3.1. შედარებითი მემორანდუმის არსი და მიზანი

შედარებითი მემორანდუმი არის წერილობითი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს მემორანდუმის ადრესატისადმი მიმართულ დასაბუთებულ რჩევას/დასკვნას, მოცემული ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი ჩარჩოს პირობებში რამდენიმე შესაძლო გადაწყვეტიდან ყველაზე ოპტიმალურის შესახებ.<sup>10</sup>

შედარებითი მემორანდუმი მზადდება იურისტის მიერ განხორციელებული სამართლებრივი (ან შედარებით სამართლებრივი) კვლევისა და ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე. თავისი ბუნებიდან გამომდინარე, შედარებითი მემორანდუმის მომზადება საჭიროებს ყველა იმ უნარის ერთობლიობას, რომელიც აუცილებელია როგორც აღწერილობითი, ასევე შეფასებითი მემორანდუმის მოსამზადებლად.

შედარებითი მემორანდუმი შეიძლება მომზადდეს როდესაც:

- მემორანდუმის ადრესატს სურს პრობლემური საკითხის ორი ან მეტი სამართლებრივი გადაწყვეტის საშუალებიდან საუკეთესოს არჩევა. მაგალითად, კლიენტს სურს, აირჩიოს სავარაუდო დავების გადაწყვეტის მეთოდი კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობისათვის, სასამართლოს, არბიტრაჟსა და მედიაციას შორის;
- შედეგის მიღწევა შესაძლებელია სხვადასხვა სამართლებრივი გზით და საჭიროა არსებულ მოცემულობაში ყველაზე მისაღები/მარტივი/მომგებიანი გზის არჩევა. მაგალითად, კლიენტს სურს, აირჩიოს ყველაზე მოქნილი და ოპტიმალურ დანახარჯებთან დაკავშირებული კორპორაციული ფორმა, რომლის მეშვეობითაც განახორციელებს ინვესტიციას საქართველოში კომერციული უძრავი ქონების სექტორში.

შედარებითი მემორანდუმის შედარებითი ელემენტი შესაძლებელია იყოს ერთი იურისდიქციის ფარგლებში სამართლებრივი გარემოს ორი ან მეტი გადაწყვეტის შედარება, ან

10 კლიენტი – თუ მემორანდუმი იურიდიული კომპანიის მიერ გარე მოხმარებისთვისაა განსაზღვრული; კომპანიის მენეჯმენტი, თუ მემორანდუმი კომპანიის შიდა იურიდიული სამსახურის მიერ მზადდება; იურიდიული ფირმის უფროსი იურისტი/პარტნიორი – თუ მემორანდუმი იურიდიული ფირმის შიდა მოხმარებისათვის მზადდება და ა.შ.

რამდენიმე სხვადასხვა იურისდიქციის სამართლებრივი გარემოს შედარება. მაგალითად, შესაძლებელია კლიენტს სურდეს ქვეყანაში ინვესტირება იმგვარად, რომ მასზე ვრცელდებოდეს უცხოელ ინვესტორთა დაცვის საუკეთესო სტანდარტები და მისი კორპორატიული სტრუქტურა საშუალებას აძლევს ინვესტიცია განახორციელოს ჰოლანდიური, ბრიტანული ან არაბეთის გაერთიანებული საემიროების იურისდიქციებში დაარსებული კორპორაციებიდან ერთ-ერთით ან რამდენიმეთი ერთდროულად. ასეთ შემთხვევაში, შედარებით მემორანდუმის შედარებითი ელემენტი მოიცავს როგორც ქვეყნის შიდა სამართლებრივ გარემოში ინვესტირების მექანიზმების შედარებას, ასევე ჰოლანდიასთან, ბრიტანეთთან და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებთან არსებული შესაბამისი ინვესტიციების ორმხრივი დაცვის რეჟიმების შედარებას, იმისათვის, რომ იურისტმა შეძლოს კლიენტისთვის მოცემულ შემთხვევაში ოპტიმალური ინვესტირების სტრუქტურის შეთავაზება.

### 4.3.2. შედარებითი მემორანდუმისთვის ორგანიზება

შედარებითი მემორანდუმის შესაქმნელად მნიშვნელოვანია სათანადო მომზადება. იურისტს ზუსტად, ამომწურავად და კონკრეტულად უნდა ესმოდეს მის წინაშე დასმული ამოცანა:

- ამოცანის სწორად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია იურისტმა შეისწავლოს მის წინაშე დასმული პრობლემების ირგვლივ ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინოს მემორანდუმის ადრესატის მიზნები;
- ხშირია შემთხვევები, როდესაც მემორანდუმის ადრესატი თავდაპირველად ამოცანას აყალიბებს ზედმეტად ფართოდ და ბუნდოვნად. ასეთ დროს იურისტის მიერ მომზადებული შედარებითი მემორანდუმი შესაძლოა არ იყოს გამოსადეგი დამკვეთისთვის ან/და შეიცავდეს არასწორ/არაეფექტურ დასკვნას/რეკომენდაციას.

მაგალითად, კომპანია „ალფას“ მენეჯმენტი აპირებს, იყიდოს კომპანია „ბეტას“ შვილობილი კომპანია „გამა“, რომელიც წარმოადგენს კომპანია „ალფას“ კონკურენტს ციფრული მაუწყებლობის სექტორში. კომპანია „ალფა“ მიმართავს იურიდიულ ფირმას შეკითხვით: ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებს, კვიპროსსა და პანამას შორის რომელი იურისდიქცია იძლევა საშუალებას, ყველაზე სწრაფად, მარტივად და საგადასახადო კუთხით ეფექტურად დაარსდეს კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობით, რომლის ძირითადი საქმიანობა იქნება საქართველოში არსებულ კორპორაციებში წილების/აქციების ფლობა?

კომპანია „ალფას“ მენეჯმენტის მიზანია, რომ ზემოთხსენებულ იურისდიქციებში კომპანია „ალფას“ მიერ დაარსებული კორპორაციის მეშვეობით კომპანია „გამას“ შესყიდვის შემთხვევაში, მარტივად შეძლოს საქართველოში კომუნიკაციის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თანხმობის მიღება მოცემულ შესყიდვაზე.

ცხადია, რომ შეკითხვის ზემოაღნიშნული ფორმულირებიდან კომპანია „ალფას“ მენეჯმენტის ძირითადი მიზანი არ ჩანს. თუ იურისტი მიიჩნევს, რომ მემორანდუმის ამოცანა ცხადად არ არის ჩამოყალიბებული, მის მიერ მომზადებული მემორანდუმი საკმარისად ვერ მიესადაგება ადრესატის მიზანს. შესაბამისად, აუცილებელია, მემორანდუმის შექმნამდე იურისტმა მაქსიმალურად გამოიკვლიოს მიზნები და ძირითადი მოტივაციები, რომელთა გამოც ადრესატი მოცემულ მემორანდუმს საჭიროებს.



ადრესატის კონკრეტული მიზნებისა და თანმდევი გარემოებების ზუსტი და ამომწურავი გაანალიზების გარეშე შეუძლებელია, იურისტს საკმარისად ესმოდეს მის მიერ შესაქმნელი მემორანდუმის წინაშე დასმული ამოცანა. შესაბამისად, აუცილებელია, იურისტმა ზუსტად დასახოს ამოცანები.

ამასთან, სამართლებრივი კვლევის მიმართულებების სწორი იდენტიფიცირება საჭიროებს ფაქტობრივი გარემოებების შესახებ მაქსიმალურად დეტალური ინფორმაციის ფლობას. ფაქტობრივი გარემოებების დეტალურად ცოდნა იურისტს ეხმარება ადრესატის რეალური მოტივაციებისა და მიზნის დადგენაშიც.

ხშირია შემთხვევა, როცა დასმული საკითხის შედარებით ფართო ბუნებიდან გამომდინარე, მემორანდუმში ვერ პასუხობს ყველა მნიშვნელოვან საკითხს, ვინაიდან მისი მომზადებისას არ იქნა გათვალისწინებული, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ფაქტები.

მაგალითად, საერთაშორისო ხე-ტყის ნედლეულის მწარმოებელ კორპორაციას სურს საქართველოში, ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოიპოვოს ნაბლის ხეების ჭრის უფლებამოსილება. კორპორაცია ქართულ იურიდიულ ფირმას მიმართავს შეკითხვით: რომელი სტრუქტურა დაიცავს ინვესტორს უფრო ნაკლები ტრანზაქციული დანახარჯით: (1) კორპორაციამ ხე-ტყის ჭრის უფლებამოსილება მოიპოვოს თავისი იტალიური შვილობილის მეშვეობით, თუ (2) მისი ესპანური სათავო ოფისის მიერ საქართველოში დაარსებული შვილობილის მეშვეობით?

ერთი შეხედვით, იურისტი დამატებით ფაქტებს არ საჭიროებს მემორანდუმის შესაქმნელად. თუმცა ადრესატის ბიზნესის და მისი გამოცდილების დამატებითი შესწავლა ცხადყოფს, რომ ადრესატს აქვს ე.წ. სანიტარული ჭრების დიდი გამოცდილება. შესაბამისად, ადრესატს შეიძლება ნაბლის ჭრის ნებართვის მოპოვების ნაცვლად, ნაბლის სანიტარული ჭრის სამუშაოების სერვისის შეთავაზება სურდეს შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოსთვის, თუ ასეთი სანიტარული ჭრების შედეგად მოპოვებული ნაბლის ნედლეულის ხარისხი და რაოდენობა მისთვის მისაღებია. შესაძლებელია ადრესატისათვის ნაბლის ჭრის ნებართვის მოპოვების ტრანზაქციული დანახარჯის მაქსიმალურად შემცირება. ცხადია, დამატებითი ფაქტობრივი გარემოების გარეშე, იურისტი მემორანდუმს ააგებს იმ დაშვებით, რომ ადრესატს აინტერესებს ჩვეულებრივი ნაბლის ჭრის ნებართვასთან დაკავშირებული საკითხები.

იურისტმა უნდა შეძლოს ადრესატის მიზნებისა და ფაქტობრივი გარემოებების ჭრილობაში საკვლევი სამართლებრივი საკითხების ზუსტად, კონკრეტულად და ამომწურავად იდენტიფიცირება. სამართლებრივი შეკითხვების შეგროვების ეტაპი თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც კვლევითი რესურსის ეკონომიისათვის, ასევე მემორანდუმის, როგორც წერილობითი დოკუმენტის, ეფექტურობის გასაზრდელად.

ხშირია შემთხვევები, როდესაც შედარებით მემორანდუმები საკვლევი სამართლებრივი საკითხის დაუზუსტებლობიდან გამომდინარე, შესაბამის სამართლებრივ სფეროში მეცნიერის შედარებით სამართლებრივ ნაშრომს გვაგონებს. ხშირად, ორი სხვადასხვა იურისდიქციის სამართლებრივ გადაწყვეტას შორის საუკეთესოს არჩევისას, მემორანდუმში კონცენტრირდება არა კონკრეტულ შემთხვევაში კლიენტის მოტივაციებისა და მიზნებიდან გამომდინარე მისთვის ოპტიმალურ გადაწყვეტაზე, არამედ გვანჯდის ორი იურისდიქციის მოკლე შედარებით სამართლებრივ დახასიათებას.

ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია იურისტმა, ადრესატის მიზნებისა და ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის შემდგომ, მაქსიმალურად ამომწურავად, მაგრამ ზუსტად და კონკრეტულად ჩამოაყალიბოს სამართლებრივი საკითხები.

### 4.3.3. მემორანდუმის სტრუქტურა

შედარებითი მემორანდუმი, მისი ადრესატის საჭიროებების და კონკრეტულად გადასაწყვეტი საკითხის ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლოა, სხვადასხვა ფორმით/სტრუქტურით მომზადდეს. ფორმისა და სტრუქტურის განსაზღვრისას იურისტმა უნდა გაითვალისწინოს მემორანდუმის ძირითადი ამოცანა, ადრესატი, ადრესატის მიზნები და ამ მიზნების განსახორციელებლად მნიშვნელოვანი საკითხების რაოდენობა, ფაქტობრივი გარემოებების კომპლექსურობა, გამოკვლეული სამართლებრივი გადაწყვეტების სირთულე და რაოდენობა, ასეთი გადაწყვეტების შედარების ფორმატი და ა.შ.

მემორანდუმის სტრუქტურა უნდა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ (ი) თითოეული გადაწყვეტა, რომელიც მემორანდუმშია განხილული, შეფასდეს ადრესატის თითოეულ მიზანთან/მოთხოვნასთან (მათ თითოეულ ასპექტთან) მიმართებით; და (იი) გადაწყვეტების შედარება ადრესატისათვის მაქსიმალურად მარტივად აღსაქმელი ფორმით მოხდეს.

შედარებითი მემორანდუმი თავის თავში მოიცავს როგორც აღწერილობითი მემორანდუმის, ასევე შეფასებითი მემორანდუმის ელემენტებს. თუმცა მისი სტრუქტურა დამატებით მოიცავს აღწერისა და შეფასების შედარების ელემენტს.

ნებისმიერი მემორანდუმის მომზადებისას იურისტმა თავად უნდა შეაფასოს, ამოცანის, ფაქტობრივი გარემოებებისა და საკვლევი სამართლებრივი საკითხების ფონზე, თუ რა სტრუქტურით სურს, ააწყოს მემორანდუმი. ამასთან, შედარებითი მემორანდუმი, თავისი დანიშნულებიდან გამომდინარე, საჭიროებს კონკრეტულ შემთხვევაზე მორგებულ დამოკიდებულებას მემორანდუმის სტრუქტურის მიმართ. ქვემოთ განხილულია სტრუქტურის ერთ-ერთი მაგალითი, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს როგორც ძირითადი მოდელური ჩონჩხი შედარებითი მემორანდუმისათვის.

შედარებითი მემორანდუმის ქვემოთ გადმოცემული მოდელური სტრუქტურა წარმოადგენს გამარტივებულ ჩონჩხს, რომელიც მოქნილია ყველა საჭიროებისათვის. ამ სტრუქტურის ძირითადი ელემენტების გამოყენება რეკომენდებულია ნებისმიერ შემთხვევაში, ცხადია, შესაბამისი შინაარსიდან გამომდინარე საჭირო შესწორებებით. სიმარტივისათვის სტრუქტურა ეხება შემთხვევას, როდესაც:

- დასმულია ერთი კონკრეტული ამოცანა;
- ამოცანის გადასაწყვეტად არსებობს მხოლოდ ორი ალტერნატივა.

ასეთ შემთხვევაში შედარებითი მემორანდუმი შედგება შემდგომი ძირითადი ნაწილებებისაგან:

- თავსართი;
- შესავალი;
- მემორანდუმის ამოცანა;
- დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია მემორანდუმის მომზადებისას;
- ფაქტობრივი გარემოებები;
- სამართლებრივი შეკითხვები ან საკითხების ზოგადი აღწერა;

- ამოცანის გადამწყვეტის პირველი ალტერნატივა: განხილვა და ანალიზი;
- ამოცანის გადამწყვეტის მეორე ალტერნატივა: განხილვა და ანალიზი;
- ამოცანის გადამწყვეტის ალტერნატივების შედარება და დასკვნები;
- რეკომენდაციები.

#### 4.3.4. თავსართი და შესავალი

ნებისმიერი მემორანდუმი საჭიროებს თავსართს, რომელიც განსაზღვრავს მინიმუმ შემდეგ დეტალებს: მემორანდუმის თარიღი, ავტორი, ადრესატი და საგანი. თავსართი წარმოადგენს ერთგვარ სათაურს, რომელშიც ყურადღება უნდა მიექცეს საგნის ფორმულირებას. უმჯობესია, თუ საგნის ფორმულირება საკმარისად კონკრეტულად ასახავს მემორანდუმში განხილულ თემებს.

მემორანდუმის შესავალი ნაწილი მოკლედ აღწერს, თუ ვინ და რა საკითხზე მოითხოვა რჩევა ვისგან და, ზოგადად, რა მიზნით მზადდება მემორანდუმი. შესავალი ნაწილი მოიცავს ადრესატის მიერ მემორანდუმის მოთხოვნის კონტექსტს და მემორანდუმის ავტორის მიერ მიღებული დავალების და ინსტრუქციების აღწერას. მნიშვნელოვანია, რომ მიღებული დავალება ამ ნაწილში ფორმულირდება უფრო ვიწროდ და მოკლედ, ვიდრე შემდგომ, მემორანდუმის ამოცანის ნაწილში. უმჯობესია, ასეთი დავალების მოხსენიებისას შესავალში მითითება გაკეთდეს კონკრეტულ დავალებაზე და განიმარტოს, რომ ამოცანა მოცემულია „მემორანდუმის ამოცანის“ ნაწილში. შესავალი ნაწილი საუკეთესო ადგილია მემორანდუმის ძირითადი ტერმინების განსაზღვრად, რამდენადაც ამის საშუალებას შესავალ ნაწილში გადმოცემული ინფორმაცია იძლევა.

#### 4.3.5. მემორანდუმის ამოცანა

შედარებითი მემორანდუმის ამოცანა სტრუქტურაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. შედარებით მარტივ მემორანდუმებში შესაძლებელია ეს ნაწილი შესავალშიც გაერთიანდეს. მემორანდუმის ამოცანა ზუსტად უნდა ასახავდეს როგორც ადრესატის ძირითად მოტივაციებსა და მიზნებს მემორანდუმის მიერ განხილულ საკითხთან დაკავშირებით, ასევე მემორანდუმის ავტორის მიერ მიღებული ინსტრუქციებისა და ჩატარებული კვლევის ფარგლებს. მემორანდუმის ამოცანის განსაზღვრისას იურისტმა მაქსიმალურად ზუსტად უნდა გადმოსცეს ადრესატისაგან მიღებული დავალება და ამ დავალების შესაბამისად განხორციელებული სამუშაოების ფარგლები.

#### 4.3.6. დაშვებები

დაშვებები მემორანდუმის პრინციპულად მნიშვნელოვანი ნაწილია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მემორანდუმი მზადდება ან როგორც სამართლებრივი დასკვნა, ან როდესაც მემორანდუმი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების ნაწილს მოიცავს. დაშვებების ძირითადი ფუნქციაა:

- ზუსტად ასახოს ე.წ. „ფაქტობრივი შეფასების საგნები“ და გააკეთოს შესაბამისი დაშვებები მათთან მიმართებით;
- განსაზღვროს ის მოცემულობები, რომლებზე დაყრდნობითაც მზადდება მემორანდუმი.

დაშვებებში იურისტმა ზუსტად უნდა განსაზღვროს დადგენილი ფაქტები, რომლებიც მემორანდუმში არ ფასდება და სამართლებრივი გარემოებები, რომლებსაც იურისტი იღებს როგორც მოცემულობას და ეყრდნობა მემორანდუმის შემდგომი მსვლელობისას.

ერთ-ერთი მეთოდის თანახმად, დაშვებები ყალიბდება მემორანდუმის დაწერის შემდგომ, რადგან იურისტმა ყველა ფაქტის ანალიზის ან/და სამართლებრივი გარემოების შეფასების შედეგად მიიღო გადაწყვეტილება, თუ რომელ მათგანს დაეყრდნო საბოლოო პროდუქტის ჩამოყალიბებისას. დაშვებების მიზანია, ყველა მხარისთვის ცალსახად ცხადი გახადოს, თუ რა მოცემულობებით იხელმძღვანელა იურისტმა სამართლებრივი შეფასებების გაკეთებისას.

ხშირად დაშვების მაგალითია ჩანაწერი, რომ იურისტისადმი წარდგენილ დოკუმენტებზე ხელმოწერები ავთენტურია და უფლებამოსილი პირების მიერ არის გაკეთებული. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი დაშვება არ გაკეთდება, მაგალითად, ე.წ. „უფლებამოსილებაზე სამართლებრივი დასკვნის“ მომზადებისას, ანუ იმ შემთხვევაში, როდესაც იურისტის სამართლებრივმა დასკვნამ უნდა შეამოწმოს და დაადასტუროს კონკრეტული კომპანიის მიერ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლის უფლებამოსილება.

#### 4.3.7. ფაქტები

შედარებითი მემორანდუმის მომზადებისას, ფაქტების აღწერა შეიძლება ნაწილობრივ გაერთიანდეს შესავალ ნაწილთან, თუ არსებობს მხოლოდ მცირე რაოდენობის ზოგადი ფაქტი, ხოლო კონკრეტულ გამოსავლებთან დაკავშირებული ფაქტები შეიძლება გაერთიანდეს შესაბამისი გამოსავლის აღწერის ნაწილთან; ალტერნატიულად, ფაქტების ნაწილში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ფაქტობრივი სცენარი, რომლებიც სხვადასხვა სამართლებრივ ანალიზს მიესადაგება.

ფაქტების აღწერისას ხშირია ორი საპირისპირო, თუმცა თანაბრად მავნე პრაქტიკა:

- იურისტმა ფაქტების ნაწილში გადმოსცეს ყველა მისთვის გაზიარებული ფაქტი, ხოლო მემორანდუმის მიზნებისთვის იყოს რელევანტური მათი მცირედი ნაწილი;
- იურისტმა ფაქტები ვიწრო ჭრილში განიხილოს – გამოტოვოს/გამორჩეს რელევანტური საკითხები, რომლებიც მემორანდუმის წერისას აუცილებლად იჩენს თავს.

გთავაზობთ ე.წ. რელევანტურობის ტესტს, რომლის თანახმად, თითოეული ფაქტობრივი გარემოება მემორანდუმში აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მემორანდუმში მოხვედრა აბსოლუტურად რელევანტურია მემორანდუმის შინაარსისათვის.

რაც შეეხება თავად ფაქტების ჩამოყალიბების სტილს, ამ ნაწილში იურისტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ფაქტობრივი გარემოებები არ უნდა მოიცავდეს შეფასებით ტერმინოლოგიას ან სამართლებრივი ანალიზის შედეგად კვალიფიცირებულ ფაქტს. ფაქტების შეფასება და მათი კვალიფიკაცია უნდა მოხდეს მემორანდუმის სამართლებრივი შეფასებების ნაწილში და არა ფაქტობრივი გარემოებების გადმოცემისას. მნიშვნელოვანია, რომ ფაქტობრივი გარემოებები მაქსიმალურად ნაკლებად შეიცავდნენ ზედსართავებსა და ზმნიზედებს. თუ ასეთი კვალიფიკატორები საჭიროა ფაქტების აღსაწერად, მაშინ უმჯობესია მათი ფაქტობრივ გარემოებებში გარდაქმნა/გამოსახვა. მაგალითად, თუ ფაქტობრივ გარემოებებში აღინერა, რომ გარკვეული ინფორმაცია კლიენტს მიეწოდა განსაკუთრებულად გვიან, უმჯობესია, ზედსართავის და ზმნიზედის გამოყენების ნაცვლად, მშრალად მიუთითოთ, თუ როდის უნდა მიეღო კლიენტს ინფორმაცია და როდის მიიღო სინამდვილეში, დამატებითი კვალიფიკატორის/შეფასების გარეშე.

ფაქტობრივი გარემოებების გადმოცემისას მნიშვნელოვანია, რომ იურისტმა მიუთითოს ფაქტების წყარო. ასევე მნიშვნელოვანია, რომ იურისტმა მიუთითოს იმ ფაქტების შესახებ, რომლებიც მისთვის უცნობია. კერძოდ, თუ იურისტს ხელი არ მიუწვდება გარკვეულ ფაქტობრივ გარემოებებზე, ანუ მას არ აქვს ინფორმაცია/ფაქტობრივი პასუხი რელევანტურ შეკითხვაზე, ის უთითებს ამის შესახებ.

ხშირია შეცდომა, როდესაც მემორანდუმში ფაქტებადაა გადმოცემული ე.წ. სამართლებრივი შეფასების საკითხები. მაგალითად, მემორანდუმში შეიძლება ეწეროს, რომ კომპანიის კონკრეტული გადაწყვეტილება იყო მისი ჩვეული ბიზნესსაქმიანობის ნაწილი კომპანიის წესდების მიზნებისათვის. ასეთი გარემოების ფაქტობრივ გარემოებად მიჩნევა არასწორია, ვინაიდან, კონკრეტული გადაწყვეტილება იყო თუ არა „ჩვეული ბიზნესსაქმიანობა“ წესდების მიზნებისათვის, სამართლებრივი შეფასების საგანი უფროა. მან ეს გარემოება „დაშვებებში“ უნდა მიუთითოს – მემორანდუმში განისაზღვრება დაშვება, რომ კონკრეტული გადაწყვეტილება არ ცდებოდა კომპანიის ჩვეულ ბიზნესსაქმიანობას მისი წესდების მიზნებისათვის. ალტერნატიულად, შესაძლებელია ფაქტების ნაწილში მიეთითოს ამ გადაწყვეტილების შინაარსი მშრალად, ხოლო სამართლებრივი შეფასების ნაწილში განისაზღვროს, თუ რამდენად იყო მოცემული გადაწყვეტილება კომპანიის ჩვეული ბიზნესსაქმიანობის ქრილში წესდების მიზნებისათვის.

#### 4.3.8. სამართლებრივი შეკითხვები ან საკითხების ზოგადი აღწერა

შედარებით მემორანდუმში ამ ნაწილში არ ხდება სამართლებრივი ანალიზის განვითარება. ამ ნაწილში ხდება სამართლებრივი შეკითხვების/საკითხების დისტილირება და რეგულირების ჩარჩოს ზოგადი აღწერა. ამ ნაწილში იურისტმა უნდა გამოიყენოს ე.წ. აღწერილობითი მემორანდუმის მახასიათებლები – ანალიზის გარეშე, მაქსიმალურად რელევანტური და კონკრეტული სამართლებრივი შინაარსის ჩამოყალიბება მარეგულირებელი ნორმების მშრალი გადმოცემით.

ამ ნაწილის ცალკე გამოყოფა შედარებით მემორანდუმში საჭიროა შემდეგი მიზნებისათვის, რეკომენდებულია:

- ყველა სამართლებრივი შეკითხვა ერთ ადგილას იყოს თავმოყრილი, რათა იურისტს ან/და ადრესატს არ გამოეჩინოს რომელიმე მნიშვნელოვანი საკითხი შეფასებების შედარებისას;
- შესაძარებელი ნორმები აღინეროს ანალიზის ნაწილამდე.

მნიშვნელოვანია სტრუქტურის დაცვა: სამართლებრივი ნორმები აღინეროს სპეციალური მითითებით, თუ ქვემოთ განხილული რომელი გამოსავლისთვისაა ესა თუ ის ნორმა მნიშვნელოვანი. ასეთი მარტივი სტრუქტურა მისაღებია ორ სხვადასხვა იურისდიქციაში მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს შედარებისას. ერთ იურისდიქციაში მოქმედი ნორმების შედარებისას (ალტერნატიული გამოსავლის განხილვა), იურისტი აღწერს მათ, და შემდგომ თითოეული სამართლებრივი გამოსავლისათვის რელევანტური ნორმები მიეთითება.

მემორანდუმის იოლად წასაკითხად და აღსაქმელად გასათვალისწინებელია სამართლებრივი შეკითხვების დეტალური და ჩაშლილი ფორმით ჩამოყალიბება. თუ კონკრეტული სამართლებრივი შეფასებისათვის აუცილებელია, პასუხი გაეცეს სამართლებრივ შეკითხვას, რომელიც თავისთავად საჭიროებს/მოიცავს რამდენიმე ქვესაკითხზე პასუხს, შეკითხვა უნდა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ გასაგები იყოს ყველა ქვესაკითხი და მათი

ურთიერთმიმართება. მაგალითად, კუმულატიურია თუ ალტერნატიული ამ საკითხების ერთობლიობა შეკითხვაზე პასუხის მიზნებისათვის. სამართლებრივ შეკითხვებს მოსდევს მარეგულირებელი ნორმების აღწერა. ნორმის პირდაპირი ციტირება არ არის მიზანშეწონილი – რეკომენდებულია რელევანტური ნაწილის პერიფრაზი. საჭიროებისამებრ, შესაბამისი ნორმის შემადგენლობის დაშლა ადრესატისათვის გასაგებ ენაზე. მემორანდუმი სამეცნიერო სტატიად ან/და კონკრეტული ნორმის სამეცნიერო კომენტარად არ უნდა გადაიქცეს. მნიშვნელოვანია, რომ აღწერის ნაწილში მიეთითოს ნორმების რელევანტური განმარტებები ან/და სასამართლო პრაქტიკა, თუ ნორმის ინტერპრეტაციისათვის მათი მითითება საჭიროა.

#### 4.3.9. ამოცანის გადანყვეტის პირველი ალტერნატივა: განხილვა და ანალიზი

შეფასების მემორანდუმის ძირითადი ნაწილია დასმული ამოცანის ალტერნატიული გადანყვეტის სამართლებრივი შეფასება და ანალიზი. აუცილებელია თითოეული ალტერნატივის ცალ-ცალკე შეფასება: მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებთან სამართლებრივი ჩარჩოს მისადაგება (ე.წ. ანალიზი).

პრაქტიკაში რელევანტური ფაქტებისა და სამართლებრივი შეკითხვების ჩამონათვალი, ასევე კონკრეტული სამართლებრივი ნორმების აღწერა მზადაა, თუ მემორანდუმის ზედა ნაწილები სწორადაა შესრულებული. შესაბამისად, ანალიზის ნაწილში იურისტი აფასებს შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების ქრილში დასმულ ამოცანას და სამართლებრივ შეკითხვებს. შესაბამისად, ანალიზი მოიცავს ამოცანის ქრილში ყველა რელევანტური ფაქტის და სამართლებრივი ნორმის ურთიერთქმედების აღწერას.

ხშირია შემთხვევები, როდესაც შედარებით მემორანდუმში იურისტი ერთი სამართლებრივი გზის განხილვის/ანალიზისას იწყებს მის შედარებას მეორე შემოთავაზებულ გზასთან (ამ უკანასკნელის აღწერამდე). ეს დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებით მარტივ, ე.წ. ერთ შეკითხვიან მემორანდუმში. თუ საკითხი კომპლექსურია, უმჯობესია, თითოეული გზა შეფასდეს დამოუკიდებლად და შედარება განხილვის და ანალიზის შედეგად მიღწეულ დასკვნებზე დაყრდნობით გაკეთდეს (ე.წ. შედარების ნაწილში).

კონკრეტული ალტერნატივის განხილვისა და ანალიზის დროს აუცილებელია მსჯელობის ჯაჭვში თანმიმდევრობის დაცვა იმგვარად, რომ მკითხველისათვის გასაგები იყოს ანალიზის ყველა ნაბიჯი შესაბამის დასკვნამდე მისასვლელად.

თითოეული ალტერნატივის განხილვისას იურისტი გადმოსცემს როგორც მისი გამოყენების ძირითად არგუმენტებს და უპირატესობებს, ასევე მის ნაკლოვანებებს. ხშირად მემორანდუმში ანალიზი მხოლოდ დადებით არგუმენტებზე კონცენტრირდება, ხოლო ნაკლოვანებებს მხოლოდ შედარებისას განიხილავს. უმჯობესია, მსგავსი ტიპის მსჯელობა აისახოს თითოეული ალტერნატივის განხილვისა და ანალიზის ნაწილში, რაც გაამარტივებს შედარების ნაწილის მომზადებას.

თითოეული განხილული საკითხის შესაბამისი სათაურებით გამოყოფა ხელს უწყობს მემორანდუმში გადმოცემული მსჯელობის უკეთ აღქმას. სათაურის იერარქია უნდა მიყვებოდეს მსჯელობის ერთიან ჯაჭვს, ხოლო ფორმულირება შეესაბამებოდეს მასში ასახული აზრების შინაარსს. თითოეული ქვეთავი შეჯამებით იწყება, რომელიც მკითხველს უქმნის წარმოდგენას და მოლოდინებს მოცემულ ნაწილში/ქვეთავში განვითარებულ მსჯელობასთან დაკავშირებით.

#### 4.3.10. ამოცანის გადანყევის მეორე ალტერნატივა: განხილვა და ანალიზი

მემორანდუმის ეს ნაწილი პირველი ალტერნატივის ანალოგიურად მზადდება. რამოდენიმე ალტერნატივის განხილვისას არსებობს ე.წ. მრავალგზის გამეორების რისკი, რაც მემორანდუმის დაბალი ხარისხის მაჩვენებელია. მოსამზადებელ ნაწილებში რელევანტური ფაქტების დეტალური წარმოდგენის შედეგად, ალტერნატივების განხილვისას მითითებების გამოყენების გზით, მაქსიმალურად ნაკლებად გამეორდება. თუმცა არა იმის ხარჯზე, რომ კონკრეტული ალტერნატივის შინაარსის გასაგებად მკითხველს/ადრესატს მოუწიოს ყველა ალტერნატივის ნაკითხვა.

#### 4.3.11. შედარება და დასკვნები

შედარებითი მემორანდუმისათვის შედარების ნაწილი პრინციპულად მნიშვნელოვანია. ვინაიდან ამ ტიპის მემორანდუმში ალტერნატივებს შორის არჩევანს ემსახურება, შედარების ნაწილი არის საკვანძო ნაწილი.

შედარების ნაწილში ერთმანეთს დარდება განხილული ალტერნატივების თითოეული არგუმენტი და ნაკლოვანება. სიმარტივისთვის შედარების ნაწილი შესაძლებელია ცხრილის სახით წარმოჩინდეს. თუ დასმული ამოცანა ამის საშუალებას იძლევა, იურისტი აყალიბებს ობიექტური კრიტერიუმების სიას, რომელთა საფუძველზეც ხდება ალტერნატივების ურთიერთშედარება.

შედარების ნაწილი უმჯობესია სტრუქტურირდეს ისეთი ფორმით, რომ საჭიროების შემთხვევაში, კლიენტმა მხოლოდ შედარების ნაწილზე დაყრდნობით მოახერხოს ამოცანასთან განხილული ალტერნატივების მიმართების დადგენა. სწორი პრაქტიკაა, როდესაც შედარების ნაწილში იურისტი მხოლოდ განხილვა/ანალიზის დასკვნებზე აპელირებს და სიცხადისათვის მათი მოკლედ გადმოტანის ხარჯზე ადარებს ერთმანეთს შესაბამისი ალტერნატივების არგუმენტებსა და ნაკლოვანებებს.

იურისტმა არგუმენტები და ნაკლოვანებები ობიექტურად უნდა შეაფასოს და შეადაროს ერთმანეთს. ოპტიმისტური ან პესიმისტური შედარება, ან სუბიექტური დამოკიდებულება კონკრეტული ალტერნატივის მიმართ დამაზიანებელია მემორანდუმის ადრესატისათვის.

შედარების ნაწილი ცხადად უნდა ასახავდეს როგორც თითოეული ალტერნატივის დადებით მხარეს, ასევე ამ ალტერნატივასთან დაკავშირებულ რისკებს (საჭიროებისამებრ, იურისტმა ერთმანეთს უნდა შეადაროს სხვადასხვა ალტერნატივის რისკები). რისკების შეფასებისას იურისტი ითვალისწინებს ადრესატის ამოცანებს და მოტივაციას მემორანდუმთან დაკავშირებით.

ალტერნატივების შედარება უნდა სრულდებოდეს შესაბამისი დასკვნით, რომელიც აპელირებს ამოცანასთან მიმართებით კონკრეტულ საკითხში რომელი ალტერნატივა უფრო უპრიანია. შედარება ჯამდება ერთიანი დასკვნით, იგი ერთობლიობაში განიხილავს ყველა კრიტერიუმს, რომლის მიხედვითაც მოხდა შეფასება – აჯამებს ქვედასკვნებს იმგვარად, რომ კლიენტისათვის გასაგები იყოს როგორც თითოეული ალტერნატივის დადებითი მხარე, ასევე მასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები ან/და რისკები, რომელთა მატერიალიზებაც მოსალოდნელია შესაბამისი ალტერნატივის ამორჩევისას.

### 4.3.12. რეკომენდაციები

შედარებითი მემორანდუმი უნდა სრულდებოდეს რეკომენდაციების ნაწილით: ამოცანასთან მიმართებით იურისტის შეხედულებით ყველაზე უპრიანი გადანყვეტა და ამასთან დაკავშირებით ადრესატის მიერ განსახორციელებელი შემდგომი ნაბიჯები. მემორანდუმის ადრესატის საჭიროების და ამოცანის მიხედვით, შესაძლებელია, რეკომენდაციების ნაწილი იყოს დეტალური ან პირიქით, მოკლე – მხოლოდ კონკრეტულ საკითხზე პოზიციის ამსახველი.

### 4.3.13. ეფექტური შედარების მემორანდუმის მაგალითი

#### მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

თარიღი 1 მაისი 2016 წელი

ადრესატი “A”

ავტორი “B”

საგანი სხვადასხვა იურისდიქციაში დაფუძნებული კომპანიების მიერ საქართველოში ინვესტიციის განხორციელების უპირატესობები და დაცვის მექანიზმები

თავსართში მოცემულია მემორანდუმის თარიღი, ავტორი, ადრესატი და საგანი. თავსართი საკმარისად მკაფიოდ განსაზღვრავს მემორანდუმის საგანს.

#### 1. შესავალი

- 1.1 წინამდებარე მემორანდუმი („**მემორანდუმი**“) მომზადებულია “B”-ის მიერ („**ჩვენ**“ ან “B”) “A”-სთვის (“**A**“ ან „**ინვესტორი**“), რომლის სამართლებრივ მრჩეველსაც წარმოვადგენდით საქართველოში ენერჯეტიკული პროექტის შექმნასთან დაკავშირებით („**ქართული პროექტი**“).
- 1.2 როგორც ჩვენ ვიცით, B განიხილავს სხვადასხვა კორპორატიულ სტრუქტურას იმ მიზნით, რომ შემოვიდეს საქართველოში ქართული პროექტის ფარგლებში. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა რამდენიმე საერთაშორისო რეჟიმისა და იურისდიქციის განხილვა ქართული პერსპექტივიდან ინვესტიციების დაცვის მექანიზმების კონტექსტში. ჩვენ ასევე ვიცით, რომ A აპირებს, ქართულ პროექტში მონაწილეობის მიზნით, განიხილოს ნიდერლანდების სამეფოს იურისდიქცია.

მიმოხილვა ამ მემორანდუმისათვის წარმოადგენს ერთგვარ შესავალს. ეს ნაწილი მოკლედ აღწერს, თუ ვინ და რომელ საკითხზე მოითხოვს რჩევას ვისგან და, ზოგადად, რა მიზნით მზადდება მემორანდუმი. შესავალი ნაწილი მოიცავს ადრესატის მიერ მემორანდუმის მოთხოვნის კონტექსტს და მემორანდუმის ავტორის მიერ მიღებული დავალების და ინსტრუქციების მოკლე აღწერას.



## 2. ანალიზის ფარგლები

2.1 ჩვენ მიერ განხორციელებული ანალიზის ფარგლები მოიცავს შემდეგ კითხვებზე პასუხს („ანალიზის ფარგლები“):

2.1.1 საქართველოში ინვესტიციის განმახორციელებელი იმ კომპანიის უპირატესობები და დაცვის მექანიზმები, რომელიც წარმოადგენს ინვესტიციების დაცვის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულების საგანს იმ კომპანიასთან შედარებით, რომელზეც ასეთი ხელშეკრულება არ ვრცელდება (მაგალითად, კომპანია, რომელიც რეგისტრირებულია სინგაპურში („სინგაპურული კომპანია“);

2.1.2 საქართველოში ინვესტიციის განმახორციელებელი ისეთი კომპანიის უპირატესობები და დაცვის მექანიზმები, რომელიც მიემართება ნიდერლანდურ კომპანიას და რომელიც ინვესტიციას ახორციელებს საქართველოსა და ნიდერლანდების სამეფოს შორის 1998 წლის 3 თებერვალს გაფორმებული ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის ხელშეკრულების ფარგლებში („ნიდერლანდური ხელშეკრულება“).

2.2 ჩვენ არ გამოვთქვამთ აზრს ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. წინამდებარე მემორანდუმი ეფუძნება და ეყრდნობა ამ მემორანდუმის გაფორმების თარიღისას ძალაში მყოფ ქართულ კანონმდებლობას.

2.3 ანალიზის ფარგლებში ჩვენ არ მიგვიღია რამე სახის დოკუმენტი. ყოველგვარი ეჭვის თავიდან არიდების მიზნით, ჩვენ არ გავცნობივართ რამე ხელშეკრულებას, შეთანხმებას, ინსტრუმენტს ან სხვა სახის დოკუმენტს, რომელიც გაფორმებულია A-ს მიერ ან რომელიც ეხება ქართულ პროექტს ან A-ს რომელიმე კორპორატიულ ან სხვა სახის ჩანაწერებს და არ განგვიხორციელებია სხვა სახის კვლევა, ან სხვა სახის გამოძიება, რომელიც, ამ მემორანდუმის მიზნებისთვის, უკავშირდება ქართულ პროექტს ან A-ს.

ამ მემორანდუმში, „ანალიზის ფარგლებში“ გადმოცემულია მემორანდუმის ამოცანა, რომელიც ზუსტად ასახავს როგორც ადრესატის ძირითად მოტივაციებსა და მიზნებს მემორანდუმის მიერ განხილულ საკითხთან დაკავშირებით, ასევე მემორანდუმის ავტორის მიერ მიღებული ინსტრუქციებისა და ჩატარებული კვლევის ფარგლებს.

- 2.4 იმისთვის, რომ თავი ავარიდოთ ზედმეტ განზოგადებას, გავამარტივოთ მითითებები და ლოგიკურად განვავითაროთ ანალიზი, ჯერ შევხებით ამ ანალიზის ფარგლებში დასმულ მეორე შეკითხვას.
- 2.5 შეკითხვების განხილვამდე ჩვენ წარმოგიდგენთ საქართველოს კანონმდებლობასა და, ზოგადად, საერთაშორისო საჯარო სამართალში არსებული ინვესტიციების დაცვის მექანიზმებს, რომელთა მიხედვითაც უნდა შევასდეს სხვადასხვა სცენარი.

ამ ნაწილში გადმოცემულია დაშვებები, რომლებიც (ა) ასახავს ე.წ. „ფაქტობრივი შეფასების საგნებს“ და შესაბამის დაშვებებს მათთან მიმართებით; (ბ) განსაზღვრავს იმ მოცემულობებს, რომლებზე დაყრდნობითაც მზადდება მემორანდუმი.

### **3. ინვესტიციების დაცვის მექანიზმების ზოგადი მიმოხილვა**

- 3.1 ზოგადად, არსებობს სამი სხვადასხვა გზა, რომლითაც შესაძლებელია დაცულ იქნეს ქართული პროექტი:
  - 3.1.1 საქართველოს ადგილობრივი კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს კონკრეტულად უცხოურ ინვესტიციებს;
  - 3.1.2 A-სა და საქართველოს ან საქართველოს ორგანოს შორის დადებული საინვესტიციო ხელშეკრულება;
  - 3.1.3 ორ სახელმწიფოს შორის არსებული ინვესტიციის დაცვის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულებები (“BIT”), რომელიც მოიცავს ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტიციის დაცვის კონკრეტულ საშუალებებს ინვესტორებისთვის.
- 3.2 ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მექანიზმი ხასიათდება გარკვეული შეზღუდვებით. შესაბამისად, A-მ უნდა სცადოს, მოახდინოს ამ წყაროების კომბინაცია, რათა მიაღწიოს დაცვის ოპტიმალურ დონეს. მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობა არ არის რეკომენდებული, რადგან კანონმდებლობა შესაძლებელია შეიცვალოს ან გაუქმდეს ინვესტიციის პოლიტიკური მხარდაჭერის კონტექსტის კვალდაკვალ, მთავრობის სრული დისკრეციით. დამატებით, მასპინძელი სახელმწიფოს სასამართლო სისტემა, როგორც წესი, ნაკლებ დაცვას სთავაზობს ინვესტორებს.

3.3 მიუხედავად იმისა, თუ რამდენად კარგად შესრულებულია ქართულ პროექტთან დაკავშირებული საინვესტიციო ხელშეკრულება (იმპლემენტაციის ხელშეკრულება), იგი, სავარაუდოდ, არ მოიცავს საკმარის დაცვას მთავრობის მხრიდან უარყოფითი ქმედებების განხორციელების შემთხვევაში.

3.4 BIT-ისა და მრავალმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებში (მაგალითად, ენერგეტიკის სანესდებო ხელშეკრულება (“ETC”)) მოცემული ზოგადი დაცვები, თავისი ხასიათით არის უფრო უსაფრთხო და მრავლისმომცველი, ვიდრე ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობები. ისინი ნაკლებად ექვემდებარება ცვლილებებს შიდა კანონმდებლობის საფუძველზე, რადგან მეტად არის დაცული პოლიტიკური რისკებისგან და არ აძლევს საშუალებას მასპინძელ სახელმწიფოს, ცალმხრივად შეცვალოს საინვესტიციო დაცვითი მექანიზმები.

ამ ნაწილში გადმოცემულია მემორანდუმის განსახილველი ძირითადი სამართლებრივი შეკითხვები და მათი აღწერა – თავდაპირველი ანალიზი. მნიშვნელოვანია, რომ ეს ნაწილი ცხადად აღწერს იმ ძირითად კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს აქვე გადმოცემული სტრუქტურირების ოფციების შეფასება სამართლებრივი/ფაქტობრივი კუთხით.

3.5 გარდა ამისა, ინვესტორი BIT-ის ძალით უფლებამოსილია, წარადგინოს სარჩელი მასპინძელი სახელმწიფოს წინააღმდეგ იმის შესახებ, რომ მასპინძელმა სახელმწიფომ ვერ შეძლო მისთვის საინვესტიციო დაცვითი მექანიზმების გარანტირება. ინვესტიციის დაცვის მექანიზმების ზუსტი მასშტაბის შეფასება დამოკიდებულია შესაბამისი ხელშეკრულების ზუსტ ტექსტზე.

3.6 ჩვენ გვთხოვეს, რომ ანალიზი შემოვსაზღვროთ ნიდერლანდური ხელშეკრულებით, თუმცა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს აქვს მსგავსი უპირატესი საინვესტიციო დაცვის მექანიზმები სხვა სახელმწიფოებთან გაფორმებული BIT-ების ქვეშაც, მაგალითად, ავსტრიასთან, საფრანგეთთან, ისრაელთან, ლუქსემბურგთან, დიდ ბრიტანეთთან.

3.7 ჩვენ, მემორანდუმის ფარგლებისთვის ზიანის მიუყენებლად, დამატებით ვამახვილეთ ყურადღებას, რომ A-მ, საკუთარი ინვესტიციის ქართულ პროექტში მონაწილეობისთვის ოპტიმალური კორპორატიული სტრუქტურის ძებნისას, უნდა გაითვალისწინოს გადასახადებთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, უნდა აირჩეს შესაფერისი და მოსახერხებელი ორმაგი დაბეგვრის რეჟიმი, რომელიც დააბალანსებს ინვესტიციების დაცვის ოპტიმალურ რეჟიმს. საქართველოს აქვს რამდენიმე უპირატესი პირობების მქონე ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება, რომელთაგან აღსანიშნავია ნიდერლანდებისა და ლუქსემბურგის ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავს უპირატესი ორმაგი დაბეგვრის რეჟიმს დივიდენდების განაწილებისთვის და ა.შ.

#### 4. საქართველოს საინვესტიციო კანონმდებლობა

4.1 საქართველოს საინვესტიციო კანონმდებლობის ჩარჩო მოიცავს რამდენიმე კანონს და მთავრობის დადგენილებას. კანონმდებლობის ქვაკუთხედი შექმნილია ბოლო ათწლეულში მიღებული 3 (სამი) კანონისგან: (i) საქართველოს 1996 წლის კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ; (ii) საქართველოს 2006 წლის კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ; და (iii) საქართველოს 2013 წლის კანონი კოლექტიური საინვესტიციო ვალდებულებების შესახებ (ერთობლივად „კანონები“).

4.2 **ინვესტორის განმარტება.** ინვესტიციას წარმოადგენს ყველა სახის ქონება (ფულადი სახსრები, ნიღები, აქციები ან სხვა სახის ფინანსური ქაღალდები, მოძრავი და უძრავი ქონება – მიწა, შენობები, სტრუქტურები, აღჭურვილობა და სხვა მატერიალური ღირებულებების მქონე ნივთები, იჯარის უფლებები მიწაზე და ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე უფლება, მათ შორის, კონცესიები) და ინტელექტუალური ღირებულების მქონე ნივთები ან უფლებები, რომლებიც ინვესტირებული ან გამოყენებულია პოტენციური საინვესტიციო მოგების მისაღებად საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული საქმიანობის ფარგლებში.

- 4.3 **ინვესტორის განმარტება.** უცხოელი ინვესტორი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი ან საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ინვესტირებას ახორციელებს საქართველოში. უცხოელ ინვესტორად მიიჩნევა: უცხო ქვეყნის მოქალაქე; ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც დროებით ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე; ან საქართველოს მოქალაქე, რომელსაც მუდმივი საცხოვრებელი აქვს საზღვარგარეთ; ან იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ. კომპანია, რომელიც შედგება უცხოური ინვესტიციისგან, არანაკლებ 25%-ისა (ოცდახუთი პროცენტი), მიიჩნევა იმავე უფლებების მქონედ, როგორც უცხოელი ინვესტორი.
- 4.4 **დაცვის სტანდარტები.** კანონები ითვალისწინებს საქართველოში განხორციელებული ყველა ინვესტიციისადმი ეროვნულ მოპყრობას (უცხოელი ინვესტორის უფლებები და გარანტიები არ უნდა იყოს ქართველი ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლებებსა და გარანტიებზე ნაკლები) („ემ“).
- 4.5 **მოგების რეპატრიაცია.** კანონები ითვალისწინებს ინვესტორის შეუზღუდავ უფლებას, რომ გადასახადებისა და საჭირო გადახდების განხორციელების შემდეგ, მოგება (შემოსავალი), რომელიც მან მიიღო ინვესტიციებისგან, გადაცვალოს საბაზრო კურსით საქართველოს საბანკო ინსტიტუტებში და გაიტანოს საქართველოს ფარგლებს გარეთ.
- 4.6 **ინვესტიციების ხელშეუხებლობა.** კანონების შესაბამისად, ინვესტიციის რეკვიზირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს პირდაპირ გათვალისწინებულია კანონით, სასამართლოს გადანყვეტილების საფუძველზე, ან ორგანული კანონით დადგენილ შემთხვევებში საგანგებო მდგომარეობის არსებობის შემთხვევაში და მხოლოდ შესაფერისი კომპენსაციის სანაცვლოდ. კომპენსაცია, რომელიც მიეცემა ინვესტორს, უნდა იყოს შესაბამისი რეკვიზირებული ინვესტიციის რეალური ღირებულებისა იმ მომენტში, როდესაც განხორციელდა ასეთი რეკვიზირება. კომპენსაცია გადახდილ უნდა იქნეს დაყოვნების გარეშე და უნდა მოიცავდეს იმ ზიანს, რომელიც ინვესტორს მიაღდა რეკვიზირების მომენტიდან კომპენსაციის გადახდის მომენტამდე.

**4.7 დავების მოგვარება.** კანონების შესაბამისად, უცხოელ ინვესტორსა და საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიას შორის დავა ექვემდებარება საქართველოს სასამართლოებს ან საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ წესებსა და პირობებს. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს საინვესტიციო ხელშეკრულება, ყველა დავა ექსკლუზიურად ექვემდებარება საქართველოს სასამართლოს იურისდიქციას. ნებისმიერი საბოლოო გადაწყვეტილება, რომელსაც მიიღებს საქართველოს სასამართლო ან იურისდიქციის მქონე სხვა ორგანო საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დავასთან დაკავშირებით, ცხადდება საბოლოოდ და არ ექვემდებარება გადახედვას ან გასაჩივრებას. მათი დაცვა გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ.

**4.8 დასკვნითი მოსაზრებები.** ქართული კანონმდებლობა, როგორც ინვესტიციის დაცვის მექანიზმი, არის საკმაოდ ხელსაყრელი. თუმცა მას არ ახასიათებს გარკვეული გარანტიები (მაგალითად, სამართლიანი მოპყრობის სტანდარტი („სამართლიანი მოპყრობის სტანდარტი“),<sup>11</sup> სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტი, საერთაშორისო დავის მოგვარების გარანტიები და ა.შ.). ეს კიდევ უფრო ნათელი ხდება მაშინ, როდესაც ამჟამად ძალაში მყოფ კანონებს მათ თავდაპირველ ვერსიას ვადარებთ, რომელიც ინიცირებულ იქნა 1996 და 2006 წლებში. მაგალითად, საქართველოს 1996 წლის კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ მოიცავდა სპეციალურ გარანტიებს იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა კანონმდებლობის ცვლილება და ასევე მოიცავდა სავალდებულო ხასიათის საერთაშორისო არბიტრაჟს ინვესტორებისთვის, რომელიც შემდგომში კანონიდან ამოღებულ იქნა. გარდა ამისა, საქართველოს სასამართლო სისტემა ამჟამად მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული დავების დეტალებზე.

ეს ნაწილი წარმოადგენს პირველი ოფიცის ანალიზს. პირველი ოფიცის ანალიზისას, მემორანდუმის ამოცანის ხასიათიდან გამომდინარე, ე.წ. IRAC-ის მეთოდის ნაცვლად, გამოყენებულია აღწერილობითი მეთოდი, რომელიც ბევრად უკეთ პასუხობს ამოცანას. დამატებით, პირველი ოფიცის ანალიზი მოიცავს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეების შეფასებას და სრულდება შესაბამისი დასკვნით.

11 FET, ზოგადად წარმოადგენს ფართო სტანდარტს, რომელიც, როგორც წესი, გამოიყენებოდა იმ მიზნით, რომ დაცული ყოფილიყო ინვესტორის პროცედურული სამართლიანობის უფლებები, ჯეროვანი საპროცესო უფლებები და გამჭვირვალობა, ინვესტორი დაცული ყოფილიყო იძულებისა და ძალადობისგან. FET ასევე გამოიყენება მასპინძელი ქვეყნის ქმედებების საპირისპიროდ, როდესაც ის მოქმედებს ინვესტორის ლეგიტიმური მოლოდინების საწინააღმდეგოდ და ართმევს მართლმსაჯულებაზე უფლებას. სამართლიანი და თანასწორი მოპყრობის დაპირება ხანდახან ასევე მოიცავს დაცვას თვითნებური და დისკრიმინაციული მოპყრობისგან, თუმცა ეს უკანასკნელი შესაძლებელია დაცული იყოს FET-ისგან დამოუკიდებლად.

**5. უპირატესობები და დაცვა რომელსაც ნიდერლანდური ხელშეკრულება სთავაზობს საქართველოში ინვესტიციის განმახორციელებელ ნიდერლანდურ კომპანიას**

5.1 ნიდერლანდური ხელშეკრულება მოიცავს ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილ ინვესტიციის დაცვის მექანიზმებს იმათ შორის, რომელთა მხარეც საქართველოა. შესაბამისად, ნიდერლანდები წარმოადგენს რეკომენდებულ იურისდიქციას იმ კორპორატიული სტრუქტურის შესაქმნელად, რომლის მეშვეობითაც უნდა განხორციელდეს ინვესტიცია საქართველოში („**ნიდერლანდური კომპანია**“). პრაქტიკაში, ნიდერლანდები წარმოადგენს იურისდიქციას, რომლიდანაც ყველაზე მეტი ინვესტიცია ხორციელდება საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში. ზოგიერთი და მთავარი უპირატესობები, რომლებიც ახასიათებს ნიდერლანდურ ხელშეკრულებას მოცემულია ქვემოთ.

5.2 **ინვესტიციის/ინვესტორის განმარტება.** ნიდერლანდური ხელშეკრულების ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა არის ის, რომ მას აქვს საკმაოდ ვრცელი ფარგლები და მოიცავს ყველა სახის ქონებას, რომელიც ეკუთვნის ნიდერლანდელ ფიზიკურ პირს ან იურიდიულ პირს, ისევე, როგორც ქონებას, რომელიც ეკუთვნის იურიდიულ პირებს და რომელიც ნიდერლანდური კანონმდებლობის შესაბამისად არ კვალიფიცირდება, როგორც ქონება, თუმცა კონტროლდება, პირდაპირ ან ირიბად, ნიდერლანდელი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ. ნიდერლანდური ხელშეკრულება მხარეებს სთავაზობს იურიდიულ პირებს, რომლებიც დაფუძნებულნი არიან ნიდერლანდური კანონმდებლობის შესაბამისად და გამოხატულად არ მოითხოვს ე.წ. „შინაარსის“ მოთხოვნას. თუმცა საარბიტრაჟო ტრიბუნალებმა, ამის მიუხედავად, მაინც შეიძლება მხედველობაში მიიღონ „შინაარსის“ მოთხოვნა.

ეს ნაწილი წარმოადგენს მეორე ოფციის ანალიზს. ისევე, როგორც პირველი ოფციის ანალიზისას, მემორანდუმის ამოცანის ხასიათიდან გამომდინარე, ე.წ. IRAC-ის მეთოდის ნაცვლად, გამოყენებულია აღწერილობითი მეთოდი. ანალიზი მოიცავს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეების შეფასებას და სრულდება შესაბამისი დასკვნით.

5.3 **დაცვის სტანდარდები.** ნიდერლანდური ხელშეკრულება მოიცავს ეროვნული მოპყრობის („ემ“) და უპირატესი მოპყრობის („უპირატესი მოპყრობა“) სტანდარტებს, რომლებიც ვრცელდება საქართველოში განხორციელებული ნიდერლანდური ინვესტიციის თითოეულ შემთხვევაში.<sup>12</sup> ეს არის ყველაზე უკეთესი სტანდარტი, რომელსაც BIT შეიძლება მოიცავდეს დაცვითი სტანდარტების კუთხით. ის იძლევა გარანტიას, რომ ნიდერლანდური კომპანია ისარგებლებს იმ საუკეთესო ნებსებითა და პირობებით, რომლებიც შეიძლება საქართველოს მიერ გავრცელდეს ინვესტიციაზე (იქნება ეს ეროვნული თუ უცხოური).<sup>13</sup>

5.4 **FET** ნიდერლანდური ხელშეკრულება მოიცავს შემდეგი სახის FET სტანდარტს: საქართველო ვალდებულია, არაგონივრული ან დისკრიმინაციული ზომებით, ხელი არ შეუშალოს ხელშეკრულების ქვეშ განხორციელებული ინვესტიციების განხორციელებას, მენეჯმენტს, მენარჩუნებას, გამოყენებას, სარგებლობას ან მისგან ნაყოფის მიღებას. ამ სტანდარტის ფართო ხასიათი და „არაგონივრული ან არადისკრიმინაციული ზომების“ შეზღუდვა შეიძლება მიჩნეულ იქნეს ნიდერლანდური ხელშეკრულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან უპირატესობად, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ქართული კანონმდებლობა საერთოდ არ ითვალისწინებს მსგავსი სახის სტანდარტს.

12 უპირატესი მოპყრობის მუხლი ავალდებულებს თითოეულ ხელშეკრულ სახელმწიფოს, რომ მეორე მხარეს მიანიჭოს იგივე პირობები და მოპყრობა, როგორც იმ მომენტში ან შემდგომში შესაძლებელია მიიჭებულ იქნეს იმ სახელმწიფოსთვის, რომელიც მიიღებს უპირატესი მოპყრობის პირობებს ზემოთ მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით. ემ-ის მუხლი ადგენს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი სახელმწიფო გარკვეულ უფლებებსა და პრივილეგიებს ანიჭებს საკუთარ მოქალაქეებს/კომპანიებს, ის ვალდებულია, რომ ასეთი ექვივალენტური უფლებები და პრივილეგიები მიანიჭოს ინვესტორებს, რომლებიც დაცული არიან შესაბამისი BIT-ით. ზოგადად, ეს მუხლი გამოიყენება იმის უზრუნველსაყოფად, რომ სახელმწიფოები არ ჩაებან პროტექციონისტულ პოლიტიკაში და არ მოახდინონ უცხოური ინვესტიციების დისკრიმინაცია.

13 თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თუ საქართველომ განსაკუთრებული უპირატესობები მიანიჭა რომელიმე მესამე ქვეყნის მოქალაქეებს რამე სახის საბაჟო გაერთიანების, ეკონომიკური გაერთიანების, ფულადი გაერთიანების ან მსგავსი ინსტიტუტების დამფუძნებელი ხელშეკრულებების, ან რაიმე სახის შუალედური ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლებიც უკავშირდება ასეთ გაერთიანებებს ან ინსტიტუტებს, საქართველო არ არის ვალდებულია მსგავსი სახის უპირატესობები მიანიჭოს ნიდერლანდელ მოქალაქეებს.



- 5.5 **სრული ფიზიკური უსაფრთხოება და დაცვა.** სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტი არის ერთ-ერთი ყველაზე ფართო ვალდებულება, რომელიც შესაძლებელია, რომ სახელმწიფომ იკისროს ინვესტიციებთან დაკავშირებით. ტრიბუნალები ამ ვალდებულებას კითხულობენ პირდაპირ და ამ ვალდებულებას განმარტავენ ისე, რომ იგი აკისრებს მოვალეობას თითოეულ სახელმწიფოს, არ დაუშვას ინვესტიციისთვის ზიანის მიყენება რაიმე სახის სამთავრობო ან არასამთავრობო აქტორების მიერ. საინვესტიციო ტრიბუნალების საქმეების ანალიზი, ამ ეტაპზე, არ ტოვებს ეჭვს, რომ ეს სტანდარტი უკავშირდება ინვესტორისა და მისი ქონების ფიზიკურ დაცვას.<sup>14</sup> ბოლო დროს ტრიბუნალები ამ სტანდარტს ავრცელებენ ყველა სახის დაცვაზე, მათ შორის, სამართლებრივ და ფიზიკურ უსაფრთხოებაზე.<sup>15</sup> ასეთი სტანდარტის BIT-ში ასახვა ნიშნავს დაცვის კიდე ერთ ფენას და სახელმწიფოს პირდაპირ პასუხისმგებლობას, რომ დაცვას ინვესტიციები საფრთხისაგან.
- 5.6 **სახსრების თავისუფალი ტრანსფერი.** ნიდერლანდური ხელშეკრულება გარანტიას აძლევს ინვესტორს, რომ მას შეეძლება, გადაიტანოს ინვესტიციასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები საქართველოდან საზღვარგარეთ, საკუთარი დისკრეციის ფარგლებში და არაგონივრული შეფერხების გარეშე.

14 (*Rumeli v Kazakhstan*, გადანყვეტილება, 29 ივლისი 2008, პარაფრაფი 668; *Saluka Investments BV (The Netherlands) v The Czech Republic*, ნაწილობრივი გადანყვეტილება, 17 მარტი 2006, პარაგრაფები 483, 484; *Eastern Sugar v Czech Republic*, ნაწილობრივი გადანყვეტილება, 27 მარტი 2007, პარაგრაფი 203).

15 მაგალითად, საქმეში *Biwater v Tanzania* (2008), ტრიბუნალმა განაცხადა, რომ სრული დაცვა და უსაფრთხოება „გულისხმობს სახელმწიფოს სტაბილურობის გარანტიას უსაფრთხო გარემოში, ფიზიკური, კომერციული და სამართლებრივი მიმართულებითი“ (პარაგრაფი 729).

**5.7 კომპენსაციის გარეშე ექსპროპრიაციისგან დაცვა.**

ნიდერლანდური ხელშეკრულება მოითხოვს, რომ განხორციელდეს ინვესტორისთვის კომპენსაციის გაცემა იმ შემთხვევაში, თუკი მას პირდაპირ ან არაპირდაპირ ჩამოერთმევა ქონება სახელმწიფოს მიერ. ხელშეკრულების ფართო ენა და, განსაკუთრებით, ქონების ირბად ჩამორთმევაზე მითითება აშკარად წარმოადგენს ინვესტორისთვის ხელსაყრელ ჩანაწერს და მას სთავაზობს უფრო ფართო და ძლიერ დაცვით მექანიზმს. დამატებითი დაცვის დონე ვრცელდება კომპენსაციის გადახდის წესით: (i) კომპენსაცია უნდა წარმოადგენდეს ინვესტიციის რეალურ ღირებულებას; (ii) უნდა მოიცავდეს გადახდის დღემდე დარიცხულ სარგებელს კომერციული განაკვეთით; და (iii) იმისთვის, რომ იყოს ინვესტორისთვის ეფექტური, გადახდილ უნდა იქნეს, შეფერხების გარეშე, იმ ქვეყანაში, რომელშიც მოითხოვს ინვესტორი და ნიდერლანდური კურსით ან ნებისმიერი სხვა, თავისუფლად გაცვლადი კურსით, რომელსაც დაეთანხმება ინვესტორი.

**5.8 შეიარაღებული კონფლიქტი, რევოლუცია, ეროვნული საგანგებო მდგომარეობა, აჯანყება, ბუნტი ან ამბოხი.**

ნიდერლანდური ხელშეკრულება არ ათავისუფლებს საქართველოს ინვესტორისთვის კომპენსირების ვალდებულებისგან შეიარაღებული კონფლიქტის, რევოლუციის, საგანგებო მდგომარეობის, აჯანყების, ბუნტის ან ამბოხის შემთხვევაში. ის ითვალისწინებს საქართველოს ვალდებულებას, რომ გამოიყენოს ემ-სა და უპირატეს მოპყრობას შორის უფრო უპირატესი მოპყრობა რესტიტუციის, ანაზღაურების, კომპენსირების ან სხვა სახის მორიგების მიმართ.

5.9 **დავის მოგვარების მექანიზმი და „ქოლგა“ მუხლი.** ნიდერლანდური ხელშეკრულება მოიცავს არბიტრაჟს დავის გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრში (“**ICSID**”) წინარე მოლაპარაკებების გამართვის ვალდებულების გარეშე იმ დავებზე, რომელიც წარმოიშობა ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის. მნიშვნელოვანია, რომ ნიდერლანდურ ხელშეკრულებაში მოცემული დავების გადაწყვეტის მუხლი არ შეიცავს არჩევანის საშუალებას და გამოხატულად არ მოითხოვს ეროვნული სამართლებრივი საშუალებების ამონურვის ვალდებულებას იმ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომლებიც შესაძლებელია ინვესტორს ჰქონდეს ხელშეკრულების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, საარბიტრაჟო ტრიბუნალებს აქვთ ფართო დისკრეცია, გამართონ საარბიტრაჟო პროცესები. დამატებით, ხელშეკრულება მოიცავს ფართო „ქოლგა“ მუხლს, რომელიც საქართველოს აკისრებს ვალდებულებას, დაიცვას ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც მან იკისრა ნიდერლანდელი მოქალაქეების მიერ განხორციელებულ ინვესტიციებზე (**„ქოლგა მუხლი“**). ხელშეკრულებაში ქოლგა მუხლის არსებობა არის მნიშვნელოვანი უპირატესობა A-სთვის, რადგან იგი საშუალებას იძლევა არაერთი არგუმენტის მოფიქრებისა იმასთან დაკავშირებით, რომ საინვესტიციო ხელშეკრულების დარღვევით, დაირღვა ხელშეკრულების (BIT) ვალდებულებები. ნიდერლანდური ხელშეკრულების დავების გადაწყვეტის მუხლი არის კარგი იმ ინვესტორებისთვის, რომელთაც, შესაძლებელია, საინვესტიციო ხელშეკრულება გაფორმებული აქვთ არახელსაყრელი დავების მოგვარების მუხლებით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სახელშეკრულებო მოთხოვნების აწევა BIT-ის დონემდე წარმოადგენს ტრიბუნალის გადასაწყვეტ საკითხს, თითოეულ ინდივიდუალურ საქმეში.<sup>16</sup> საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ ნიდერლანდური ხელშეკრულება ფარავს დაცვის არაერთ არეალს და წარმოადგენს შედარებით მარტივად აღსრულებად დოკუმენტს, რაც განპირობებულია დავების მოგვარების მექანიზმითა და ქოლგა მუხლის არსებობით.

<sup>16</sup> ტრიბუნალებმა მოახდინეს სახელშეკრულებო დარღვევების გადათარგმნა საინვესტიციო ხელშეკრულებების დარღვევაში რამდენიმე საქმეში (*SGS v Philippines (ICSID საქმე No Arb/02/6*, ტრიბუნალის გადაწყვეტილება იურისდიქციის აცილებასთან დაკავშირებით, 29 იანვარი 2004) მაგრამ არა სხვა საქმეებში (*SGS v Pakistan (ICSID საქმე No ARB/01/13*, ტრიბუნალის გადაწყვეტილება იურისდიქციის აცილებასთან დაკავშირებით, 6 აგვისტო 2003).

**6. იმ კომპანიის მიერ საქართველოში განხორციელებული ინვესტიციის უპირატესობები და დაცვის მექანიზმები, რომელიც ექვემდებარება BIT-ს, იმ კომპანიასთან შედარებით, რომელზეც არ ვრცელდება BIT-ის დაცვა**

6.1 რადგან განვიხილეთ ინვესტიციების დაცვის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობისა და ნიდერლანდური BIT-ის საფუძველზე, ჩვენ მივიჩნევთ, რომ:

ამ ნაწილში შედარებულია განხილული ოფციები. ვინაიდან, ამ ტიპის მემორანდუმის ამოცანა სწორედ რამდენიმე ალტერნატივას შორის არჩევანს ემსახურება, შედარების ნაწილი არის კვანძის გახსნა დასმული ამოცანის პასუხად.

6.1.1 სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებები ყოველთვის უფრო ძლიერია, ვიდრე შიდა ვალდებულებები. ეს კიდევ უფრო მტკიცდება საერთაშორისო საჯარო სამართლის ზოგადი პრინციპის მიხედვით, რომელიც უარყოფს სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ვალდებულების დარღვევის ნებისმიერ მიზეზს, რომელიც უკავშირდება სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობას ან ვალდებულებებს. თუკი ამას გადმოვიტანთ ჩვენ ხელთ არსებულ სცენარში, ეს ნიშნავს, რომ (i) BIT ვალდებულებები ძალაში იქნება მიუხედავად საქართველოს კანონმდებლობის ცვლილებებისა; (ii) საქართველო არ იქნება უფლებამოსილი, უარი თქვას BIT-ით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე იმ მიზეზით, რომ განხორციელდა შიდა კანონმდებლობის ცვლილება ან რომ ამას ითხოვს ეროვნული კანონმდებლობა.

6.1.2 დაცვის მექანიზმები, რომლებიც მოცემულია BIT-ში ფარავს პოლიტიკურ რისკებს, რომლებიც უკავშირდება მთავრობის, პოლიტიკის, მიმართულებების და ა.შ. ცვლილებას. ისინი ძალაში რჩება და ვრცელდება ინვესტიციებზე მიუხედავად ეროვნული კანონმდებლობის ცვლილებისა, რომელიც, მეორე მხრივ, შესაძლებელია შეიცვალოს არსებული მთავრობის სრული დისკრეციით.

- 6.1.3 რომ დავაკონკრეტოთ, ნიდერლანდური კომპანიის ინვესტიციები უკეთ იქნება დაცული, მაგალითად, სინგაპურულ კომპანიასთან შედარებით, რადგან მათზე გავრცელდება საუკეთესო მოპყრობის სტანდარტი. ქართული კანონმდებლობა მოიცავს მხოლოდ ემ-ს და ისეთი ქვეყანა, როგორცაა საქართველო, რომლისთვისაც უცხოური ინვესტიციები არის პრიორიტეტული, გასაკვირი არაა, რომ უკეთეს მოპყრობას შესთავაზებს უცხოურ ინვესტიციებს ინდივიდუალური საინვესტიციო ხელშეკრულებების ან ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე. რადგან არსებობს სახელშეკრულებო გარანტია, რომ ინვესტიციის მიმართ გამოიყენება ემ-სა და უპირატეს მოპყრობას შორის უფრო უკეთესი მოპყრობის სტანდარტი, ნიდერლანდური კომპანია არის ბევრად უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში, ვიდრე, მაგალითად, სინგაპურული კომპანია.
- 6.1.4 სინგაპურულ კომპანიას არ ექნება ისეთივე ფართო დაცვის გარანტიები, რომელსაც სთავაზობს FET და სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტები, რომლებიც განმარტებულია ზემოთ 5.4 და 5.5 პარაგრაფებში, რამდენადაც ასეთი სტანდარტები არ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობაში.
- 6.1.5 კომპენსაციის გარეშე ექსპროპრიაციისგან დაცვა უფრო ძლიერი და ფართოა ნიდერლანდური ხელშეკრულების ქვეშ, ვიდრე საქართველოს კანონმდებლობისა. წესები, რომლებიც უკავშირდება კომპენსაციის გადახდას, განსაკუთრებით, ის კონკრეტული მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდება კომპენსაციის ვალუტას, რომელიც უნდა იყოს ან ნიდერლანდური ან ნებისმიერი თავისუფლად გაცვლადი ვალუტა, რომელსაც დაეთანხმება ინვესტორი, როგორც ეს აღწერილია 5.7. პარაგრაფში.

- 6.1.6 სინგაპურული კომპანიისგან განსხვავებით, ნიდერლანდურ კომპანიას აქვს არჩევანი, გამოიყენოს ICSID არბიტრაჟი ხელშეკრულების საფუძველზე, მაშინ, როდესაც საქართველოს კანონმდებლობა, კონკრეტული სახელშეკრულებო ჩანაწერის არარსებობის პირობებში, ითვალისწინებს მხოლოდ ქართული სასამართლოების იურისდიქციას. დამატებით, ნიდერლანდურ კომპანიას აქვს შესაძლებლობა, სახელშეკრულებო მოთხოვნები გადაზარდოს BIT-ის დარღვევაში შესაბამისი ქოლგა მუხლის ქვეშ.
- 6.1.7 დაცვის მექანიზმები ნიდერლანდური ხელშეკრულების ქვეშ შეიარაღებული კონფლიქტის, რევილუციის, საგანგებო მდგომარეობის, ჯანყის, ამბოხისა და ბუნტის შემთხვევაში არის უფრო ხელსაყრელი, ვიდრე დაცვის ის მექანიზმები, რომლებსაც ასეთ ვითარებაში ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა.

## 7. დასკვნითი დებულებები

- 7.1 მოცემული ანალიზის კვალდაკვალ, ჩვენი პოზიციაა, რომ ნიდერლანდური კომპანიის მდგომარეობა, რომელსაც იცავს ნიდერლანდური BIT, იმ იურისდიქციაში დაფუძნებულ კომპანიასთან შედარებით, რომელსაც არ აქვს გაფორმებული BIT საქართველოსთან, განუზომლად ხელსაყრელია.
- 7.2 მნიშვნელოვანია, A-მ მოახდინოს ქართულ პროექტში საკუთარი ინვესტიციის სტრუქტურირება იმგვარად, რომ მან მაქსიმალური სარგებელი და საუკეთესო საინვესტიციო დაცვები მიიღოს. მივიჩნევთ, რომ მიუხედავად იმ კორპორატიული სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად არჩეული იურისდიქციისა, რომლის მეშვეობითაც განხორციელდება ინვესტიციის მიმართვა ქართული პროექტისთვის, A-მ ყურადღებით უნდა განიხილოს ინვესტიციის დაცვის ის მექანიზმები, რომლებიც სურს, შეიტანოს საქართველოს/საქართველოს სახელმწიფო ორგანოებთან გასაფორმებელ საერთაშორისო ხელშეკრულებაში.
- 7.3 საბოლოოდ, ვასკვნით, რომ A-სთვის უფრო რეკომენდებულია, ქართულ პროექტში საკუთარი ინვესტიცია ნიდერლანდური კომპანიის მეშვეობით მიმართოს, ვიდრე იმ იურისდიქციაში დაფუძნებული კომპანიის მეშვეობით, რომელსაც არ აქვს ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება საქართველოსთან.

ამ ნაწილში გადმოცემულია დასკვნები ამოცანასთან მიმართებით, ალტერნატივების განხილვისა და მათი შედარების შემდგომ. ასევე, ამ დასკვნის საფუძველზე, იურისტის შეხედულებით, ყველაზე უპრიანი გადაწყვეტა დასმული ამოცანისა და ადრესატის მიერ მასთან დაკავშირებით განსახორციელებელი შემდგომი ნაბიჯები.

4.3.14. არაეფექტური სტრუქტურირებისა ან/და შედარების მემორანდუმის მაგალითი

**მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი**

თარიღი 1 მაისი 2016 წელი

ადრესატი "A"

ავტორი "B"

საგანი უცხო ქვეყნის სამართლის, როგორც სახელშეკრულებო სამართლის, არჩევა ქართული კანონმდებლობის მიხედვით

მემორანდუმის თავსართი სწორადაა მომზადებული, მოიცავს თარიღს, მემორანდუმის მომზადებელ პირს, ადრესატს და საგანს. თუმცა, საგნის განსაზღვრა საკმაოდ ფართოა და არ გვაძლევს საშუალებას, მივხედეთ, რა ტიპის მემორანდუმთან გვაქვს საქმე.

**1. შესავალი**

- 1.1. წინამდებარე მემორანდუმი („მემორანდუმი“) მომზადებულია „B“-ის მიერ („ჩვენ“ ან „B“) მიერ და მიემართება „A“-ს („A“ ან „ინვესტორი“), რომელსაც ჩვენ ვუნევთ სამართლებრივ დახმარებას საქართველოში ენერგოპროექტის პოტენციურ შექმნასთან დაკავშირებით („ქართული პროექტი“).
- 1.2. A განიხილავს საერთო ციკლის მქონე ტურბინის სიმძლავრის ელექტროსადგურის („პროექტი“ ან „ელექტროსადგური“) შექმნას საქართველოში, რომელიც ამჟამად წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანიების საკუთრებას. ელექტროსადგური უნდა იყოს გარანტირებული სიმძლავრის წყარო (როგორც ეს განმარტებულია ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ საქართველოს კანონში) საქართველოს ელექტროენერგეტიკის სისტემისთვის. შექმნის ერთ-ერთი პირობა არის შესრულების ხელშეკრულების („ხელშეკრულება“) გაფორმება საქართველოს მთავრობასა („მთავრობა“) და იმ კომპანიას შორის, რომელიც ამჟამად ავითარებს პროექტს („კომპანია“). ხელშეკრულების მიხედვით კომპანიასა და ინვესტორს უნდა ჰქონდეთ რამდენიმე სახის გარანტია, რომელიც დაკავშირებული თანხების გადახდას ითვალისწინებს. ჩვენ გვგონია, რომ კომერციული პერსპექტივიდან გამომდინარე, პროექტის ძირითადი დადებითი მახასიათებელი არის მისი სტატუსი, როგორც გარანტირებული სიმძლავრის წყარო.

1.3. და ბოლოს, ჩვენ გვესმის, რომ ინვესტორის მოთხოვნით ხელშეკრულების მარეგულირებელი სამართალი უნდა იყოს ინგლისური სამართალი და მთავრობა უარს უნდა აცხადებდეს სახელმწიფო იმუნიტეტზე ხელშეკრულების მიხედვით.

შესავალი მიმოიხილავს როგორც მემორანდუმის მომზადების კონტექსტს, ასევე ფაქტებსა და ანალიზის ფარგლებს. შესავლის მეორე და მესამე პარაგრაფიდან ცხადია, რომ იურისტმა, რომელმაც მოამზადა მემორანდუმი, საკმარისად არ გამოიკვლია დავალება და ნაცვლად იმისა, რომ დაეიდენტიფიცირებინა ოფციები, დავალებად მიიღო მხოლოდ ერთი ოფციის განხილვა. თუმცა, დავალების შინაარსი, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, იქნებოდა საუკეთესო მოქმედი სამართლის შერჩევა არსებულ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით. ნაცვლად ამისა, მემორანდუმის ანალიზის ფარგლები ფაქტად იღებს კლიენტის სურვილს, დასადები ხელშეკრულების მოქმედ სამართლად გამოიყენოს ინგლისური სამართალი – მაშინ, როცა მემორანდუმის სრულყოფილად მომზადებისათვის აუცილებელი იქნება შედარებითი ანალიზის გაკეთება, რეალურად, რამდენად ეფექტური შეიძლება იყოს ინგლისური სამართლის არჩევა, თუნდაც ქართულ სამართალთან შედარებით, არსებულ ფაქტობრივ კონტექსტში.



## 2. ანალიზის ფარგლები

- 2.1. ანალიზის ფარგლები შეზღუდულია შემდეგ ორ კითხვაზე პასუხის გაცემით („ფარგლები“):
- 2.1.1. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ინგლისური სამართლის, როგორც ხელშეკრულების მარეგულირებელი სამართლის გამოყენება;
  - 2.1.2. სხვა საკითხები, რომელთა გამოც ითხოვს A ინგლისური სამართლის, როგორც ხელშეკრულების მარეგულირებელი სამართლის, გამოყენებას;
  - 2.1.3. მთავრობის მიერ სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმის მნიშვნელობა.
- 2.2 ჩვენ არ გამოვთქვამთ არანაირ მოსაზრებას ფაქტებთან დაკავშირებით. წინამდებარე მემორანდუმი ეფუძნება მემორანდუმის შედგენის დღისთვის მოქმედ ქართულ კანონმდებლობას.

ანალიზის ფარგლები აგრძელებს მემორანდუმის შესავალში განვითარებულ საზს და ნაცვლად შედარებითი ანალიზისათვის შესაბამისი სამართლებრივი შეკითხვების ჩამოყალიბებისა, საკითხს უდგება „აღწერილობითი“ მემორანდუმის პრინციპით.

## 3. ხელშეკრულების მარეგულირებელ სამართლად ინგლისური სამართლის არჩევა

- 3.1. ჩვენ მიერ ხელშეკრულებისა და მისგან გამომდინარე ურთიერთობების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ქართული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს არაფერს, რაც აკრძალავს ან სხვაგვარად შეზღუდავს ინგლისური სამართლის გამოყენებას ხელშეკრულების მარეგულირებელ სამართლად.
- 3.2. ზოგადი პრინციპის თანახმად, ქართული კანონმდებლობა სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარეებს ანიჭებს ფართო დისკრეციას ხელშეკრულების მარეგულირებელი სამართლის არჩევასთან დაკავშირებით. ამ საკითხთან მიმართებით ძირითადი პრინციპები მოცემულია საქართველოს კანონში საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ („კანონი“).
- 3.3. კანონი შექმნილია თანამედროვე საერთაშორისო კომერციული ტრანზაქციების ძირითადი პრინციპების შესაბამისად და ადგენს, რომ ზოგადი პრინციპის სახით, მხარეები არიან თავისუფალნი, აირჩიონ და შეთანხმდნენ მათი შესაბამისი სახელშეკრულებო უფლებებისა და ვალდებულებების მარეგულირებელ სამართალზე, რაც მოიცავს ხელშეკრულების განმარტებას, შესრულებასა და შეწყვეტას, ასევე, ბათილობისა და ვალდებულებების დარღვევის შედეგებს, მათ შორის, წინასახელშეკრულებო და ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ დარღვევებს.

3.4. კანონი ზემოაღნიშნული სახელშეკრულებო სამართლის არჩევის თავისუფლებიდან ადგენს მცირე რაოდენობის გამონაკლის შემთხვევებს. კერძოდ, ნებისმიერი სამართლის არჩევა იქნება ძალადაკარგული, თუ ის უგულებელყოფს:

3.4.1. იმ ქვეყნის კანონმდებლობის იმპერატიულ ნორმებს, რომლებიც ყველაზე მჭიდროდ უკავშირდება ტრანზაქციას;

3.4.2. კანონის იმპერატიულ ნორმებს, რომლებიც მიღებულია მომხმარებელთა და დასაქმებულთა დისკრიმინაციისაგან დასაცავად.

3.5. კანონი ასევე ადგენს, რომ უცხო სამართლის ნორმები ვერ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობის ფუნდამენტურ პრინციპებს. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს კანონმდებლობის იმპერატიული/სავალდებულო ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული მხარეთა მიერ არჩეული სამართლის მიუხედავად.

3.6. ჩვენთვის წარმოდგენილი ხელშეკრულების სამუშაო მონახაზის, ასევე, საქართველოს კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე, ინგლისური სამართლის არჩევა ხელშეკრულების მარეგულირებელ სამართლად არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. შესაბამისად, ინვესტორსა და მთავრობას აქვთ სრული თავისუფლება, როგორც ეს განერილია კანონში ამ მიმართულებით, მათი გადასაწყვეტია, აირჩევენ თუ არა ინგლისურ სამართალს ხელშეკრულების მარეგულირებელ სამართლად.

სამართლებრივი ანალიზის სტრუქტურირებაც მოცემულ მემორანდუმში „ალნერილობით“ ხასიათს ატარებს, არადა, თავად მემორანდუმის ტექსტი და განვითარებული მსჯელობა აჩვენებს, რომ უკეთესი იქნებოდა შედარებითი ანალიზის გამოყენება.

**4. ინგლისური სამართლის მარეგულირებელ სამართლად მოთხოვნის გამომწვევი მიზეზები**

4.1.1. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ უცხოელი ინვესტორებისთვის გავრცელებული პრაქტიკაა ნეიტრალური იურისდიქციის სამართლის მოთხოვნა მასპინძელი ქვეყნის მთავრობასთან სახელშეკრულებო ურთიერთობის მარეგულირებლად. არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელთა გამოც შეიძლება ინვესტორმა მოითხოვოს ინგლისური სამართლის გამოყენება, მათგან რამდენიმე ქვემოთ არის მოყვანილი. უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის კომერციული ქმედუნარიანობა მთლიანად არის დამოკიდებული ხელშეკრულების მიხედვით მთავრობის მიერ წარმოდგენილ გარანტიებზე, მაშასადამე, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მდგომარეობასა და ამგვარ სტატუსთან დაკავშირებულ გადასახადებზე. შესაბამისად, ინვესტორისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სრულად შეიძლება იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების აღსრულება.

ანალიზის შემდგომ ნაწილში განხილულია თავად შემოთავაზებული ერთადერთი ოფციის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამ ნაწილიდანაც ცხადად ჩანს შედარებით ანალიზის საჭიროება, მისი ნაკლებ-სტრუქტურირებული განვითარების მცდელობებიც, რაც ამ ნაწილში გვხვდება, მემორანდუმს ცალმხრივ და ნაკლებ ეფექტურ მემორანდუმად აქცევს.

**4.2. მასპინძელი ქვეყნის სამართლის არცოდნა**

4.2.1. A, როგორც უცხოელი ინვესტორი, არ იცნობს ქართულ სამართალს. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული პრობლემის ნაწილობრივი გადაჭრა შესაძლებელია ქართველი იურისტის მეშვეობით, ქართული სამართლის ცოდნის მიღებით, პროექტის შექმნა და ქართულ სამართალზე დაყრდნობა, შემოსავლის თვალსაზრისით, შესაძლოა იყოს სარისკო.

**4.3. ინგლისურ სამართალთან შედარებით ქართული სამართლის განვითარების დონე**

4.3.1. მიუხედავად იმისა, რომ ქართული სამართლის სისტემა ევროპულ მოდელს ეფუძნება და მთლიანად ასახავს კომერციული სამართლის ძირითად პრინციპებს, მისი განვითარების დონე მაინც ჩამორჩება იმ იურისდიქციებს, რომლებიც, ტრადიციულად, მიიჩნევა, ბიზნესზე ორიენტირებულ იურისდიქციებად. აქედან გამომდინარე, ინგლისური სამართალი მიიჩნევა ყველაზე ბიზნესმეგობრულ სამართლებრივ სისტემად, რომლის სამართლებრივი ნორმები ყალიბდებოდა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, მით უფრო, ენერგოსექტორის მიმართულებით.

#### 4.4. ქართული სამართლის პოტენციური ცვლილებები და მისი განმარტება

4.4.1. მესამე ქვეყნის სამართლის არჩევა, როგორც წესი, განპირობებულია მასპინძელი ქვეყნის სამართლის ცალმხრივი ცვლილებების შიშით. განსაკუთრებით საყურადღებოა არა მხოლოდ კანონმდებლობის ცვლილება, არამედ ცვლილებები მის განმარტებაში. ზემოაღნიშნული რისკების ნაწილობრივი დაფარვა შესაძლებელია ე.წ. „დამასტაბილურებელი მუხლის“ გათვალისწინებით, რომელიც იცავს უცხოელ ინვესტორებს მასპინძელი ქვეყნის სამართალში არასასურველი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში. თუმცა, რა შეიძლება მიიჩნეოდეს „არასასურველად“, შეიძლება იყოს განმარტების საგანი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი განმარტება განხორციელდეს ნეიტრალური სამართლით.

#### 4.5. დამფინანსებელი მხარეების მოთხოვნები

4.5.1. ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ ელექტროსადგურის შექმნა შესაძლოა განხორციელდეს კომერციული ბანკებისგან ან/და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან („დამფინანსებელი მხარეები“) მოპოვებული ფინანსების საშუალებით. ამასთან, დამფინანსებელი მხარეები ხშირად ითხოვენ ხელშეკრულებებს, რომლებიც წარმოადგენენ პროექტის კომერციული ქმედუნარიანობის გარანტიას, რეგულირდებოდა ნეიტრალური სამართლით. დამფინანსებელი მხარეები ასევე ხშირად მოითხოვენ ისეთ სამართალს, რომელიც მიიჩნევა ბიზნესზე ორიენტირებულად. ამ მხრივ, როგორც წესი, ირჩევენ ინგლისურ სამართალს ან ნიუ იორკის შტატის სამართალს. შესაბამისად, A-ს მხრიდან ხელშეკრულების მარეგულირებელ სამართლად ინგლისური სამართლის მოთხოვნის ერთ-ერთი მიზეზი არის დამფინანსებელი მხარეებისგან სამომავლო მოთხოვნა.

#### 4.6. საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი

4.6.1. ხელშეკრულება ითვალისწინებს საერთაშორისო არბიტრაჟს, რომელიც უნდა წარმართოს ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს წესის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ ქართული სამართალი იქნება ხელშეკრულების მოქმედი სამართალი, ინვესტორი და ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო ერთგვარად შეზღუდულნი იქნებიან საერთაშორისო არბიტრის კანდიდატის არჩევისას, რადგან ასეთ ვითარებაში ქართული სამართლის ცოდნა იქნება ძირითადი კრიტერიუმი.

#### 5. სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმა

5.1. როდესაც სახელმწიფო თანხმდება დავის კომერციულ არბიტრაჟში გადაწყვეტაზე, ეროვნულ კანონმდებლობათა უმეტესობის მიხედვით, ეს მიიჩნევა, როგორც უარი იმუნიტეტზე. გაერთიანებული სამეფოს 1978 წლის სახელმწიფო იმუნიტეტის აქტის მე-9 ნაწილის მიხედვით, თუ სახელმწიფო წერილობით დათანხმდება, რომ დავა, რომელიც წარმოიშვა, ან შესაძლოა წარმოიშვას, გადაეცეს კომერციულ არბიტრაჟს განსახილველად, სახელმწიფოს არ გააჩნია იმუნიტეტი გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებში, რომლებიც ეხება კომერციულ არბიტრაჟს. სახელმწიფო იმუნიტეტის ეს გამონაკლისი არ გავრცელდება, თუ გაერთიანებული სამეფოს სასამართლოები დაადგენენ, რომ ხელშეკრულება წარმართება ქართული ადმინისტრაციული სამართლის მიხედვით. სხვა იურისდიქციებში ამგვარი გამონაკლისები არ არის გამოხატულად გარანტირებული, შესაბამისად, სახელმწიფოებრივ იმუნიტეტზე უარის თქმის ვრცელი მუხლია საჭირო, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულების გარანტია განხორციელდეს.

- 5.2. არბიტრაჟში სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმის მნიშვნელობა ორ ეტაპზეა გადამწყვეტი: (i) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების დროს იმ ქვეყნის სასამართლოების მიერ, რომლებშიც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება; და (ii) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესრულების დროს იმ ქვეყანაში, რომელშიც უნდა შესრულდეს გადაწყვეტილება.
- 5.3. იმ ქვეყნების ეროვნული სამართალი, სადაც უნდა მოხდეს ცნობა, აღსრულება და შესრულება, განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. ზოგიერთ ქვეყანაში საარბიტრაჟო შეთანხმება, ჩვეულებრივ, ნიშნავს იმასაც, რომ არბიტრაჟის ადგილის სასამართლოებს ექნებათ იურისდიქცია იმ პროცესებზე, რომლებიც წარმოიშვება მაშინ, როდესაც სასამართლო ახორციელებს მის ზედამხედველობით იურისდიქციას არბიტრაჟზე, თუმცა ეს არ არის ზოგადი წესი და აქვს გამონაკლისი შემთხვევები. დამატებით, საკითხი განსხვავებულია შესრულების ეტაპზე – სახელმწიფოები თავს იკავებენ, დაუშვან გამონაკლისები სახელმწიფო იმუნიტეტისგან ამ ეტაპზე. სახელმწიფო იმუნიტეტის საკითხის ღიად დატოვება და სახელმწიფოსთან არსებულ საინვესტიციო ხელშეკრულებაში უარის გაუთვალისწინებლობა ინვესტორს ტოვებს აშკარა რისკის ქვეშ, რომ მიიღებს არააღსრულებად და შეუსრულებელ გადაწყვეტილებას ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, აუცილებელია, ხელშეკრულებაში სრულყოფილი სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმის ჩანაწერის გათვალისწინება.

მემორანდუმი არ შეიცავს დასკვნასა და რეკომენდაციებს, რაც ანალიზის დაუსრულებლობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

\* \* \*

## 5. საქართველოს წინა

იურისტს პროფესიული საქმიანობის ფარგლებში არაერთი ოფიციალური წერილის მომზადება უნევს, რომელთა უმეტესობა თანამედროვე დროში ელექტრონული ფოსტის საშუალებით იგზავნება. თუ სამართლებრივი მემორანდუმის წერის სტანდარტი, ფორმატი და სტილი მკაცრად განსაზღვრულია, სამართლებრივი წერილის შემთხვევაში იურისტის პერსონალური წერის სტილი უფრო გამოკვეთილია. თუმცა, ზეპირი კომუნიკაციისგან განსხვავებით, ნებისმიერი ოფიციალური მიმონერა რჩება ფურცელზე და მას გარკვეული სამართლებრივი შედეგები მოსდევს. შესაბამისად, რეკომენდებულია წერილის მომზადებისას სამართლებრივი წერის გარკვეული მახასიათებლების დაცვა ადრესატის/ების და წერილის მიზნის გათვალისწინებით.

წინამდებარე თავში მოცემულია ცხრა განსვავებული შინაარსის და დატვირთვის მქონე სამართლებრივი წერილის განმარტება და სტრუქტურა თავისი მაგალითებით.

### 5.1. შეტყობინების/გაფრთხილების წერილი

შეტყობინების წერილი არის კონკრეტულ ადრესატთა წრისადმი მიმართული წერილი, რომლის მიზანია ადრესატებისათვის კონკრეტული გარემოების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება ან ადრესატების გაფრთხილება. ბიზნესურთიერთობების ფარგლებში შეტყობინების წერილი განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება სახელშეკრულებო მხარეებს შორის. მაგალითად, ხელშეკრულების ერთი მხარე შეიძლება ატყობინებდეს მეორეს თავისი საკონტაქტო დეტალების ცვლილების თაობაზე ან აფრთხილებდეს მხარეს მის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისა და ასეთი გადაცილებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოსალოდნელი ზომების თაობაზე. შინაარსიდან გამომდინარე, შეტყობინების წერილი შეიძლება იყოს მოკლე ან/და მასშტაბური. მის მოცულობას კონკრეტული ფაქტობრივი მდგომარეობა განაპირობებს.

მიუხედავად ამისა, არსებობს მინიმალური მახასიათებლები, რომლებიც საერთოა ნებისმიერი შეტყობინების წერილისათვის. მაგალითისათვის ქვემოთ იხილეთ ხელშეკრულების დარღვევის თაობაზე გაგზავნილი შეტყობინების წერილი. წერილი იწყება კონკრეტული ადრესატის მითითებით. დასაწყისშივე აღნიშნული თარიღი და წერილის საგანი. წერილის პირველივე აბზაცში გამგზავნი აზუსტებს, რას უკავშირდება გაგზავნილი წერილი. ამ შემთხვევაში იდენტიფიცირებულია მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულება. მნიშვნელოვანია, რომ შეტყობინების წერილის დასაწყისში მოკლედ და ნათლად იყოს აღწერილი საქმის ვითარება. ამის შემდეგ წერილში უნდა მიეთითოს კონკრეტული ინსტრუქცია ადრესატისათვის. თუ გამგზავნი ითხოვს ადრესატისაგან რაიმე მოქმედებას ან მოქმედებისაგან თავის შეკავებას, წერილში ეს ნათლად უნდა აისახოს. ამასთან, ადრესატისათვის გასაგები უნდა იყოს კონკრეტული ვადები, თუ წერილის გამგზავნი ასეთ ვადებს ადგენს ადრესატისათვის. წერილის ბოლოს გამგზავნმა შეიძლება დააფიქსიროს ადრესატის მიერ მოთხოვნის შეუსრულებლობის მოსალოდნელი შედეგები.

წერილი, როგორც წესი, იბეჭდება გამგზავნის ტიტულიან ფურცელზე და იგი აუცილებლად უნდა იყოს გამგზავნის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი.

შეტყობინების/გაფრთხილების წერილის მოდელური ვერსია  
**[იბეჭდება გამგზავნის თავფურცელზე]**

[ადრესატის დასახელება]  
[მისამართი]  
[საკონტაქტო პირი]

[თარიღი]

ბატონო/ქალბატონო [- ]

**საგანი: 2018 წლის 1 იანვრის ხელშეკრულება №---**

წინამდებარე წერილი ეხება 2018 წლის 1 იანვრის ხელშეკრულებას №--- (შემდგომში „**ხელშეკრულება**“), რომელიც დაიდო [კომპანიის დასახელება] (შემდგომში „**თქვენ**“ ან „**შემსრულებელი**“) და [კომპანიის დასახელება] (შემდგომში „**ჩვენ**“ ან „**დამქირავებელი**“). თუ ამ წერილში (შემდგომში „**წერილი**“) სხვაგვარად არ არის მითითებული, ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა.

ხელშეკრულების თანახმად, შემსრულებელი ვალდებულია, შეასრულოს ოფისისა და სანაგებობის სამშენებლო სამუშაოები (შემდგომში „**სამუშაოები**“) და დამქირავებელი ვალდებულია, გადაუხადოს შემსრულებელს ანაზღაურება [თანხის ოდენობა] ოდენობით.

ხელშეკრულების [მუხლის ნომერი] მუხლის თანახმად, შემსრულებელმა თავისი ვალდებულებები უნდა შეასრულოს ხელშეკრულების პირობების სრული დაცვით და თავისი ხარჯით გამოასწოროს ყველა ნაკლი. ჩვენმა შემონებამ გამოავლინა [გამოვლენილი დარღვევების აღწერა]. 2018 წლის 1 სექტემბერს თქვენ ზეპირად გეცნობათ ამ დარღვევების თაობაზე, თუმცა თქვენ დარღვევები დღემდე არ გამოგისწორებიათ. შესაბამისად, ხელშეკრულების [მუხლის ნომერი] მუხლის თანახმად, ვალდებული ხართ, საკუთარი ხარჯით გამოასწოროთ გამოვლენილი დარღვევები ამ წერილის მიღებიდან [დღეების რაოდენობა] კალენდარული დღის ვადაში.

ხელშეკრულების [მუხლის ნომერი] თანახმად, დამქირავებელი უფლებამოსილია, შესრულების გარანტიის სახით დააკავოს გადასახდელი ანაზღაურების 10%. თუ თქვენ განსაზღვრულ ვადაში არ გამოასწორებთ დარღვევებს, შემსრულებელი გარანტიის თანხიდან გამოქვითავს ყველა ხარჯსა და დანაკარგს, რომელიც უკავშირდება აღნიშნულ დარღვევებს.

ამ წერილის მიუხედავად, დამქირავებელი ინარჩუნებს თავის ყველა უფლებას, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს ხელშეკრულებიდან და გამოსაყენებელი კანონმდებლობიდან.

პატივისცემით,

\_\_\_\_\_  
**[სახელი, გვარი]**  
[თანამდებობა]



## 5.2. განზრახულობათა წერილი

განზრახულობათა წერილში მხარეები გამოხატავენ თავიანთ განზრახვას, განახორციელონ კონკრეტული გარიგება (ტრანზაქცია). დოკუმენტის მიზანია, აღწეროს შემოთავაზებული გარიგების ძირითადი პირობები და გარიგების მხარეებისთვის შექმნას გარკვეული სტრუქტურული საწყისი.

როგორც წესი, განზრახულობათა წერილი მოიცავს გარიგების პირობებს ზოგადად და მასში უშუალოდ შეთანხმების მუხლები არ არის გაწერილი. მაგალითად, განზრახულობათა წერილში მხარეები უთითებენ გარიგების სავარაუდო ფასს და ფასის გადახდას განვადებით, თუმცა მუხლობრივად არ აღწერენ ფასის გადახდის ფორმასა და წესს. ამასთან, განზრახულობათა წერილში მოცემულია გარიგების მხოლოდ ძირითადი პირობები, რომლებიც მნიშვნელოვანია. ასეთი შეიძლება იყოს გარიგების საგანი, გარიგების ფასი, გარიგების განხორციელების წინაპირობები, მხარეთა წარმოდგენები გარიგების თაობაზე და ა.შ.

განზრახულობათა წერილი გარიგების პროცესის საწყის ეტაპზე იდება, სანამ მხარეები დაიწყებენ დეტალურ მოლაპარაკებებს საბოლოო ფორმალური ხელშეკრულებების თაობაზე. მათი მიზანი არ არის, შექმნას მბოჭავი ვალდებულებები.

მაგალითისათვის იხილეთ განზრახულობათა წერილის მოდელური ვერსია ქვემოთ.

განზრახულობათა წერილის მოდელური ვერსია  
[იბეჭდება გამგზავნის თავფურცელზე]

[ადრესატის დასახელება]  
[მისამართი]

[თარიღი]

**საზოგადოების წილების ნასყიდობასთან დაკავშირებით**

ეს წერილი ადგენს იმ პირობებსა და წინაპირობებს, რომელთა შესაბამისად და რომელთა საფუძველზეც [•], [•] კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული საზოგადოება საიდენტიფიკაციო კოდით [•], რეგისტრირებული მისამართით [•], წარმოდგენილი [•] სახით (შემდგომში „გამყიდველი“) და [•], [•] კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული საზოგადოება საიდენტიფიკაციო კოდით [•], რეგისტრირებული მისამართით [•], წარმოდგენილი [•] სახით (შემდგომში „მყიდველი“) (თითოეული შემდგომში მოხსენებული როგორც „მხარე“ და ერთად როგორც „მხარეები“) დადებენ ხელშეკრულებას კომპანიის (როგორც განმარტებულია ქვემოთ) კაპიტალში წილის ნასყიდობის თაობაზე (შემდგომში „გარიგება“). ეს შეთანხმება შეიცავს იმ ძირითად პირობებს, რომლებიც მოცემული იქნება გარიგებასთან დაკავშირებით დადებულ ძირითად დოკუმენტებში („ძირითადი ხელშეკრულება“).

ეს წერილი არ არის ამომწურავი, მის მიზანს არ წარმოადგენს, ჰქონდეს მხოლოდ ძალა რომელიმე მხარისთვის.

1. მხარეები პრინციპულად შეთანხმდნენ გარიგების შემდეგ პირობებზე, რომლებიც საბოლოოდ მონესრიგდება ძირითად ხელშეკრულებაში:

[მიეთითება გარიგების ძირითადი პირობები მხოლოდ ზოგადად, დაწვრილებითი დეტალების გარეშე, მათ შორის, გარიგების სახე, სავარაუდო ფასი, ფასის გადახდის ფორმა და დრო, ძირითადი ხელშეკრულების დადების სავარაუდო განრიგი, მოსალოდნელი შემოსემების პირობები და სხვ.]

2. მხარეები 1 პუნქტში მითითებულ პირობებზე პრინციპულად შეთანხმდნენ შემდეგი დაშვებებისა და წარმოდგენების გათვალისწინებით:

[მიეთითება მხარეთა დაშვებები და წარმოდგენები, მაგალითად, გარიგებით გათვალისწინებული ოპერაცია არ იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით.]

3. მხარეები თანხმდებიან, რომ წერილის თარიღიდან გონივრულად ხელსაყრელ ვადაში წარმართება მოლაპარაკებები კეთილსინდისიერად და მოელიან, რომ ძირითადი ხელშეკრულება დაიდება არა უგვიანეს [თარიღი]. ძირითად ხელშეკრულებაში მოცემული იქნება გარიგების ყველა პირობა და ძირითადი ხელშეკრულების პირველ პროექტს მოამზადებენ გამყიდველის იურისტები.

4. თითოეული მხარე უფლებამოსილია, მეორე მხარისადმი გაგზავნილი წერილობითი (რომელიც მოიცავს, მათ შორის, ელექტრონულ ფოსტას) შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს გარიგებასთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებები და არ დადოს ძირითადი ხელშეკრულება. ასეთი შეწყვეტის შემთხვევაში, შეწყვეტის მსურველ მხარეს არ წარმოეშობა არანაირი ვალდებულება მეორე მხარის მიმართ. ელექტრონული ფოსტით კომუნიკაციისათვის მხარეების გამოიყენებენ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართს:

**გამყიდველი:** [●]; **საკონტაქტო პირი:** [●]

**მყიდველი:** [●]; **საკონტაქტო პირი:** [●]

5. გარდა მე-6 პუნქტში გათვალისწინებული შემთხვევისა, თითოეული მხარე სრულად გადაიხდის თავის ხარჯებს, რაც გასწია ამ გარიგების მოლაპარაკებების, სამართლებრივად მბოჭავი დოკუმენტების ხელმოწერისა და დასრულებისათვის.

6. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ წერილის თარიღიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში გარიგებასთან დაკავშირებით არ დაიწყებენ ან გააგრძელებენ მოლაპარაკებას, ან დადებენ რაიმე შეთანხმებას ნებისმიერ მესამე პირთან. ნებისმიერი ეჭვის გამოსარიცხად, მყიდველი უფლებამოსილია, შეწყვიტოს გარიგებასთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებები, თუ გამყიდველი შეგნებულად დაარღვევს ამ პუნქტში მოცემულ ექსკლუზიურობის პირობებს. მყიდველის მიერ შეთანხმების ამ საფუძველით შეწყვეტის შემთხვევაში, მყიდველი უფლებამოსილია, მოსთხოვოს გამყიდველს ყველა იმ დოკუმენტურად დადასტურებული [გონივრული] ხარჯის ანაზღაურება [თანხის ოდენობა], რომელიც მყიდველმა განა გარიგებასთან დაკავშირებით.

7. თუ ამ წერილში სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, ამ წერილის არც ერთი ნაწილის მიზანი არ არის და არც ერთი ნაწილი არ შეიძლება მიჩნეული იყოს, რომ (i) წარმოშობდეს რაიმე სახის პარტნიორობას ან ერთობლივ საქმიანობას მხარეებს შორის; (ii) რომელიმე მხარეს ასახელებდეს მეორე მხარის წარმომადგენლად; (iii) რომელიმე მხარეს ავალდებულებდეს, მოაწყოს, ორგანიზება გაუკეთოს ან იპოვოს ინვესტორი ამ შეთანხმებით გათვალისწინებული გარიგებისათვის, (iv) უფლებამოსილებას ანიჭებდეს ან ავალდებულებდეს რომელიმე მხარეს, აიღოს პასუხისმგებლობა მეორე მხარისათვის ან მისი სახელით.

8. ეს წერილი შედგენილია [ინგლისურ და] ქართულ ენებზე. [ამ ორ ენაზე შესრულებულ ტექსტებს შორის რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ ტექსტს.]

9. ეს წერილი და ნებისმიერი დავა ან მოთხოვნა (მათ შორის, არასახელმწიფო-  
ლებო დავები ან მოთხოვნები), რომლებიც გამომდინარეობს ან უკავშირდება  
ამ წერილს, მის საგანს ან მის დადებას, წესრიგდება და განიმარტება საქარ-  
თველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
10. მხარეები თანხმდებიან, რომ ნებისმიერი დავა ან მოთხოვნა (მათ შორის,  
არასახელმწიფო დავები ან მოთხოვნები), რომლებიც გამომდინარეობს  
ან უკავშირდება ამ წერილს, მის საგანს ან დადებას, უნდა გადაწყდეს ქარ-  
თული სასამართლოების მიერ.

გთხოვთ, ამ წერილის ხელმოწერით დაადასტუროთ მისი მიღება და თქვენი თანხ-  
მობა წერილში განსაზღვრულ პირობებზე და დაგვიბრუნოთ ერთი ხელმოწერილი  
ეგზემპლარი გამგზავნის მისამართზე.

---

ხელმოწერილია [•] მიერ  
[•] სახელით და მის ნაცვლად  
თარიღი: [•]

ვადასტურებთ წერილის მიღებას და ჩვენს თანხმობას წერილში მოცემულ პირო-  
ბებზე.

---

ხელმოწერილია [•] მიერ  
[•] სახელით და მის ნაცვლად  
თარიღი: [•]

### 5.3. თანხმობის წერილი

თანხმობის წერილის მიზანია, დააფიქსიროს გამცემის თანხმობა გარკვეული საკითხის თაობაზე. თანხმობის წერილის შინაარსი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე. სამართლებრივი კუთხით, თანხმობის წერილის შედგენისას აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს თანხმობის წერილის ფორმა (მაგალითად, მარტივი თუ ნოტარიული ფორმა) და თანხმობის პირობითობა. მაგალითად, თანხმობის ძალაში შესვლა შეიძლება დამოკიდებული იყოს გარკვეულ წინაპირობებზე. როგორც წესი, აღნიშნული საკითხები თავიდანვე მოწესრიგებული იქნება კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით, თუ პირთა შორის ხელშეკრულება არსებობს. თანხმობის წერილის გაცემისას მნიშვნელოვანია გამცემი პირის უფლებამოსილების შემოწმება. მაგალითად, იურიდიული პირის შემთხვევაში თანხმობის წერილს ხელს აწერს იურიდიული პირის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

ქვემოთ მოცემულია თანხმობის წერილის მოდელური ვერსია. ამ წერილს გასცემს საზოგადოების პარტნიორი და ნებას რთავს მეორე პარტნიორს, გაასხვისოს თავისი წილი. თანხმობის წერილის ამ მაგალითში თანხმობის ნამდვილობა დამოკიდებულია გარკვეული წინაპირობების შესრულებაზე. ამ წინაპირობებს თანხმობის წერილი ნათლად უნდა აღწერდეს, რათა სამომავლოდ ადვილად შეფასდეს წინაპირობების შესრულების საკითხი.

თანხმობის წერილის მოდელური ვერსია  
[იბეჭდება გამგზავნის თავფურცელზე]

[ადრესატის დასახელება]  
[მისამართი]  
[საკონტაქტო პირი]

[თარიღი]

ბატონო/ქალბატონო [ - ]

**პარტნიორის თანხმობა**

წინამდებარე თანხმობა ეხება პარტნიორთა შეთანხმებას, რომელიც დადებულია [თარიღი] [თითოეული მხარის დასახელება] შორის (შემდგომში „**პარტნიორთა შეთანხმება**“) და თქვენს წერილს, რომლითაც ითხოვეთ თანხმობა წილის გაყიდვის თაობაზე (შემდგომში „**თანხმობის მოთხოვნის წერილი**“).

თუ ამ წერილში (შემდგომში „**წერილი**“) სხვაგვარად არ არის მითითებული, პარტნიორთა შეთანხმებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა.

თქვენ თანხმობის მოთხოვნის წერილში უთითებთ, რომ გსურთ [კომპანიის დასახელება და დეტალები] კაპიტალში თქვენი კუთვნილი [წილის ოდენობა] წილის გასხვისება [წილის მყიდველის მონაცემები] (შემდგომში „**წილის გასხვისება**“). წილის გასასხვისებლად პარტნიორთა შეთანხმების [მუხლის ნომერი] მუხლის თანახმად საჭიროა ჩვენი თანხმობა.

[ამ წერილში მოცემული წინაპირობების საფუძველზე], ჩვენ თანახმა ვართ წილის გასხვისებაზე. [ჩვენი თანხმობა ძალაშია, თუ შესრულდება შემდეგი წინაპირობები]:

- (a) თქვენ წარმოგვიდგენთ [მიეთითება მოთხოვნილი დოკუმენტები];
- (b) [მიეთითება სხვა წინაპირობები].

წინამდებარე წერილით გაცემული თანხმობა ძალაშია [ამ წერილის თარიღიდან] ან [იმ თარიღიდან, როცა თქვენ წარმოადგენთ ზემოთ მითითებულ ყველა დოკუმენტს და შეასრულებთ ყველა წინაპირობას].

წინამდებარე წერილით გაცემული თანხმობა არ ზღუდავს ჩვენს რომელიმე უფლებას ან მოთხოვნის უფლებას, რომელიც გვაქვს ან მომავალში შეიძლება გვქონდეს პარტნიორთა შეთანხმებიდან ან კანონმდებლობიდან გამომდინარე. თანხმობა გაიცემა კონკრეტულად იმ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც აღწერილია ამ წერილში. ამ წერილით არ იცვლება პარტნიორთა შეთანხმების არც ერთი პირობა ან მუხლი და ჩვენ არ გამოვხატავთ თანხმობას პარტნიორთა შეთანხმების რომელიმე სხვა პირობის თაობაზე. პარტნიორთა შეთანხმება სრულად ინარჩუნებს ძალას.

**აღნიშნულის დასტურად**, წინამდებარე თანხმობა ხელმოწერილია [თარიღი].

[სახელი, გვარი]  
[სტატუსი]

#### 5.4. მოთხოვნის წერილი

მოთხოვნის წერილის მიზანია, გამგზავნა ადვოკატმა წარუდგინოს ადრესატს თავისი მარწმუნებლის მოთხოვნა და დაარწმუნოს ადრესატი ამ მოთხოვნის შესრულების აუცილებლობაში. მოთხოვნის წერილს შეიძლება გაეცნოს როგორც ადრესატი, ისე მისი იურისტი.

მოთხოვნის წერილი ნათლად უნდა აღწერდეს საქმის გარემოებებს. მასში კარგად უნდა იყოს ახსნილი კლიენტის პოზიცია და ამ პოზიციიდან გამომდინარე, რა კონკრეტულ მოთხოვნას წარუდგენს კლიენტი მოთხოვნის წერილის ადრესატს. მოთხოვნის წერილი შემაჯამებელ აბზაცში უნდა უთითებდეს მოსალოდნელ შედეგებზე, თუ ადრესატი წარდგენილ მოთხოვნას არ შეასრულებს.

მაგალითისათვის იხილეთ მოთხოვნის წერილის მოდელური ვერსია.

მოთხოვნის წერილის მოდელური ვერსია  
[იბეჭდება გამგზავნი იურიდიული ფირმის თავფურცელზე]

[ადრესატის დასახელება]  
[მისამართი]  
[საკონტაქტო პირი]

[თარიღი]

ბატონო/ქალბატონო [ - ]

**საგანი: გადასახდელი დავალიანება**

ჩვენ, [იურიდიული ოფისის დასახელება] (შემდგომში „ჩვენ“), ვმოქმედებთ ჩვენი კლიენტის, [კლიენტის დასახელება] (შემდგომში „კლიენტი“) სახელით და მივუთითებთ კლიენტის მიერ [ადრესატის დასახელება] (შემდგომში „თქვენ“) სახელზე გამოცემულ ინვოისებზე, რომლებიც გამოცემულია 2018 წლის ივლისის, აგვისტოსა და სექტემბრის პერიოდისთვის და ეხება კლიენტის კომერციული ფართის იჯარის ქირას („ინვოისები“).

თქვენ ინვოისებიდან გადაიხადეთ მხოლოდ ერთი, 2018 წლის ივლისის ინვოისით გათვალისწინებული თანხა, რომელიც შეადგენს [თანხის ოდენობა]. თქვენ არ გადაგიხდიათ 2018 წლის აგვისტოსა და სექტემბრის ინვოისებით განსაზღვრული საიჯარო ქირა, რომლის ჯამური ოდენობა შეადგენს [თანხის ოდენობა] („გადასახდელი თანხა“).

თქვენსა და კლიენტს შორის დადებული იჯარის ხელშეკრულების [მუხლის ნომერი] მუხლის თანახმად, თქვენ ვალდებული ხართ უნდა შეასრულოთ ხელშეკრულების პირობების სრული დაცვით და დროულად გადაიხადოთ ხელშეკრულებით შეთანხმებული საიჯარო ქირა. კლიენტი თქვენ არაერთხელ დაგიკავშირდათ და მოითხოვა გადასახდელი თანხის გადახდა. თქვენ აღიარეთ გადასახდელი თანხის გადახდის ვალდებულება, თუმცა რამდენჯერმე არ შეასრულეთ კლიენტის კანონიერი მოთხოვნა.

ჩვენ მივუთითეთ კლიენტს, რომ თქვენ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, კლიენტს შეუძლია თავისი უფლებების დაცვა სასამართლო გზით. იმ შემთხვევაში, თუკი ამ წერილის მიღებიდან 7 (შვიდი) დღეში არ გადაიხდით გადასახდელ თანხას ინვოისებში მითითებულ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით, ჩვენ უფლებამოსილი ვართ, კლიენტის სახელით მივმართოთ კანონმდებლობით გათვალისწინებულ საშუალებებს კლიენტის უფლებების დასაცავად.

პატივისცემით,

---

[სახელი, გვარი]  
[თანამდებობა]



## 5.5. მოსანვევი კრებაზე

სამართლებრივი წერილის კიდეე ერთ მაგალითს წარმოადგენს შეტყობინება, რომელიც იგზავნება დაგეგმილი კრების ჩატარების შესახებ. ყველაზე ხშირად ამ ტიპის წერილი საჭიროა აქციონერთა კრების ან დირექტორთა საბჭოს კრების მოსანვევად. უმეტესად ამ ტიპის წერილის შინაარსსა და ფორმალურ მოთხოვნებს საზოგადოების კორპორაციული დოკუმენტები ან გამოსაყენებელი კანონმდებლობა განსაზღვრავს. ასეც რომ არ იყოს, კრებაზე მოწვევის წერილი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგ ძირითად კომპონენტებს:

- მითითებას კრების თარიღზე, დროსა და ადგილზე;
  - მითითებას კრებაზე განსახილველ საკითხებზე;
  - მითითებას კრებაზე გამოუცხადებლობის შედეგებზე.
- მაგალითისათვის იხილეთ კრების მოსანვევის მოდელური ვერსია.

კრების მოსაწვევის მოდელური ვერსია  
[იბეჭდება გამგზავნის თავფურცელზე]

[ადრესატის დასახელება]  
[მისამართი]  
[საკონტაქტო პირი]

[თარიღი]

ბატონო/ქალბატონო [ - ]

**საგანი: პარტნიორთა რიგგარეშე კრება**

წინამდებარე წერილით (შემდგომში „წერილი“) გატყობინებთ, რომ [კომპანიის დასახელება და საიდენტიფიკაციო მონაცემები] (შემდგომში „კომპანია“) პარტნიორთა რიგგარეშე საერთო კრება (შემდგომში „კრება“) გაიმართება [მისამართი], [თარიღი] [დრო] საათზე.

კრებაზე განსახილველად და კენჭისყრისათვის წარმოდგენილი იქნება შემდეგი საკითხები:

(a) [განსახილველი საკითხის აღწერა];

თქვენ უფლებამოსილი ხართ, კრებას დაესწროთ პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით.

კრების გადწყვეტილებაუნარიანობა შეფასდება კრების დაწყების დანიშნული დროიდან 30 (ოცდაათი) წუთის გასვლის შემდეგ. კრება გადწყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ მას ესწრებიან ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორები. კრება გადწყვეტილებებს მიიღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

თუ კრების დაწყების დანიშნული დროიდან [დრო] გასვლის შემდეგ კრება არ იქნება გადწყვეტილებაუნარიანი, კრება მეორედ მოიწვევა იმავე დღის წესრიგით და გაიმართება არა უგვიანეს [თარიღი]. განმეორებითი კრების მოწვევის თაობაზე შეტყობინებები გამოიგზავნება იმავე წესით. თუ განმეორებითი კრება არ იქნება გადწყვეტილებაუნარიანი, კრება მაინც წარიმართება დამსწრე პარტნიორების მონაწილეობით.

თქვენ შეგიძლიათ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს დაეთანხმოდით წერილობით ამ წერილის მიღებიდან არა უგვიანეს [რაოდენობა] სამუშაო დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის ყველა პარტნიორი წერილობით თანხმობას გამოთქვამს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე, ასეთი თანხმობების საფუძველზე მიიჩნევა, რომ გადწყვეტილებები მიღებულია კრებაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების თაობაზე თქვენი მოსაზრებების გამოსახატად ან ნებისმიერი შეკითხვის ქონის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ [საკონტაქტო პირის მონაცემები].

[სახელი, გვარი]  
[თანამდებობა]

## 5.6. ინსტრუქციის წერილი

ინსტრუქციის წერილი არის კონკრეტული ან თუნდაც ადრესატთა შეზღუდული წრისთვის გაცემული წერილი, რომელიც ასახავს წერილის ავტორის ინსტრუქციებს კონკრეტული ქმედების შესრულების კუთხით ან კონკრეტულ უფლებამოსილებებთან დაკავშირებით. ასეთი წერილი მზადდება მესამე პირებისთვის, რათა მათ ჰქონდეთ ინფორმაცია ბროკერის/შუამავლის უფლებამოსილებების შესახებ. ის ჰგავს მინდობილობას და დეტალურად აღწერს ბროკერის/შუამავლის უფლებამოსილებებსა და შესაძლო შეზღუდვებს. ასეთ წერილში ზუსტად უნდა ჩანდეს უფლებამოსილების გადაცემის საფუძველი, გადაცემული უფლებამოსილების ფარგლები და შეზღუდვები.

ინსტრუქციის წერილი ასევე შესაძლოა მომზადდეს ბანკებისთვის, რათა მათ კლიენტის კონკრეტული მითითების მიხედვით განახორციელონ ტრანზაქცია ან უფლებამოსილ პირს, უფლების მქონე პირის ინსტრუქციის შესაბამისად, აუნაზღაურონ საგარანტიო თანხა. ასეთი წერილისთვის აუცილებელია, მასში მითითებული იყოს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი და კონკრეტული მოთხოვნა.

ქვემოთ იხილეთ კლიენტის მიერ ბროკერის უფლებამოსილებებთან დაკავშირებით გაცემული წერილის მოდელური ვერსია. ქვემოთ მოცემულ წერილს არ ჰყავს კონკრეტული ადრესატი, თუმცა კონკრეტული ადრესატის არსებობის შემთხვევაში, უნდა მიეთითოს ადრესატის სახელი და მისამართი. მსგავსი წერილებისთვის რეკომენდებულია, რომ არ იყოს შეზღუდული წერილის მიზნების ფორმა, რადგან ბროკერს წერილი შესაძლოა ნებისმიერ დროს დასჭირდეს და წარდგენის ფორმაც მესამე პირის მოთხოვნებზე დამოკიდებული. წერილის შესავალ ნაწილში განისაზღვრება, თუ რომელი ხელშეკრულების საფუძველზეა გაცემული წერილით გათვალისწინებული უფლებამოსილებები. წერილის შესავალ ნაწილში ასევე განიმარტება გამოყენებული ტერმინები. შემდგომ აბზაცებში წერილის ავტორი აღწერს ბროკერის უფლებამოსილებებს, შეზღუდვებსა და ვადებს.

ინსტრუქციის წერილის მოდელური ვერსია  
საჭიროებისამებრ წარსადგენად

ფოსტით, ელექტრონული ფოსტით ან ხელზე ჩაბარებით

თარიღი

ქალბატონო, ბატონო

**საგანი: ინსტრუქციის წერილი**

წინამდებარე წერილი მიუთითებს შპს „კომპანია ა“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 123456789) („კლიენტი“) და შპს „საბროკერო კომპანია ბ“-ის (საიდენტიფიკაციო კოდი: 101112131) „ბროკერი“) შორის 2019 წლის 30 დეკემბერს საბროკერო მომსახურების შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებაზე („საბროკერო ხელშეკრულება“). წინამდებარე წერილით განსაზღვრული ნებისმიერი უფლებამოსილება ექვემდებარება საბროკერო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შეზღუდვებს.

ბროკერი უფლებამოსილია, სრულად წარმოადგინოს კლიენტი, აწარმოოს მოლაპარაკებები კლიენტის სახელით, რათა მან შეარჩიოს კლიენტისთვის ოპტიმალური სადაზღვევო კომპანია. კლიენტი ასევე უფლებამოსილია, კანონმდებლობის შესაბამისად დაამუშავოს და სადაზღვევო კომპანიას გადასცეს კლიენტის მიერ მიწოდებული პერსონალური მონაცემები. ბროკერი ასევე უფლებამოსილია, ასეთი ინფორმაცია გადასცეს შესაბამის მარეგულირებელ სახელმწიფო ორგანოებს.

ბროკერი არ არის უფლებამოსილი, სხვა პირს გადასცეს წინამდებარე წერილით გათვალისწინებული უფლებამოსილებები.

ბროკერის წინამდებარე წერილით გათვალისწინებული უფლებამოსილებები ძალაშია 1 წლის განმავლობაში, თუ აღნიშნული უფლებამოსილებები სხვაგვარად წერილობით არ გაუქმდა კლიენტის მიერ.

კლიენტის ყველა უფლება დაცულია.

ხელმოწერა:

\_\_\_\_\_

შპს „კომპანია ა“-ს დირექტორი

## 5.7. წერილი მოთხოვნებზე უარის თქმის შესახებ

მოთხოვნებზე უარის თქმის შესახებ წერილი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული პირი უარს ამბობს მისთვის კანონით ან ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული მოთხოვნის უფლების გამოყენებაზე კონკრეტული პირის მიმართ. წერილის მიზანია, ვალდებული მხარე გაათავისუფლოს მის მიერ შესასრულებელი კონკრეტული ვალდებულებისგან ან მოსალოდნელი პასუხისმგებლობისგან.

ასეთი წერილი შესაძლოა მომზადდეს, თუ უფლების მქონე პირი უარს ამბობს მის მოთხოვნაზე იდავოს სასამართლოს წინაშე. ასევე, ასეთი წერილის მომზადების მიზანი შესაძლოა იყოს კონკრეტულ უფლებაზე უარის თქმა. მაგალითად, პარტნიორმა უარი თქვა წილის უპირატესი შესყიდვის უფლებაზე. წერილი ასევე შესაძლოა მომზადდეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნებზე უარის თქმა დამოკიდებულია კონკრეტული პირობის შესრულებაზე, თუმცა მოთხოვნის უფლების მქონე გარანტიას, რომ ამ პირობის შესრულების შემთხვევაში მოთხოვნებზე უარი ავტომატურად შევა ძალაში.

მაგალითისთვის იხილეთ მოთხოვნებზე უარის თქმის შესახებ წერილი, რომელსაც გასცემს მორიგების ხელშეკრულების მხარე. წერილის პირველი აბზაცი მიუთითებს არსებულ მორიგების ხელშეკრულებაზე და აზუსტებს, რომ წერილში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ მორიგების ხელშეკრულებაში მითითებული მნიშვნელობა. ეს აუცილებელია, რათა თავიდან ავიცილოთ ხელშეკრულებაში განმარტებული ტერმინების კიდევ ერთხელ განმარტება. წერილის ძირითადი ნაწილით წერილის ავტორი მიუთითებს, რომ პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, იგი უარს ამბობს ყველა არსებულ თუ სამომავლო მოთხოვნაზე. ასეთი წერილისთვის აუცილებელია, მიეთითოს მოთხოვნაზე უარის ძალაში შესვლის კონკრეტული თარიღი ან შესასრულებელი პირობა. ასეთი პირობის გარეშე ჩაითვლება, რომ მოთხოვნაზე უარი ძალაში შედის წერილის თარიღიდან. წერილის შემდგომ აბზაცში კრედიტორი გასცემს გარანტიას, რომ დააბრუნებს დაგირავებულ ნივთებს. წერილის ბოლო აბზაცში განმარტებულია, რომ მოთხოვნებზე უარი გავლენას არ ახდენს წერილის ავტორის სხვა უფლებებსა და ვალდებულებებზე.

მოთხოვნებზე უარის თქმის შესახებ წერილის მოდელური ვერსია

შპს „კომპანია ა“  
ლებანიძის ქ. 5, თბილისი, საქართველო  
ადრესატი: ანა კაპანაძე  
ფოსტით გასაგზავნად

2020 წლის 1 იანვარი

ქალბატონო ანა,

### საგანი: მოთხოვნებზე უარის თქმა

წინამდებარე წერილი ეხება შპს „კომპანია ა“-სა („მოვალე“ ან „თქვენ“) და შპს „კომპანია ბ“-ის („კრედიტორი“ ან „ჩვენ“) შორის 2019 წლის 2 სექტემბერს გაფორმებულ მორიგების ხელშეკრულებას („მორიგების ხელშეკრულება“). წინამდებარე წერილში გამოყენებულ ტერმინებს აქვს მორიგების ხელშეკრულებაში მითითებული მნიშვნელობა. მოვალის მიერ მორიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომპენსაციის სრულად გადახდის შემთხვევაში, კრედიტორი სამუდამოდ ათავისუფლებს და უარს ამბობს ყველა ქმედებაზე, სარჩელზე, უფლებაზე, მოთხოვნასა და გამოქვითვაზე, რომელიც კრედიტორს ჰქონდა, აქვს ან მომავალში შესაძლებელია გაუჩნდეს მოვალის მიმართ მორიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებთან მიმართებით. მოვალის მიერ მორიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომპენსაციის სრულად გადახდის თარიღიდან კრედიტორი ადასტურებს, რომ:

- იგი მოვალის წინააღმდეგ არ დაიწყებს დავას, არ შეიტანს სარჩელს ან საჩივარს ნებისმიერი სასამართლოს, საარბიტრაჟო ტრიბუნალის ან ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე ნებისმიერ იურისდიქციაში;
- აღმასრულებელი ორგანოსგან, ნებისმიერი სხვა ორგანოსგან ან პირადად მოვალისგან არ მოითხოვს მოვალის დავალიანების ამოღებას;
- არ მიიღებს მონაწილეობას მოვალის წინააღმდეგ დავაში როგორც მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ან ასეთი მოთხოვნის გარეშე;
- არ შეუწყობს ხელს მოვალის წინააღმდეგ დავის დაწყებას, სარჩელის ან საჩივრის შეტანას ან სააღსრულებო წარმოების დაწყებას.

კრედიტორი ასევე ადასტურებს, რომ მოვალის მიერ მორიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომპენსაციის სრულად გადახდის შემთხვევაში, მოვალეს დაუბრუნებს დაგირავებულ ქონებას მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

წინამდებარე წერილით გათვალისწინებული უარი (გარდა მორიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებული შინაარსისა) გავლენას არ ახდენს კრედიტორის სხვა მოთხოვნებსა და უფლებებზე, რომლებიც მას შესაძლოა ჰქონდეს მოვალის წინააღმდეგ.

შპს „კომპანია ბ“-ის დირექტორი

## 5.8. წერილი ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ

ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ წერილი იგზავნება იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების მხარეს სურს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა კონკრეტული მიზეზით ან ყოველგვარი მიზეზის გარეშე. აუცილებელია, ასეთ წერილში მიეთითოს ხელშეკრულების დეტალები, ხელშეკრულების ის ნორმა, რომლის საფუძველზეც წყდება ხელშეკრულება. შეწყვეტის შესახებ წერილში ასევე უნდა მიეთითოს, თუ რომელი თარიღიდან წყდება ხელშეკრულება და რომელი ქმედებები უნდა განახორციელონ მხარეებმა ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ.

ქვემოთ იხილეთ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ წერილის მოდელური ვერსია.

ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ წერილის მოდელური ვერსია

შპს „კომპანია ა“  
ლებანიძის ქ. 5, თბილისი, საქართველო  
ადრესატი: ანა კაპანაძე  
**ფოსტით გასაგზავნად**

2020 წლის 1 იანვარი

ქალბატონო ანა,

**საგანი: მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტა**

მოგმართავთ შპს „კომპანია ა“-ს („თქვენ“ ან „მიმწოდებელი“) და შპს „კომპანია ბ“-ის („ჩვენ“ ან „კლიენტი“) შორის 2017 წლის 1 იანვარს გაფორმებულ მომსახურების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით („ხელშეკრულება“).

ხელშეკრულებაში განმარტებულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც გამოყენებულია წინამდებარე წერილში, თუ ამ წერილში სხვაგვარად არ არის განსაზღვრული („წერილი“).

ხელშეკრულების მე-14 მუხლის თანახმად, კლიენტი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება ნებისმიერ დროს მიმწოდებლისთვის 30 (ოცდაათი) დღით ადრე გაგზავნილი წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე მიზეზის გარეშე.

ამ წერილით გაცნობებთ, რომ გვსურს ხელშეკრულების შეწყვეტა. ხელშეკრულება ავტომატურად შეწყდება შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში („შეწყვეტის თარიღი“). თქვენ ვალდებული ხართ, შეწყვეტის თარიღიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში დააბრუნოთ ჩვენს მიერ თქვენთვის გადმოცემული მონეობილობები.

წინამდებარე შეტყობინება კლიენტს არ ართმევს და არ უზღუდავს შეტყობინებაში განხილულ საკითხთან დაკავშირებულ რომელიმე უფლებას ან სამართლებრივ საშუალებას.

ყველა ჩვენი უფლება დაცულია.

პატივისცემით,

\_\_\_\_\_  
შპს „კომპანია ბ“-ის დირექტორი



## 5.9. წერილი ადმინისტრაციული ორგანოსთვის

ადმინისტრაციულ ორგანოში წარსადგენი წერილი შესაძლოა მომზადდეს კონკრეტული ინფორმაციის გამოთხოვის მიზნებისთვის. ასევე, ადმინისტრაციულ ორგანოს შესაძლოა გაეგზავნოს წერილი, რომლითაც მოთხოვნილია კანონთან დაკავშირებული კონკრეტული განმარტებები.

ასეთი წერილი უშუალოდ აღწერს წერილის ავტორის მოთხოვნას/პრობლემას. ადმინისტრაციული ორგანოსთვის დასმული კითხვები უნდა იყოს კონკრეტული, რათა ადრესატმა მიიღოს კონკრეტული პასუხი. წერილის გაგზავნისას აუცილებელია ადრესატის სწორი იდენტიფიცირება, ანუ ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელსაც აქვს შესაბამისი ინფორმაცია ან შეუძლია კონკრეტულ კანონთან დაკავშირებით განმარტებების გაცემა.

ქვემოთ იხილეთ წერილის მოდელური ვერსია, რომელიც ეგზავნება შემოსავლების სამსახურს და რომლითაც დასმულია თამბაქოს კონტროლის შესახებ საქართველოს კანონითა და ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ნებართვასთან დაკავშირებული კითხვები.

ადმინისტრაციული ორგანოსთვის წერილის მოდელური ვერსია

**სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტი**

გორგასლის ქ. 166, თბილისი, 0114, საქართველო

**ფოსტით გასაგზავნად**

2020 წლის 1 იანვარი

ბატონო/ქალბატონო

**საგანი: სიგარის ბართან დაკავშირებული რეგულაციები**

მოგმართავთ თამბაქოს კონტროლის შესახებ საქართველოს კანონთან („**თამბაქოს კანონი**“) და ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონით („**ნებართვების კანონი**“) გათვალისწინებულ შესაბამის ნებართვებთან დაკავშირებით.

შპს „კომპანია ა“ („**კომპანია**“ ან „**ჩვენ**“) ფლობს და ოპერირებს თბილისში მდებარე სასტუმროს „თბილისი პალასი“ („**სასტუმრო**“). ჩვენ გვსურს, კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნის დაცვით, სასტუმროში მოვანწყოთ და განვათავსოთ სიგარა ბარი. ამ მიზნით და კანონმდებლობის არასწორ ინტერპრეტაციათა გამოსარიცხად, გთხოვთ, მოგვანოლოთ შემდეგი განმარტებები:

1. დასაშვებია თუ არა სიგარა ბარში სიგარასთან დაკავშირებული აქსესუარებისა და საჩუქრების გაყიდვა?
2. რა ტიპის დოკუმენტი/სერთიფიკატი ან სხვა ფორმალური მტკიცებულებაა საჭირო, რათა დადასტურდეს, რომ სიგარა ბარის პერსონალი კვალიფიციურია თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციისა და მოხმარებისათვის? (თამბაქოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-7(ე) პუნქტი).

პატივისცემით,

„კომპანია ა“-ს დირექტორი

## 6. წინის ტექნიკური მახასიათებლები

### 6.1. ციტირების წესები

სამართლებრივ დოკუმენტში ხდება ძირითადი ან მეორადი წყაროს ციტირება და პერიფრაზი. პირდაპირი ციტირებისას (ე.წ. ციტატა) იურისტს წყაროდან ინფორმაცია (სტანდარტი ან მესამე პირის მოსაზრება/ნათქვამი) პირდაპირი მნიშვნელობით გადმოაქვს და ბრჭყალებში სვამს მას. ამასთან, მონაცემი, სქემა ან ცხრილი ბრჭყალებში არ ისმება, ხოლო ამონარიდი – წინადადების ნაწილის ციტირება – მრავალწერტილით აღინიშნება. პერიფრაზის დროს იურისტის მიერ ხდება ინფორმაციის (სტანდარტის, კანონის, კანონქვემდებარე აქტის, გადაწყვეტილების, მოსაზრების/იდეის ან დაკვირვების) არაპირდაპირი – სახეცვლილი – ფორმით გადმოტანა, მთავარი შინაარსის დაკარგვის გარეშე.

სამართლებრივი მემორანდუმის წერისას დოკუმენტებში ხშირია საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს საკანონმდებლო აქტების ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის ციტირება, რომელიც პერიფრაზის მსგავსად საჭიროებს წყაროზე მითითებას.

წყაროს ციტირების მაგალითი	
ციტატა	პერიფრაზი
<p>პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხდოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის<sup>1</sup>.</p> <p><b>შენიშვნა:</b> სქოლიოში მიეთითება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლი.</p>	<p>პირგასამტეხლოზე შეთანხმების ნამდვილობისათვის კანონი იმპერატიულად წერილობითი ფორმის დაცვას ითვალისწინებს, რაც ნიშნავს, რომ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნის უფლება მხოლოდ ამ სავალდებულო ფორმის დაცულობის პირობებშია მართლზომიერი და დასაშვები<sup>1</sup>.</p> <p><b>შენიშვნა:</b> სქოლიოში მიეთითება სამოქალაქო კოდექსის მუხლები.</p>

### 6.2. სქოლიოს გამოყენება

სქოლიოს მეშვეობით ხდება ნებისმიერი სტანდარტის, სხვისი აზრის/პოზიციის ან მონაცემების ამსახველი წყაროს მითითება – პლაგიატის თავიდან არიდება. სქოლიოში წყაროს მითითება რელევანტურია შეფასებითი და შედარებითი მემორანდუმის მომზადებისას – განსაკუთრებით მეორადი წყაროების გამოყენებისას. ამ დროს იურისტი წყაროს მითითებით განამტკიცებს:

- საკუთარ პროფესიონალიზმს (საკითხი კარგადაა გამოკვლეული);
- დოკუმენტის ობიექტურობას და სანდოობას;
- მესამე პირების საავტორო უფლებების პატივისცემას;
- ადრესატისთვის დაინტერესების შემთხვევაში მთავარი წყაროს ხელმისაწვდომობას.

სქოლიოს ნიშანი კეთდება წინადადების ბოლოში, სასვენი ნიშნის (მაგ., წერტილის) შემდგომ. მართებული არ არის სქოლიოს პირველი სიტყვის ან წინადადების შუაში დასმა, მათ შორის, თუ წინადადება აერთიანებს რამდენიმე გარემოებას, რომლითაც ერთი მთლიანი არგუმენტი იკვრება.

სქოლიოს გამოყენების ზოგადი წესი	
არასწორი ვერსია	სწორი ვერსია
1. პრაქტიკის თანახმად <sup>10</sup> , როდესაც ეკონომიკა იზრდება, ფასიანი ქაღალდების ბაზარი უფრო სწრაფად ვითარდება <sup>11</sup> , ვიდრე საბანკო სისტემა.	1. პრაქტიკის თანახმად, როდესაც ეკონომიკა იზრდება, ფასიანი ქაღალდების ბაზარი უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე საბანკო სისტემა. <sup>10</sup>  <i>შენიშვნა:</i> მე-10 სქოლიოში მიეთითება ყველა წყარო, რომელიც ავტორმა გამოიყენა.

აღნიშნული წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს წინადადება, რომელშიც განსხვავებული სტანდარტების, პოზიციების, ქვეყნების ან/და ავტორების ჩამონათვალის გაკეთებული: ამ დროს სქოლიო ჩამოთვლილი ერთეულების და სასვენი ნიშნის (მაგ., მძიმის) შემდეგ ისმება.

რამდენიმე სქოლიოს გამოყენება ერთ წინადადებაში
გონივრული მისადაგების ვალდებულებას ითვალისწინებს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის შესახებ კონვენცია, <sup>1</sup> ევროკავშირის დირექტივები <sup>2</sup> და საქართველოს კანონმდებლობა. <sup>3</sup>

სქოლიოში წყარო მიეთითება სრულად: ყველა საჭირო მონაცემის გამოყენებით. უცხოენოვანი წყარო ეთითება ქართულ ენაზე, ხოლო ბრჭყალებში იწერება ორიგინალი ვერსია.

წყაროს სქოლიოში მითითების მაგალითები	
საერთაშორისო სტანდარტის ან კანონმდებლობის შემთხვევაში ინერება შესაბამისი მუხლი, სტანდარტის/კანონის სრული დასახელება, ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მიღების თარიღი.	სასამართლო გადაწყვეტილების შემთხვევაში – საქმის დასახელება, მხარეები, მიმღები სასამართლო, გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი, შესაბამისი გვერდი ან აბზაცის ნომერი.
აკადემიური ნაშრომის შემთხვევაში – ავტორის ვინაობა, დოკუმენტის სრული დასახელება, გამომცემელი, გამოცემის თარიღი და შესაბამისი გვერდი.	ანგარიშის შემთხვევაში – დოკუმენტის სრული დასახელება, მიმღები/გამომცემი ორგანო/მექანიზმი, გამოცემის თარიღი და შესაბამისი გვერდი.

ციტირებულ აზრს, საკითხს ან არგუმენტს სქოლიო ბოლოში ეთითება: თუ აბზაცში გარკვეული საკითხი რამდენიმე წინადადებით არის ციტირებული, სქოლიო ისმება ბოლო წინადადების შემდგომ – შემაჯამებელ წინადადებად.

წყაროების სქოლიოში მითითებისას მნიშვნელოვანია წყაროს დასახელება და მხოლოდ ამის შემდეგ ბმულის მითითება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სქოლიოში მხოლოდ ბმულის მითითება არასწორია. ამასთან, ბმულს თან უნდა ახლდეს მითითება, თუ როდის ნახა იგი ავტორმა (თარიღი). აღნიშნული მნიშვნელოვანია წყაროს სანდოობის უზრუნველყოფის კუთხით, რადგან შესაძლოა, დროთა განმავლობაში ბმულზე არსებული ინფორმაცია აღარ იყოს ხელმისაწვდომი და მსგავსი ფორმულირებით ავტორი თავს იცავს ბრალდებისგან, რომ მან არასწორი ბმული მიუთითა.

ბმულის მითითების წესი	
არასწორი ვერსია	სწორი ვერსია
სქოლიო 1. <a href="https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0437.pdf">https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0437.pdf</a>	სქოლიო 1. კომპანია “Itera International Energy LLC” საქართველოს წინააღმდეგ, საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრი (Itera International Energy LLC and Itera Group NV v. Georgia), გადაწყვეტილება დამატებითი სასაჩუქრო მოთხოვნების დასაშვებობის შესახებ, ICSID Case No. ARB/08/7, 04/12/2009. ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: <a href="https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0437.pdf">https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0437.pdf</a> (ინახა 01.12.2020)

შესაძლოა, იურისტს მოუწიოს ერთი და იმავე წყაროს რამდენჯერმე ციტირება. ამის რამდენიმე ვარიანტი არსებობს: პირველ სქოლიოში სრულად დაინეროს დასახელება. იმავე სქოლიოში დაინეროს აღნიშნული წყაროს შემოკლებული ვერსია და მიეთითოს, რომ შედგომში წყარო იქნება გამოყენებული შემოკლებული დასახელებით;

სქოლიოში წყაროს გამოვრების წესი – ვერსია 1	
<p><b>სქოლიო 1.</b> კომპანია “Itera International Energy LLC” საქართველოს წინააღმდეგ, საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრი (Iteral International Energy LLC and Itera Group NV v. Georgia), გადაწყვეტილება დამატებითი სასაჩლო მოთხოვნების დასაშვებობის შესახებ, ICSID Case No. ARB/08/7, 04/12/2009. ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე:</p> <p><a href="https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0437.pdf">https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0437.pdf</a> (ინახა 01.12.2020) – შემდგომში „კომპანია იტერა საქართველოს წინააღმდეგ“</p>	<p><b>სქოლიო 3.</b> კომპანია იტერა საქართველოს წინააღმდეგ, გვ. 5;</p>

ალტერნატიულად, პირველ სქოლიოში წყაროს მითითების შემდგომ, მომდევნო სქოლიოში აღნიშნული წყაროს გამოვრების შემთხვევაში, დაინეროს „იქვე“. ამასთან:

- მომდევნო სქოლიოში, თუ წყარო მეორდება, მაგრამ საკითხი წყაროს სხვა გვერდზეა მოცემული, დაინეროს „იქვე, გვ. X“.
- უშუალოდ მომდევნოს გარდა, ნებისმიერ შემდგომ სქოლიოში მიეთითოს პირველ სქოლიოზე, სადაც წყარო თავდაპირველად იქნა გამოყენებული „იხ. ზედა სქოლიო 1“ და საჭიროებისამებრ მიეთითოს გვერდი „იხ. ზედა სქოლიო 1, გვ. X“.

სქოლიოში წყაროს გამოვრების წესი – სქოლიო 2	
<p><b>სქოლიო 1.</b> კომპანია “Itera International Energy LLC” საქართველოს წინააღმდეგ, საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრი (Iteral International Energy LLC and Itera Group NV v. Georgia), გადაწყვეტილება დამატებითი სასაჩლო მოთხოვნების დასაშვებობის შესახებ, ICSID Case No. ARB/08/7, 04/12/2009. ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე:</p> <p><a href="https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0437.pdf">https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0437.pdf</a> (ინახა 01.12.2020)</p>	<p><b>სქოლიო 2.</b> იქვე;</p>
	<p><b>სქოლიო 2.</b> იქვე, გვ. 11;</p>
	<p><b>სქოლიო 7:</b> იხ. ზედა სქოლიო 1, გვ. 22;</p>

ერთ სქოლიოში რამდენიმე წყაროს მითითებისას, სასურველია შემდეგი მიმდევრობის დაცვა:

- სტანდარტი (კონსტიტუცია, ხელშეკრულება, კანონი და კანონქვემდებარე აქტი);
- სასამართლოს გადაწყვეტილება;
- აკადემიური ნაშრომი (ნიგნი ან სტატია);
- ანგარიში ან კვლევა;
- ელექტრონული ბლოგი.

საქართველოში იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისთვის ციტირების და სქოლიოს ჩამოყალიბების ერთიანი დადგენილი სტანდარტები ან წესები არ არსებობს. რეკომენდებულია ქართულ ენაზე არსებული სახელმძღვანელოს „მითითების და აღნიშვნის სტანდარტი სამართალში“ (ავტორები დ. გეგენავა და გ. ბურჯანაძე, 2013 წელი) გამოყენება ან საერთაშორისო დონეზე დამკვიდრებული სტანდარტებით/წესებით ხელმძღვანელობა.

ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომი ციტირების წესები <sup>17</sup>
<b>The BlueBook</b> – ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: <a href="https://www.legalbluebook.com/bluebook/v21/quick-style-guide">https://www.legalbluebook.com/bluebook/v21/quick-style-guide</a>
<b>The Chicago Manual of Style (2017)</b> – ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: <a href="https://www.chicagomanualofstyle.org/home.html">https://www.chicagomanualofstyle.org/home.html</a>
<b>The Maroonbook (2019)</b> – ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: <a href="https://lawreview.uchicago.edu/sites/lawreview.uchicago.edu/files/v87%20Maroonbook.pdf">https://lawreview.uchicago.edu/sites/lawreview.uchicago.edu/files/v87%20Maroonbook.pdf</a>
<b>Introduction to Basic Legal Citation, Peter W. Martin (2017)</b> – ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: <a href="https://www.law.cornell.edu/citation/basic-legal-citation.pdf">https://www.law.cornell.edu/citation/basic-legal-citation.pdf</a>
<b>OSCOLA (2012)</b> – ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: <a href="https://www.law.ox.ac.uk/sites/files/oxlaw/oscola_4th_edn_hart_2012.pdf">https://www.law.ox.ac.uk/sites/files/oxlaw/oscola_4th_edn_hart_2012.pdf</a>

17 აღნიშნული სია არ მოიცავს ამომწურავ ჩამონათვალს.

## 7. დანართები

### 7.1. აღწერილობითი მემორანდუმი – მონახაზი

თარიღი  
ადრესატი  
ავტორი  
საგანი

- I. შესავალი და მომზადების მიზანი:
  1. ინფორმაცია მემორანდუმის დამკვეთის და ავტორის შესახებ;
  2. რა საკითხს ეხება მემორანდუმი.
- II. მარეგულირებელი კანონმდებლობის/ფაქტობრივი გარემოებების შემცველი დოკუმენტების აღწერა:
  1. გამოყენებული წყაროების – კანონმდებლობის ან/და ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების ზოგადი აღწერა.
- III. დაშვებები:
  1. იურისტის მიერ გამოყენებული სამართლებრივი წყაროების ან/და ფაქტობრივი გარემოებების შესახებ მოცემულობები.
- IV. არსებითი თავი/თავები – კონკრეტული მემორანდუმისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნაწილები:
  1. არსებითი თავების რაოდენობა დამოკიდებულია მემორანდუმის შინაარსზე – ძირითადი თემები/განსახილველი საკითხები (მაგ., რელევანტური სასამართლო საქმეები).
- V. საჭიროებისამებრ დასკვნა და შეჯამება.



7.2. შეფასებითი მემორანდუმი – მონახაზი

თარიღი  
 ადრესატი  
 ავტორი  
 საგანი

- I. შესავალი
  1. დავალება და იურისტის მიმართ გაცემული ინსტრუქცია;
  2. მემორანდუმის მომზადებისას გამოყენებული დოკუმენტების აღწერა/ ჩამონათვალი;
  3. საჭიროებისამებრ ტერმინთა განმარტება.
- II. ფაქტობრივი გარემოებები:
  1. სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების აღწერა (ქრონოლოგიურად ან ეპიზოდურად);
  2. საჭიროებისამებრ სადავო ფაქტებზე მითითება;
  3. წყაროების იდენტიფიცირება.
- III. დაშვებები:
  1. სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტებთან დაკავშირებით მოცემულობები;
  2. კანონის კონკრეტულ რედაქციაზე მითითება.
- IV. სამართლებრივი შეკითხვები ან/და საკითხები:
  1. განსახილველი სამართლებრივი შეკითხვები;
  2. საჭიროებისამებრ ქვესაკითხების გამოყოფა.
- V. არსებითი თავი/თავები – სამართლებრივი საკითხების განხილვა, ანალიზი და დასკვნები:
  1. რელევანტური სტანდარტის ანალიზი და მისი მისადაგება ფაქტობრივ გარემოებებთან;
  2. სამართლებრივი სტრატეგიის დადებითი და უარყოფითი მხარეები, მოსალოდნელი რისკები და მემორანდუმის ავტორის რეკომენდაცია;
  3. ყოველი მსჯელობა სრულდება შესაბამისი დასკვნით.
- VI. რეკომენდაციები, სამომავლო ნაბიჯები.

## 7.3. შედარებითი მემორანდუმი – მონახაზი

თარიღი  
ადრესატი  
ავტორი  
საგანი

- I. შესავალი:
  1. ინფორმაცია მემორანდუმის დამკვეთის და ავტორის შესახებ;
  2. მემორანდუმის მიზანი და კონტექსტი.
- II. ამოცანა:
  1. განსახილველი საკითხები და იურისტის მიერ განხორციელებული სამუშაოები.
- III. დაშვებები:
  1. სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტებთან ან კანონის რედაქციასთან დაკავშირებით მოცემულობები.
- IV. ფაქტობრივი გარემოებები:
  1. შეფასებითი ტერმინოლოგიის გარეშე რელევანტური ფაქტების აღწერა;
  2. უცნობ ფაქტზე/ებზე მითითება.
- V. სამართლებრივი შეკითხვები ან საკითხების ზოგადი აღწერა:
  1. განსახილველი სამართლებრივი შეკითხვები;
  2. მარეგულირებელი ნორმების ზოგადი აღწერა.
- VI. ამოცანის გადანყვეტის პირველი ალტერნატივა: განხილვა და ანალიზი:
  1. ფაქტობრივ გარემოებებთან სამართლებრივი ჩარჩოს მისადაგება;
  2. ამოცანის ქრილში ყველა რელევანტური ფაქტის და სამართლებრივი ნორმის ურთიერთქმედების აღწერა;
  3. ძირითადი არგუმენტების, უპირატესობების და ნაკლოვანებების ჩვენება.
- VII. ამოცანის გადანყვეტის მეორე ალტერნატივა: განხილვა და ანალიზი.
- VIII. ამოცანის გადანყვეტის ალტერნატივების შედარება და დასკვნები:
  1. ერთმანეთს დარდება განხილული ალტერნატივების თითოეული არგუმენტი და ნაკლოვანება;
  2. დასკვნაში მოცემულია რჩევები, თუ რომელი ალტერნატივა უფრო უპრიანია.
- IX. დასკვნითი დებულებები: რეკომენდაციები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Charles R. Calleros, **Legal Method and Writing**, 5<sup>th</sup> ed., Aspen Publishers, 2006.
2. John C. Dernbach, Richard V. Singleton, Cathleen S Wharton, Joan M. Ruhtenberg & Catherine J Wasson, **A Practical Guide to Legal Writing & Legal Methods**, 3<sup>rd</sup> ed., Aspen Publishers, 2007.
3. Linda H. Edwards, **Legal Writing & Analysis**, 2<sup>nd</sup> ed., Aspen Publishers, 2007.
4. Richard K. Neuman, Jr. & Shelia Simon, **Legal Writing**, Aspen Publishers, 2008.
5. Laurel Currie Oates & Anne Enquist, **Just Memos**, 2<sup>nd</sup> ed., Aspen Publishers, 2007.

